ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 23 იანვარი 2006 №13 (2635) ფასი 50 თეთრი



## მინგეს დებიუტი

ქართველები ლისაბონში გაფრინდნენ

3




## დიდი წიგნი

პირველად: სპორტის ენციკლოპედია ქართულად

7



## ვილასამ როდიკი ჩააგისა

კვიპროსულად ჩოგბურთიც ფეხბურთია

8

# გაასწორე და გასწორდები!




# მილანი 13 წლის წინ წაგებულის მოგებას ახლა აპირებს

# ВОД КАкая история: რუსი უდანაშაულოა

ევროპულ ფეხბურთში რუსული ლოთობის ფონზე სკანდალი აგორდა. არა, ამ ისტორიაში რუსები უდანაშაულონი არიან, აი, ფრანგები კი... საქმე ჩემპიონთა ლიგის 13 წლის წინანდელ ფინალს ეხება. გეხსომებათ, 1993 წლის გადამწყვეტ შეხვედრაში ერთმანეთს „მარსელი“ და „მილანი“ შეხვდნენ. „მარსელმა“ 1:0 მოიგო, მაგრამ როგორც შაბათს „მარსელის“ ყოფილი ფეხბურთელის ჟან-ჟაკ ეიდელის ინტერვიუდან გაირკვა, ფეხბურთელებს დოპინგის ნემსები ჰქონიათ გაკეთებული. ხოლო, რა შუაშია ამ ყველაფერთან „ვოდკა“, მეთორმეტე გვერდზე წაიკითხავთ.



ბერნარ ტაპის დროინდელ და სამაგალითოდ დასჯილ „მარსელს“ კიდევ ერთი ცოდვა გაუხსენეს

# დინამო–ჩერნიშოვი დღეს გაფორმდება



**თბილისის** „დინამოსა“ და რუს მწვრთნელ ანდრეი ჩერნიშოვს შორის მოლაპარაკებები გრძელდება და დღეს, ალბათ, კონტრაქტის გაფორმებითა და ჩერნიშოვის „დინამოში“ დარჩენით დამთავრდება. დღესვე თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობა პრესკონფერენციის გამართვასა და ახალი მწვრთნელის საზოგადოებისთვის წარდგენას აპირებს.

ანდრეი ჩერნიშოვი თბილისში პარასკევს თავის თანაშემწესთან და ვიდეო-ინჟინერთან ერთად ჩამოვიდა და „დინამოს“ ხელმძღვანელობასთან დეტალური მოლაპარაკებაც დაიწყო. ორი დღეა, თბილისელები და ჩერნიშოვი სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის პირობებს წვრილ-წვრილად განიხილავენ. როგორც შევიტყვეთ, კონტრაქტის ყველა პუნქტი უკვე შეთანხმებულია, თუმცა ხელმოწერამდე ორივე მხარე მწვრთნელის უცხოელ აგენტს ელის, ურომლისოდაც ჩერნიშოვი საქმის დაწყებას არ ჩქარობს.

გუშინ კი „დინამო“ ისვენებდა. ანდრეი ჩერნიშოვიც გუნდს, ალბათ, დღეს გაეცნობა.

**კობა ინასარიძე**



ზურაბ ხიზანიშვილმა (მარცხნივ) „ნიუკასლთან“ თამაშით ქება ბევრისგან დაიმსახურა

ზურაბი შესანიშნავი იყო — იუწყება „ბლექბერნ როვერსის“ ვებგვერდი...

დაცვაში ძალიან ძლიერები ვიყავით, ნილსენმა და ხიზანიშვილმა შირერის წინააღმდეგ ბრწყინვალედ ითამაშეს — დასძენს „ბლექბერნის“ დამრიგებელი მარკ ჰიუზი...

ინგლისური პრემიერლიგის ბოლო ტურში „ბლექბერნმა“ სტუმრად 1:0 სძლია „ნიუკასლს“ და BBC-მაც ეს ამბავი ტურის ერთ-ერთ მთავარ მოვლენად შერაცხა.

ერთი სიტყვით, ხიზანიშვილმა და „ბლექბერნმა“ ძალიან წარმატებულად ითამაშეს და ზურასაც ამად შევეხმიანეთ ალბიონზე...

# მეორე ასისტენტი თბილისში გაცხადდება

**27 იანვარს** შვეიცარიულ მონტროში ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრა გაიმართება. ცერემონიალს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, გენერალური მდივანი უჩა უგულავა და ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი დაესწრებიან. უჩა უგულავა 24 იანვარს გაფრინდება გერმანიაში, 25-ში კი ახალკაცთან და ტოპმიოლერთან ერთად შვეიცარიაში გადაინაცვლებს.

კენჭისყრის შემდეგ ერთ ჯგუფში მოხვედრილი ქვეყნების წარმომადგენლების შეხვედრა შედგება — დაითქმება ადგილი და თარიღი, როცა მხარეები მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდებიან და შესარჩევი ეტაპის კალენდარს შეაჯერებენ. ამის შემდეგ ფედერაციის გენმდივანი თბილისში დაბრუნდება, ახალკაცი და ტოპმიოლერი კი ისევ გერმანიას მიაშურებენ. ფედერაციის პრეზიდენტის მივლინება 5 თებერვლამდე გაგრძელდება და ის საქართველოში ტოპმიოლერთან ერთად ჩამოვა. მანამდე კი ჰერ კლაუსი საბოლოოდ ჩამოყალიბდება მეორე ასისტენტის კანდიდატურასთან დაკავშირებით, მას თბილისშიც იახლებს და საფეხბურთო საზოგადოებას პირველსავე პრესკონფერენციაზე წარუდგენს.

**გიორგი ნოზაძე**

# ფედერაცია ნაკრებს ტოპ-ბალახსაც უშზადებს

## ეროვნული, მიხეილ მესხი ან ორივე ერთად

**ჩვენი** მწვრთნელია კლაუს ტოპმიოლერი, მაგრამ სად ვთამაშობთ?

„ეროვნული“ და მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი — ეს ორი არენაა საქართველოს ეროვნული ნაკრების განკარგულებაში საშინაო მატჩებისთვის, თუმც ფეხბურთელები ჩივიან, ჩვენი მინდვრები ევროპულ ხარისხს მკვეთრად ჩამოუვარდებაო.

— ამ ეტაპზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა, რომ „ეროვნულ“ ან მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე მოედნის საფარი შევცვალოთ. კარგი იქნება, თუ ამას ორივე სტადიონზე მოვახერხებთ, მაგრამ ერთ-ერთზე ეს აუცილებლად უნდა გავაკეთოთ. ყველაფერი თანხებთანაა დაკავშირებული და გუშინ უკვე გვქონდა შეხვედრა ერთ-ერთ კომპანიასთან. მოკლედ, ახალი მინდვრის დაგება მიხეილ მესხის თუ ეროვნულ სტადიონზე მომავალი შესარჩევი ციკლისთვის უნდა მოესწროს — გვითხრა ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა რევაზ არველაძემ.

**დავით თავართქილაძე**

# რა ხელი აქვს ხელს გამარჯვებასთან?!

## შესანიშნავი ზურაბი: მაკლიშმა, რეინჯერსში დაბრუნდიო

— მაგარი თამაში იყო, „ნიუკასლს“ წინ სამი კაცი ჰყავდა — შირერი, ჩოპრა და ლუკე. პირველ ტაიმში სამი საგოლე მომენტი გვქონდა, მაგრამ არ გაგვიმართლა. მეორე ტაიმის დასაწყისში კი დიკოვი ისე დაგვიშავდა, შესაცვლელი შეიქნა და ამან საქმე გაგვირთულა, თუმც მაინც გავიმარჯვეთ. ისიცაა, რომ ტრავმირებული კრეიგ ბელამი გვაკლდა.

**— მწვრთნელმა შირერის მეურვეობა დაგავალა?**

— არა, ასეთი დავალება არ ყოფილა, მაგრამ ისე მოხდა, რომ შირერი მეტწილად ჩემს ზონაში მოქმედებდა. ის ძალიან ღონიერია, თუმცა, ცოტა არ იყოს, მობერებულია.

**— მისი შეჩერება რამდენად ძნელი გამოდგა შენთვის?**

— შირერს ამ შეხვედრაში საგოლე მომენტი არ ჰქონია.

**— „ნიუკასლის“ თავკაცმა გრემ სუნესმა ნამატჩევს თქვა, წაგების მიუხედავად, მეტოქეზე უკეთ ვითამაშეთო...**

— ჩვენ სტუმრად ვთამაშობდით და თუ სუნესი ბურთის ფლობაში უპირატესობას გულისხმობდა, ეს სულ სხვა საქმეა.

**— ბრიტანული მედია ამბობს, ბლექბერნელმა მორტენ პედერსენმა საეჭვო გოლი გაიტანაო...**

— პედერსენმა გოლი ხელით შეაგდო, მაგრამ ეს ვერც მსაჯმა დაინახა და ვერც ჩვენ, ყველაფერი ნათლად ვიდეოფირზე გამოჩნდა, თუმც ისიცაა, რომ პედერსენს ხელით არ უთამაშია, ბურთი ხელზე მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და ისე გავიდა, თორემ ნიუკასლელ ბაბაიაროს ბურთი ცარიელი კარიდან გამოჰქონდა.

**— მიგაჩნია, რომ ეს შენი საუკეთესო მატჩი იყო ინგლისურ პრემიერლიგაში?**

— კარგად ვითამაშე, მაგრამ საუკეთესო მატჩი არ ყოფილა. უბრალოდ, ძნელი თამაში იყო და მოვიგეთ. „ნიუკასლთან“ სტუმრად თამაში მართლაც ძალიან ძნელია, შირერის წინააღმდეგ კი პირველად არ მითამაშია...

**— „ბლექბერნში“ „რეინჯერსიდან“ ხარ განათხოვრებული სეზონის ბოლომდე. „ბლექბერნის“ მენეჯერმა მარკ ჰიუზმა კი დაახლოებით ორი თვის წინ თქვა, ხიზანიშვილის გამოსყიდვა გვინდაო — საქმე ამის იქით აღარ წასულა?**

— ამ ცოტა ხნის წინ „რეინჯერსის“ მენეჯერმა ალექს მაკლიშმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, ხიზანიშვილის დაბრუნება გვინდაო, ახლახან კი თვითონაც დამირეკა, „რეინჯერსში“ დაბრუნდიო.

**— მერედა, შენი სურვილი როგორია?**

— ეს მალე გაირკვევა. „ბლექბერნს“ ახლა გადატვირთული კვირა ელის, მერე კი ალბათ ჩემზეც დავილაპარაკებთ. მოკლედ, ვნახოთ...

**დავით თავართქილაძე**

# მთავარია მთავარი დინამო

## კახა ალადაშვილს ისრაელს უპირებენ



**გეცოდინებათ**, იანვრის დასაწყისში კიევის „დინამოში“ გასასინჯად ორი ქართველი წავიდა. მათგან ერთ-ერთი, ვიტჯორჯიელი ოთარ მარცვალაძე უკრაინული გრანდის ძირითად გუნდს ახლავს აბუ-დაბის შეკრებაზე, თბილისის „დინამოს“ მარჯვენაფლანგელი კახა ალადაშვილი კი „დინამო 2“-ში ვარჯიშობს მწვრთნელ ვიქტორ ონიშჩენკოს ხელმძღვანელობით.

თვის ბოლომდე ალადაშვილის კიევში დარჩენა-არდარჩენის ამბავი, ალბათ, ვერ გაირკვევა. თუმცა სანდო წყაროსგან შევიტყვეთ, რომ კახამ „დინამო 2“-ის მწვრთნელებს ძალიან მოაწონა თავი და, დიდი შანსია, კიევის „დინამოს“ მთავარ გუნდს გაჰყვეს მეორე, ისრაელურ შეკრებაზე, სადაც ოთხთა ტურნირიც ტარდება და კიეველთა გარდა „შახტარი“, მოსკოვის „სპარტაკი“ და ცეესკა ითამაშებენ.

გავიგეთ ისიც, რომ ალადაშვილის „დინამო 2“-ში დარჩენა პრობლემა არაა, თუმცა თავად ფეხბურთელს ამგვარი პერსპექტივა არ ხიბლავს — მთავარ გუნდში გადასვლა რეალურიაო.

**ილია ნანობაშვილი**

# საბრძოლო ნათლობა
## მინგე ქართველებს ლისაბონში ნახავს



**დღეს** გამთენიისას საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ამსტერდამის გავლით ლისაბონში გაფრინდა. პორტუგალიაში კობა ჟორჟიკაშვილის გუნდი ოთხთა ტურნირში მიიღებს მონაწილეობას — ხვალ ჩვენი ახალგაზრდები სლოვაკ თანატოლებს დაუპირისპირდებიან. მეორე ნახევარფინალურ წყვილში ერთმანეთის პირისპირ მასპინძელი პორტუგალია და სლოვენია დადგებიან. 26 იანვარს გამარჯვებულები ერთმანეთში ფინალს ითამაშებენ, დამარცხებულები კი მესამეადგილოსნის ვინაობას გაარკვევენ.

გარდა ტურნირის ორი შეხვედრისა, კობა ჟორჟიკაშვილს ორი საკონტროლო შეხვედრის გამართვის იმედიც აქვს. მასპინძლებმა ქართულ მხარეს პორტუგალიის 19-წლამდელთა ნაკრებთან და „ბენფიკას“ ან „სპორტინგის“ ამავე ასაკობრივ გუნდთან სპარინგის გაჩარხვა აღუთქვეს. ჟორჟიკაშვილი და მისი სამწყსო თბილისში 5 თებერვალს ბრუნდებიან.

პორტუგალიაში საქართველოს დელეგაციას ფედერაციის ტექნიკური დირექტორი გაიოზ დარსაძე და ნაკრები გუნდების მენეჯერი თამაზ ბოკერია უხელმძღვანელებენ. როგორც კობა ჟორჟიკაშვილმა გვითხრა, წინასწარი ინფორმაციით, პორტუგალიაში ჩასვლას გეგმავს კლაუს ტოპმიოლერის თანაშემწე რალფ მინგეც. გერმანელების კონტრაქტი პირველი თებერვლიდან შედის ძალაში, თუმცა საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, მინგე ალბათ რამდენიმე დღით ადრე შეუდგება მოვალეობის შესრულებას. ტოპმის ძლიერ მხარედ სწორედ სელექციის უნარს მიიჩნევს და ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტისთვის ეს „საბრძოლო ნათლობა“ იქნება — საპორტუგალიოდ შემზადებულ ახალგაზრდულ ნაკრებში რამდენიმე ისეთი ფეხბურთელია, ეროვნული გუნდის გაფართოებულ სიაშიც რომ მოხვდა. გარდა ამისა, ჩვენი გუნდის ყველა თამაში ვიდეოფირზე აღიბეჭდება და კლაუს ტოპმიოლერს საშუალება ექნება, თავად შეაფასოს საქართველოს ნაკრების უახლოესი რეზერვი.

გამგზავრებამდე, შაბათს ახალგაზრდულმა ნაკრებმა მორიგი საკონტროლო შეხვედრა „სოხუმთან“ გამართა და 3:2 გაიმარჯვა. ახალგაზრდულიდან გოლები რატი წინამძღვრიშვილმა, ბესიკ ჩიმაკაძემ და გიორგი კახელიშვილმა გაიტანეს.

კობა ჟორჟიკაშვილმა 22-ივე ფეხბურთელს მისცა თავის გამოჩენის საშუალება, სასტარტო შემადგენლობა კი ასეთი იყო: *ალავიძე, მჭედლიშვილი, გვაძაბია, ხიდეშელი, ელბაქიძე, მახარაძე, ბჟალავა, განუგრავა, ჭელიძე, წინამძღვრიშვილი, გოცირიძე.*

**გიორგი ნოზაძე**

# იახში, სომხებო!
## აბრამიძემ და ადამიამ თანამეგობრობა ბაქოში წაიღეს

**ყოჩაღ**, სომხებო, კარგი საქმე გაგვიკეთეთ — ასეთ ირონიანარევ ფრაზებს ბლომად წავაწყდით აზერბაიჯანულ ვებგვერდებზე. რაც მოხდა, იცით: მოსკოვში მიმდინარე „თანამეგობრობის თასის“ ნახევარფინალში ბაქოს „ნეფთჩი“ ერევნის „პიუნიკს“ უნდა შეხვედროდა, მაგრამ სომხებმა მეზობლებთან თამაში იუარეს და ტურნირი მიატოვეს.

„ნეფთჩის“, ცხადია, კალთები არ ჩამოუხევია ნერვიულობისგან და ფინალშიც უბრძოლველად გავიდა. ფინალი კი გუშინ იყო და ბაქოელებმა 4:2 მოუგეს ლიტვურ „კაუნასს“. ასე რომ, საამბატჩოდ სომხებმა აზერბაიჯანელებს კარგი საჩუქარი — ერთდღიანი დასვენება — გამოუწერეს.

„ნეფთჩიში“ ვალერი აბრამიძე და გიორგი ადამია ირიცხებიან, „კაუნასში“ კი — ნუკრი მანჩხავა, აკაკი ხუბუტია და გივი კვარაცხელია, რომელსაც გლანდების ოპერაციის გამო ამ ტურნირში არ უთამაშია.

ფინალში აბრამიძემ და მანჩხავამ 90-90 წუთი იბურთავეს, ადამიას მცირე ტრავმა აწუხებდა, ხოლო ხუბუტია შეცვლაზე შევიდა და 54-ე წუთზე (ამ დროს ანგარიში 3:2 იყო) წითელი ბარათი მიიღო, რის შემდეგაც „ნეფთჩიმ“ მეოთხე გოლიც მალევე გაიტანა და იოლად მიიყვანა საქმე მოგებამდე.

**ილია ნანობაშვილი**

25 წლის ზარანინა საქართველოს ნაკრების თავკაცის, კლაუს ტოპმიოლერის ქალიშვილია. გერმანიაში საკმაოდ პოპულარული პოპ-მომღერალი განათლებით საბანკო საქმის სპეციალისტია, თუმცა ამ სპეციალობით არასოდეს უმუშავია. ზარანინასთან ინტერვიუ გერმანულ გამოცემა „მაინპოსტში“ დაიბეჭდა და ვფიქრობთ, უინტერესო არ უნდა იყოს, რას ფიქრობს იგი მამაზე, ფეხბურთზე და, ზოგადად, ცხოვრებაზე...



# კლაუსის ასული ამ ცხოვრებით ცხოვრობს

— ბავშვობიდან დღემდე ძალიან ბევრ ქალაქში გიცხოვრიათ. როგორ ეგუებით ამას?

— მამას ისეთი სამსახური აქვს, რომ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა მართლაც არაერთხელ მოგვიხდა. კაიზერსლაუტერნი, დალასი, რივენიხი, ჰამბურგი, დიუსელდორფი — გეოგრაფია ჯერჯერობით ამ ქალაქებით შემოიფარგლება.

— თქვენ ძალიან ცნობილი კაცის შვილი ხართ და მამათქვენს პრესისთვის არაერთხელ უთქვამს, ზარანინას ხელს ყველანაირად ვუწყობ და ვეხმარებიო. თუ ყოფილა შემთხვევა, რომ კლაუს ტოპმიოლერის შვილობის გამო შეღავათი გაუწევიათ?

— ასეთი რამ არ მომხდარა და არც არის საჭირო. მამა ყველაფერში მეხმარება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ, რადგან ტოპმიოლერი ვარ, იმიტომ მოვიკიდე ფეხი შოუ-ბიზნესში.

— მაინც როგორ გეხმარებათ მამა?

— რჩევებით. მას ამ ცხოვრებაში ძალიან ბევრი უნახავს და გადაუტანია, რამაც გამოცდილება გაუმდიდრა და ეს ცოტას არ ნიშნავს. მამას რჩევებს ყოველთვის ვითვალისწინებ.

— გასაგებია, რომ ფეხბურთი თქვენთვის უცხო არ არის. რომელ გუნდს ქომაგობთ?

— მიუნხენის „ბაიერნს“. თანაც მიხაელ ბალაკს და მის მეუღლეს ძალიან ახლოს ვიცნობ.

— შოუ-ბიზნესში საქმიანობა საკმაოდ დამღლელი და სანერვიულოა. როგორ აღწევთ თავს სტრესს?

— ტელეფონით. საკმარისია, ჩემი ოჯახის წევრებს დავურეკო და ველაპარაკო, მაშინვე ყველაფერი მავიწყდება.

— თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?

— თავისუფალი დრო ძალიან ცოტა მაქვს და რა გიპასუხოთ, არ ვიცი...

— სკოლა წარჩინებით დაამთავრეთ და გამოცდებზე არასოდეს გიცუღლუტიათ?

— თუ დამიჯერებთ, ყველაფერს თავად მივაღწიე. დედაჩემი მეუბნებოდა ხოლმე, ვინც სკოლაში ცუღლუტობს, ცხოვრებაში ვერაფერს მიაღწევსო. ვფიქრობ, განათლებას დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის მომავლისთვის.

— თქვენს ახალ სინგლს ძალიან ფილოსოფიური სახელი აქვს: „იცხოვრე ამ ცხოვრებით“. სინამდვილეშიც ასე იქცევით?

— ეს უბრალოდ აუცილებელია.

## თქვენი ინტერვიუ
## კლაუს ტოპმიოლერთან

*თქვენთვის კარგად ნაცნობი ამ რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი იქნება.*

*კითხვები 5 თებერვლის ჩათვლით უნდა მოგვაწოდოთ და ჰერ კლაუსთან ინტერვიუ არაუგვიანეს 12 თებერვლამდე გამოქვეყნდება.*

*იაქტიურეთ!*

მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net



# ფეხბურთი და თბილისი

## ალექსიძე არ თმობს და თავიდან იწყებს



**თბილისის** „დინამო“, ლონდონის „ჩელსი“, „როსტოვი“, ეროვნულ ნაკრებში 19 თამაში და 2 გოლი — 26 წლის რატი ალექსიძე ფეხბურთისკენ მოტრიალდა და ახლა „თბილისში“ ვარჯიშობს.

თითქმის წელიწადნახევარი ალექსიძე უგუნდოდ იყო. „როსტოვსა“ და მას შორის კონფლიქტი შარშანწინ დაიწყო და რატიც რუსეთიდან შინ დაბრუნდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ალექსიძე არც ერთ გუნდში არ მისულა, შარშანდელ იანვარში მძიმე ტვინის შერყევა მიიღო ავტოავარიაში და რამდენიმე თვე უვარჯიშებელი გახლდათ. რატიმ შემოდგომაზე დაიწყო კუს ტბაზე ვარჯიში, ხოლო რამდენიმე დღეა, რაც „თბილისში“ მივიდა.

— რატი გუნდთან ერთად ვარჯიშობს, თუმც ჯერ ინდივიდუალური პროგრამით, რადგან კარგა ხნის უვარჯიშებელი იყო და, ბუნებრივია, სხვა ფეხბურთელებს დატვირთვაში ვერ აჰყვება. ჯერ გადაწყვეტილი არაფერია, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, ალექსიძემ ჩვენთან დაიწყოს თამაში. რამდენი ხანი დასჭირდება მას ფორმის სრულად აღსადგენად, ამის თქმა ახლა შეუძლებელია — გვითხრა „თბილისის“ მთავარმა მწვრთნელმა გიორგი დევდარიანმა.

„თბილისში“ სხვა ახალი ამბებიცაა — „ბათუმიდან“ წასული 22 წლის ცენტრალური მცველი ნიკა გუშარაშვილი მეორე წრიდან თბილისელთათვის გაირჯება, „თბილისშივე“ ვარჯიშობს ასევე „ბათუმიდან“ გამობრუნებული გიორგი მიქაძე — ამ 25 წლის ფორვარდს „თბილისში“ ადრეც უთამაშია და, დიდი შანსია, კვლავ თბილისელი გახდეს.

**დავით თავართქილაძე**



# ცხინვალი დაიშალა?

## დებიუტანტი პრემიერის სიტყვას ელის

**გააგრძელებს** თუ არა ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში თამაშს „ცხინვალი“? დღეს ამ კითხვაზე გადაჭრით ვერავინ გიპასუხებთ. არადა, რამდენიმე დღის წინ შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულმა მიხეილ ქარელმა დაგვაიმედა, „ცხინვალი“ კვლავაც ბიუჯეტიდან დაფინანსდება და ელიტაში ადგილსაც აუცილებლად შეინარჩუნებსო.

გუშინ „ცხინვალის“ დირექტორ ზურაბ ნასუაშვილს იმ იმედით შევეხმიანეთ, კლუბის ახალ შენაძენებზე და მოსამზადებელი ეტაპის მსვლელობაზე მივიღებდით ინფორმაციას. აღმოჩნდა, რომ მესამე დღეა, გუნდი აღარ ვარჯიშობს და ფეხბურთელები დაჟინებით მოითხოვენ გათავისუფლების ფურცლებს.

— სამი დღის წინ გადაწყდა, რომ „ცხინვალი“ ბიუჯეტიდან აღარ დაფინანსდება. რვა წლის განმავლობაში სწორედ ამ ფორმით ვარსებობდით, დღეს კი ერთადერთი ადამიანი, ვისაც ჩვენთვის გამოტანილი განაჩენის შეცვლა შეუძლია, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელია. მინდა, თქვენი გაზეთის დახმარებით ხმა მივაწვდინო დავით ნამგალაურს, დავით კირკიტაძეს, ფეხბურთით დაინტერესებულ ყველა პიროვნებას. ცხინვალის ოსური გუნდი რუსეთის პირველობაზე თამაშობს და რუსეთიდანვე ფინანსდება. ასეთ პირობებში ჩვენი გუნდის დაშლა უდიდესი სირცხვილი იქნება. ხვალ პარლამენტში ვაპირებ მისვლას და ეგებ რამე გამოსავალი მოიძებნოს. თუ არა და, შეგიძლიათ, ჩათვალოთ: „ცხინვალი“ აღარ იარსებებს — ზურაბ ნასუაშვილს აღელვების საბაბი ნამდვილად ჰქონდა.

შეგახსენებთ, რომ „ცხინვალის“ პრეზიდენტი თავად მიხეილ ქარელია, ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ამ გუნდის დაშვებას კი პატრიოტული მოტივი დაედო საფუძვლად.

საინტერესოა, ჩვენი პატრიოტიზმი აღმოჩნდა ნამეტანი მოკლევადიანი თუ რვა წლის განმავლობაში ყველაზე მეტად გაუჭირდა ბიუჯეტს? „ცხინვალის“ დაშლა მხოლოდ ერთი გუნდის ან ერთი რეგიონის პრობლემა ნამდვილად ვერ იქნება — უმაღლესი ლიგის ბინადრის დაშლა ჩვენი საკლუბო ფეხბურთის უმწიფრობის მორიგ დასტურად იქცევა.

**გიორგი ნოზაძე**

# დავითაშვილებმა გოლები დათვალეს

## ამერი ანთალიაში გურჯაანიდან წავიდა

7:1 — ასეთი ანგარიშით მოუგო გუშინ გურჯაანში თბილისის „ამერმა“ თელავის „კახეთს“. ორ-ორი გოლი სულიკო დავითაშვილმა და ალეკო კაიდარაშვილმა გაიტანეს, თითო კი გიორგი დეკანოსიძემ, გიორგი სილაგავამ და დავით სევასტოპულომ. ამ გოლებს თელაველმა ნიკოლოზ დავითაშვილმა ერთით უპასუხა.

დღეს „ამერი“ ორკვირიან შეკრებაზე მიემგზავრება ანთალიაში, სადაც საერთაშორისო ტურნირშიც მიიღებს მონაწილეობას, „კახეთი“ კი ჩემპიონატისთვის მზადებას შინ გააგრძელებს და ძალებს აქაურ მეტოქეებთან მოსინჯავს.

*კახეთი: ცინცაძე, ნიკურაძე, კვირკველია, დათუნაშვილი, ბედოიძე, შენგელია, კუპრაშვილი, ამირანიძე, იმერლიშვილი, ბურნაძე, ტატიშვილი.*

შეცვლაზე შევიდნენ: *არუდაშვილი, ბიძინაშვილი, კობაიძე, კევლიშვილი, ძამუნაშვილი, ძამუკაშვილი, ნ. დავითაშვილი.*

*ამერი: ლ. ნადირაშვილი (გვენცაძე 77), გ. კვახაძე (კედელაშვილი 46), დავითნიძე (ბერიანიძე 58), ხვადაგიანი (გარუჩავა 46), ჩიკვილაძე, ბოლქვაძე (დობროვოლსკი 58), დოლიძე (სილაგავა 58), დეკანოსიძე, კოშკაძე, ს. დავითაშვილი (სევასტოპულო 58), კაიდარაშვილი.*

**ლუკა თალაკვაძე**

# რეგიონალლიგა

## კოტბუსმა მეორე ტაიმი დაიწუნა



ოლეგ გველესიანმა (მარჯვნივ) „კოტბუსს“ თავი ვერ მოაწონა

**„ვიტ ჯორჯიამ“** წლეულს პირველი საკონტროლო მატჩი „ზოოვეტთან“ გამართა და 8:1 მოიგო, 25 იანვარს კი რამაზ მუმლაძის გუნდი ორი შემადგენლობით ორ ტესტ-მატჩს ჩაატარებს რეგიონალლიგელ მეტოქეებთან — „ნორჩ დინამოელთან“ და ომც-სთან.

კიევის „დინამოში“ გასინჯვაზე მყოფ ოთარ მარცვალაძის გარდა, ვიტელებს ყველა ფეხბურთელი ადგილზე ჰყავთ და სამეორეწრეო შეკრებას მთლიანად თბილისში გაივლიან. საქართველოს ჩემპიონატის ლიდერი ანთალიაში აპირებდა წასვლას, მაგრამ ფრინველის გრიპმა გეგმები ჩაშალა.

„ვიტ ჯორჯიაში“ დარჩა ნახევარმცველი ოლეგ გველესიანიც, რომელიც ერთი კვირით გერმანულ „კოტბუსს“ თურქულ შეკრებაზე ახლდა და ორ ამხანაგურ მატჩშიც ითამაშა.

„ანთალიაში „კოტბუსს“ უვარჯიშებელი შევუერთდი და გერმანელებმა ეს კარგად იცოდნენ. მეორე ბუნდესლიგა უკვე დაიწყო და კოტბუსელები აქამდე უნდა შემხმიანებოდნენ, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. გერმანელებს ჩემზე უთქვამთ, კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ფიზიკურად მოისუსტებს, მეორე ტაიმში დაიღალაო — ეს ისევ და ისევ უვარჯიშებლობის გამო“ — გვითხრა გუშინ გველესიანმა.

**ილია ნანობაშვილი**

# ლომიძემ რუსეთი უკრაინაში გაცვალა

**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი კაპიტანი და რუსული „ჩკალოვეცის“ მცველი მამუკა ლომიძე უკრაინულ „ხარკოვში“ ვარჯიშობს. ჯერჯერობით გადაწყვეტილი არაა, ჩაირიცხება თუ არა ლომიძე უკრაინულ გუნდში, თუმცა გუშინ ჩვენებურმა არაოფიციალური დებიუტი კი მოიწყო — მახაჩყალის „ანჟისთან“ ამხანაგურ მატჩში (2:1) ძირითად შემადგენლობაში ითამაშა და მეორე ტაიმში შეცვალეს.

ხარკოველები ახლა უკრაინაში არიან და თურქულ შეკრებაზე წასასვლელად ემზადებიან. წავა თუ არა ლომიძე „ხარკოვთან“ ერთად შეკრებაზე, მწვრთნელები დღე-დღეზე იტყვიან.

**ბახა შალამბერიძე**



მამუკა ლომიძე (მარცხნივ)

გიო ახვლედიანის

სვეტი

## მინის თოჯინა ზღაპრიდან

ახლა ჩვენ, ყველანი ვლაპარაკობთ და ვფიქრობთ ელენე გედევანიშვილზე.

ის, თითქოს პატარა, ნაზი და ნატიფი მინის თოჯინა, ისე შემოსრიალდა ჩვენს თვალთახედვის არეში. თოჯინაც არ ეთქმის, ძველებური, ხელით ნაკეთი პატარა ქანდაკებები რომაა ანტიკვარიატის მაღაზიებში.

როცა ამ პატარა გოგოს უყურებ დიდ და ცივ ყინულზე, შორეულ ქალაქში, სპორტზე ფიქრი ძნელია.

ასევე ძნელია შედეგებსა და დაკავებულ ადგილებზე ფიქრი. თუმცა სწორედ ამ შედეგებმა გაახმიანა ჩვენთვის ელენე გედევანიშვილის სახელი.

ამის მიუხედავად, მთავარი სხვაა, რადგან ამ პატარა გოგოსთვის ლიონში დაკრულ ტაშს სულ სხვა ხმა და გემო აქვს. მე ასე მომეჩვენა და რა ვიცი. ეგებ სხვამ უფრო ხაზგასმული სიზუსტით შეასრულოს სამმაგი ბრუნი და იმავე ამოსუნთქვაზე ორმაგიც მიაყოლოს, მერე კი მოქნილად მოივლოს ხელი ციგურის კიდეზე და დაბზრიალდეს ყინულზე.

ალბათ ასეც არის და სპორტული გზა ჩვენი გოგოსთვის აწი და აწი უფრო ძნელი იქნება, მაგრამ მთავარი აქ სხვაა. მთავარი ისაა, რა შეგრძნებას იწვევს ყინულზე მდგომი გედევანიშვილი და რა განწყობას აფრქვევს.

ჩემთვის ეს დავიწყებული საშობაო ზღაპრის შეგრძნება იყო: დიდურ ისტორიაში გარეული ბავშვის ამბავი. იმ ბავშვის, რომელიც თანდათან ზღაპრის მთავარი გმირი ხდება მყუდრო, მოგონილ, თბილი გულებისა და მკაცრი გარემოს სამყაროში.

ეგებ ეს გადამეტებულიც იყოს და სულ სხვაგან წაგვიღოს, მაგრამ მგონია, რომ სწორედ ახლა, ამ ვითარებაში გედევანიშვილი საოცარ განწყობას ქმნის და როგორც ჩანს, არა აქვს მნიშვნელობა, რამდენ თვეს თოვს შენს ქვეყანაში და იყინება თუ არა ტბები.

მთავარი ის არის, რაც ყინულზე გადმოილვრება ხოლმე.

# წითელკანიანთა პრანჭიკელა ბელადის თბილისური ბავშვობა

## ელენე გედევანიშვილისთვის მოსკოვში ლოცულობდნენ

*16 წლის ფიგურულად მოციგურავე ელენე გედევანიშვილის ევროელიტაში უეცრად შესრიალებაზე იმდენი დაიწერა და ითქვა, რომ მხოლოდ ერთს შევახსენებთ: ქართველმა მოციგურავემ ნაღდი სენსაცია მოახდინა ლიონის ევროპის ჩემპიონატზე. დებიუტანტმა ყინულის ევროდედოფლებში მეხუთე ადგილი დაიკავა და ევროპის ჩემპიონატის მეშვიდედ მომგებ რუს ელენა სლუცკაიას ათქმევინა, ამ ჩემპიონატს ორი გმირი ჰყავდა — მე და ელენეო.*

*როგორი იყო ელენეს ბავშვობა თბილისში, რა უყვარდა, რა არ მოსწონდა და სად დაიწყო ვარჯიში? ამაზე მისი პირველი მწვრთნელი თამრიკო ჯიქია გვიამბობს*

— ძალიან კარგად მახსოვს ელენეს მოსვლა ჩვენს კომპლექსში. პირველად სხვა ჯგუფში, ლელა ჩოფიკაშვილთან ჩაირიცხა. მაშინ ოთხი წლის იყო ხომ არის გამოთქმა, ერთი ნახვით შეყვარებაო, ზუსტად ასეთი მომენტი მქონდა. დანარჩენებისგან საოცრად განსხვავებული იყო. ხუჭუჭა, ზამბარასავით დახვეული, გაწეწილი თმები ჰქონდა. ეგზოტიკური შეხედულების პრანჭიკელა გოგო იყო, წითელკანიანთა ბელადს ვეძახდი. ველარ მოვითმინე და ელენე ჩემს ჯგუფში გადმოვიყვანე. ოთხი წლისას უკვე ეტყობოდა, რომ ციგურაობისთვის იყო დაბადებული.

**— როგორ ატყობდით?**

— ხომ არის მწვრთნელის ინტუიცია. სწორედ ამით ვგრძნობდი. ამასთან ძალიან ცოცხალი ბავშვი იყო. მოუსვენარი, ცელქი, თავისებური სიჯიუტეც ჰქონდა.

**— სიცელქე რაში გამოიხატებოდა?**

— ციბრუტივით ტრიალებდა, მოსვენება არ ჰქონდა. არანორმალურად უყვარდა თოვლი და საერთოდ თეთრი ფერი. დარბაზში ყინულის ზედაპირს რომ გავწმენდდით, თოვლის ნამქერივით რჩებოდა და სულ ამ ნამქერში წვებოდა. თოვლის ჭამაც უყვარდა, მეც და მშობლებიც ვუშლიდით, მაგრამ მაინც თავისას აკეთებდა.

**— ხშირად ჯიუტობდა?**

— ეს ცალკე თემაა. ტყუილად არ გითხარით, თავისებურად ჯიუტი იყო-მეთქი. თუ არ უნდოდა, არ გააკეთებდა, თუ უნდოდა, იცოცხლეთ, წამებში შეასრულებდა დავალებას. პრინციპში ოთხი წლის ელენესთვის სამწვრთნელო პროცესი და დავალების შესრულება ზედმეტი ტვირთი იყო, მაინცდამაინც არც ჩვენ ვტვირთავდით. ორ-სამი წლის შემდეგ კი სულ სხვა იყო ელენე, სწრაფად ითვისებდა ყველაფერს და დავალებასაც ასრულებდა.

**— ზარმაცობდა?**

— არა, არასდროს, ვარჯიშიც კი არ გაუცდენია. საბურთალოზე ცხოვრობდა, პარტიზანების ქუჩას რომ ვეძახით, იქ და მოედანზე მოსვლის პრობლემა არ ჰქონია. სანამ ჭკუაში ჩავარდებოდა, უბრალოდ, არ უნდოდა რომელიმე დავალების შესრულება, თორემ 6-7 წლისა უკვე სერიოზულად ვარჯიშობდა. რასაც მანამდე არ აკეთებდა, სიზარმაცის კი არა, სიჯიუტის ბრალი იყო.

**— რამის ამოჩემება თუ იცოდა, ან რაიმეს კომპლექსი ჰქონდა?**

— არა, საერთოდ ერთ ბავშვში სილამაზის, არტისტიზმისა და ნიჭიერების ასე ლამაზად შერწყმა მანამდე და ახლაც არსად მინახავს. საოცრად დამჯერე და უკომპლექსო იყო. დიდხანს ვავარჯიშებდი და მასთან არანაირი პრობლემა არ მქონია.

**— განსაკუთრებით რა კომპონენტში იყო ძლიერი?**

— ნახტომში, საოცრად მსუბუქად ასრულებდა ბრუნვებს. არც სხვა ელემენტებში იყო სუსტი, უბრალოდ, ეს უფრო უკეთ გამოსდიოდა.

**— თქვენთან რამდენ ხანს ვარჯიშობდა?**

— ექვსი წელი ვავარჯიშებდი, ათი წლისა უკვე მოსკოვში წავიდა. ძალიან გამიჭირდა მასთან განშორება, მაგრამ ყველა ვხვდებოდით, რომ მის აქ დარჩენას აზრი არ ჰქონდა. თუ ელენეს უნდოდა სპორტული კარიერა აეწყო და რაიმე წარმატებისთვის მიეღწია, უნდა წასულიყო, სხვანაირად არ შეიძლებოდა. სხვათა შორის, ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტმა ირაკლი ჯაფარიძემაც ბევრი გააკეთა, რათა ელენე კომფორტულად და რაც მთავარია, კარგ მწვრთნელებთან მოწყობილიყო. მისმა მშობლებმაც თავი გადადეს. შვილის წარმატებისთვის საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდნენ. ელენემ ეს იცის და მშობლებს ამაგი რომ დაუფასოს, გაორმაგებული ენერგიით ვარჯიშობს, შედეგიც სახეზეა.

**— ხშირად უკავშირდებით ერთმანეთს?**

— საკმაოდ. ახლაც ევროპის ჩემპიონატზე მეხუთე ადგილი რომ დაიკავა, ლიონიდან დამირეკა და ერთმანეთს მივულოცეთ. იმ ღამეს მშობლებსაც ველაპარაკე. სპორტული ოჯახი აქვს, მშობლები მოთხილამურეები იყვნენ, ძმაც დედ-მამის გზას გაადგა. იმ ღამეს დედამისი, ქალბატონი მაკა ეკლესიაში იყო და ელენეს წარმატებისთვის ლოცულობდა.

**ბაჩო სვანიძე**



ევროპის ციგურაობის ფედერაციის პრეზიდენტმა მარიო ჩიკვანტამ ელენე გედევანიშვილი 4 წლის წინ გაიცნო



თამარ ჯიქია





2005 წლის ნოემბერი. ტალინში ელენე გედევანიშვილმა იუნიორთა მსოფლიო ტური მოიგო

### ლიონი

*საფრანგეთი*

ქალები

1. ირინა სლუცკაია (რუსეთი) 193.24 ქულა
2. ელენა სოკოლოვა (რუსეთი) 177.81 ქულა
3. კაროლინა კოსტნერი (იტალია) 172.45 ქულა

### ევროპის ჩემპიონატი

5. *ელენე გედევანიშვილი (საქართველო) 153.27 ქულა*

კაცები

1. ევგენი პლიუშენკო (რუსეთი) 245.33 ქულა
2. სტეფან ლამბიელი (შვეიცარია) 222.87 ქულა
3. ბრიან ჟობერი (საფრანგეთი) 222.85 ქულა

სპორტული წყვილები

1. ტატიანა ტოტმიანინა-მაქსიმ მარინინი (რუსეთი) 195.87 ქულა
2. ალიონა სავჩენკო-რობინ ჟოლკოვი (გერმანია) 188.08 ქულა
3. მარია პეტროვა-ალექსეი ტიხონოვი (რუსეთი) 187.04 ქულა

მოცეკვავე წყვილები

1. ტატიანა ნავკა-რომან კოსტომაროვი (რუსეთი) 202.32 ქულა
2. ელენა გრუშინა-რუსლან გონჩაროვი (უკრაინა) 195.73 ქულა
3. მარგარიტა დრობიაზკო-პოვილას ვანაგასი (ლიტვა) 195.18 ქულა

# მსოფლიოს თასი



ჰერმან მაიერი

# ავსტრიული ტრიუმფი ალპებში

**ამჯერად** „თეთრი ცირკის" მორიგი ეტაპები ალპებში გაიმართა. ქალებმა თავი ცნობილ შვეიცარიულ კურორტ სანქტ მორიცში მოიყარეს, კაცებმა კი არანაკლებ ცნობილ ავსტრიულ კიცბიუელში, ხოლო იმას, რაც ამ უქმეებზე ვნახეთ, თავისუფლად შეიძლება დაერქვას ავსტრიული ტრიუმფი. გარდა იმისა, რომ ჩატარებულ ოთხივე შეჯიბრში ავსტრიის წარმომადგენლებმა იჩაუქეს, ორში პირველი ხუთეული კინაღამ მარტო ავსტრიელებისგან დაკომპლექტდა.

ქალების ორივე ეტაპს მხოლოდ ერთი გამარჯვებული — მიკაელა დორფმაისტერი ჰყავდა, რომელმაც ყველას დაანახვა, რომ ტურინში ერთ-ერთ ფავორიტად მოგვევლინება. განსაკუთრებით ეს სუპერგიგანტის შეჯიბრებას შეეხება, სადაც დორფმაისტერი ალბათ ოქროს მედლის უმთავრესი პრეტენდენტი იქნება.

დორფმაისტერმა მართლაც დიდებულად ჩაატარა სუპერგიგანტი და ამ დისციპლინისთვის უდიდესი სხვაობით, მთელი 40 მეასედი წამით აჯობა მეორეზე გასულ სლოვენიელ ტინა მაზეს. ავსტრიელმა ტრასა მართლაც რომ უსწრაფესად გაიარა.

შაბათს მიკაელამ სწრაფდაშვებაც მოიგო და დუბლიც გაახერხა. ამჯერად საკმაოდ გაუჭირდა, ვინაიდან მისმა თანამემამულეებმა, განსაკუთრებით კი რენატა გიოჩლმა, გამოიდეს თავი, მაგრამ დორფმაისტერი მაინც საუკეთესო იყო, გიოჩლს გადაუსწრო და კარიერაში 24-ე ეტაპზე იმარჯვა.

„ეს გასაოცარია, დიდებულია, 24 საათში ორ ეტაპზე გავიმარჯვე-ქარი იყო და აჩქარება ძალიან ჭირდა, მაგრამ ტრასის მეორე ნახევარზე ცოტა მოვუმატე და ამან მიშველა" — აღფრთოვანებას ვერ ფარავდა დორფმაისტერი.

ყველაზე საინტერესო მაინც ის იყო, რომ მიუხედავად თავისი წარმატებისა, დორფმაისტერმა ბოლო ხანებში დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, ორგანიზატორები მაინც გააკრიტიკა ტრასის სიძნელის გამო. მოკლედ, ეს ავსტრიელი ქალბატონი ყოველთვის რაღაცით უკმაყოფილოა.

აი, საერთო ჩათვლის ლიდერებიდან კი მხოლოდ იანიცა კოსტელიჩმა იყოჩაღა და სწრაფდაშვებისას პოდიუმზე მაინც მოხვდა. სხვებმა ჯერჯერობით შვეიცარიაში თავი ვერაფრით გამოიჩინეს.

კაცებმა, როგორც ითქვა, თავი ავსტრიულ კიცბიუელში მოიყარეს და ადგილობრივმა მოთხილამურეებმაც თავიანთ გულშემატკივრებს მშვენიერი სანახაობა მოუწყვეს.

მთავარი მაინც დიდი „ჰერმინატორის", ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მოთხილამურედ შერაცხულ ჰერმან მაიერის გამარჯვება იყო სუპერგიგანტში. უკვე ლეგენდადქცეულმა მაიერმა ძველებური გაიხსენა და დიდებულად გაიარა უძნელესი ტრასა. არადა, ამ ტრასის დაძლევა ბევრს გაუჭირდა და მონაწილეთა ნახევარმა ფინიშამდეც ვერ მიაღწია.

ასე რომ, „ჰერმინატორი" ამჯერად საკმაოდ კარგ ფორმაშია და ტურინშიც ბევრ აღიარებულ ფავორიტს გააწამებს.

შაბათის სწრაფდაშვებაში უკვე მიხაილ ვალჰოფერმა იმარჯვა. ამჯერად ის ერთადერთი ავსტრიელი აღმოჩნდა პირველ ხუთეულში, მაგრამ, სამაგიეროდ, პოდიუმს სათავეში მოექცა. ვალჰოფერმა პირველად იმარჯვა კიცბიუელში სწრაფდაშვების დისციპლინაში.

„ეს მართლაც ძნელი გამარჯვება გამოდგა, ვინაიდან ბოლო მოსახვევში კინაღამ დავეცი... ეს ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო გამოსვლა იყო... ასეთი გამარჯვების შემდეგ ტურინში კარგ ხასიათზე წავალ" — თქვა ვალჰოფერმა.

ვალჰოფერს კვალში ამერიკელები — დარონ რავლესი და ბოდე მილერი უდგნენ, მაგრამ მათ ავსტრიელს ვერაფერი მოუხერხეს. ეგ კი არა, ლიხტენშტეინის წარმომადგენელმა მარკო ბიუხელმა მეორე ცდაზე ლამის იფრინა და ამერიკელებს მეორე ადგილიც ასწაპნა.

**ბახა ლომაშვილი**

### ქალები

*სანქტ მორიცი. შვეიცარია*

#### სუპერგიგანტი

1. მიკაელა დორფმაისტერი (ავსტრია) — 1.17,20
2. ტინა მაზე (სლოვენია) — 1.17,60
3. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) — 1.17,76
4. ალექსანდრა მაისნიცერი (ავსტრია) — 1.17,77
5. რენატა გიოჩლი (ავსტრია) — 1.17,79

#### სწრაფდაშვება

1. მიკაელა დორფმაისტერი (ავსტრია) — 1.43.76
2. რენატა გიოჩლი (ავსტრია) — 1.43,83
3. იანიცა კოსტელიჩი (ხორვატია) — 1.43,95
4. ალექსანდრა მაისნიცერი (ავსტრია) — 1.44,01
5. მარტინა შილდი (შვეიცარია) — 1.44,11

### კაცები

*კიცბიუელი. ავსტრია*

#### სუპერგიგანტი

1. ჰერმან მაიერი (ავსტრია) — 1.22,97
2. პეტერ ფილი (იტალია) — 1.23,02
3. ჰანს რაიხელტი (ავსტრია) — 1.23,25
4. სტეფან გოერგლი (ავსტრია) — 1.23,37
5. კლაუს კროელი (ავსტრია) — 1.23,44

#### სწრაფდაშვება

1. მიხაელ ვალჰოფერი (ავსტრია) — 1.46,75
2. მარკო ბიუხელი (ლიხტენშტეინი) — 1.46,80
3. დარონ რეილვსი (აშშ) — 1.47,08
4. ბოდე მილერი (აშშ) — 1.47,13
5. ერიკ გუაი (კანადა) — 1.47,43

### თხილამურებით რბოლა

*ობერსდორფი. გერმანია*

#### ინდივიდუალური გამოდევნება

##### ქალები

1. ბეკი სკოტი (კანადა) — 39.44,3;
2. კლაუდია კიუნცელი (გერმანია) — +06,69;
3. კატერინა ნოიმანოვა (პოლონეთი) — +15,50

##### კაცები

1. ტობიას ანგერერი (გერმანია) — 1:14.09,7;
2. ანდრეს სოდერგრენი (შვედეთი) — +00,39;
3. რენე ზომერფელდტი (გერმანია) — +25,19

## ბიატლონი

### კაცები

*ანტჰოლცი. იტალია*

#### გამოდევნება 12,5 კმ.

1. რიკო გროსი (გერმანია) — 33.44,0 (1+0+0+0);
2. ჰალვარდ ჰანევოლდი (ნორვეგია) — +0.29,8 (0+0+1+1);
3. ფროდე ანდერსენი (ნორვეგია) — +0.34,7 (1+1+1+1)

### ქალები

#### სპრინტი 7,5 კმ.

1. კატი ვილჰელმი (გერმანია) — 21.45,0 (0+0);
2. სანდრინ ბეილი (საფრანგეთი) — 0.02,8 (0+0);
3. ალბინა ახატოვა (რუსეთი) — +0.25,4 (0+0)

#### გამოდევნება 10 კმ.

1. კატი ვილჰელმი (გერმანია) — 33.02,5 (0+1+1+0);
2. სანდრინ ბეილი (საფრანგეთი) — +0.25,1 (1+0+1+1);
3. ალბინა ახატოვა (რუსეთი) — +0.52,0 (0+0+0+0)

## ტრამპლინიდან ხტომა

*საპორო ოკურაიამა. იაპონია*

1. ბიორნ რომორენი (ნორვეგია) — 269,9 ქულა;
2. როარ ლიოკელსოი (ნორვეგია) — 262,3;
3. ტაკანობუ ოკაბე (იაპონია) — 256,6



# თავისუფალი დეზიუეტი

## საჭიდაო ყუთლაზის შევსება ბაქოდან იწყება

**თავისუფალი** სტილით მოჭიდავე საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა სეზონი ბაქოს საერთაშორისო ტურნირით დაიწყო. თამაზ ბენდიანიშვილის გუნდი მოჭიდავეთაგან წლეულს პირველი გავიდა საზღვარგარეთ და სამივე სინჯის მედლების მოპოვებაც მოახერხა. ათკაციანი შემადგენლობიდან კვარცხლბეკზე ექვსი ავიდა. გიორგი მარტიაშვილი (63 კგ), ოთარ უროტაძე (69 კგ) და ელია ოდიკაძე (85 კგ) ჩემპიონები გახდნენ. თორნიკე როსტიაშვილმა (58 კგ) ვერცხლი აიღო, ხოლო ვასილ მამულაშვილმა (46 კგ) და ბექა ბუქურმა (63 კგ) — ბრინჯაოები.

უხვმედლიანობის მიუხედავად, ნაკრების მთავარი მწვრთნელი შეჯიბრების ბაქოური შედეგით ბოლომდე კმაყოფილი მაინც არაა:

— გუნდური მეორე ადგილი დავიკავეთ, როცა პირველობაც შეგვეძლო — გვითხრა აზერბაიჯანიდან ახალდაბრუნებულმა ბენდიანიშვილმა.

— პირველზე ვინ გავიდა?

— მასპინძელთა ნაკრები, მესამეზე კი — ირანი. გუნდურშიც ვიჩემპიონებდით, 42 კილოგრამში მონაწილე რომ გვყოლოდა. სამწუხაროდ, საპასპორტო პრობლემის მოგვარება ვერ მოესწრო. სწორედ ამის გამო დავკარგეთ მნიშვნელოვანი ქულები.

— ბაქოში გამგზავრებამდე გვითხარით, რომ ამ ტურნირის მთავარი დატვირთვა წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის შემადგენლობის შერჩევა იყო.

— ასეცაა, თუმც საბოლოო შემადგენლობის დასახელებამდე ჯერ დიდი დროა. ევროპის ჩემპიონატი 25-30 ივლისს სტამბოლში უნდა ჩატარდეს. იქამდე 26-27 მარტს ზარბეგ ბერიაშვილის სახელობის ტურნირი გველის, 22-23 მარტს საქართველოს ჩემპიონატია, 26-28 მაისს კი — საერთაშორისო ტურნირი თურქეთში. ამ სამი პირველობის შედეგებით დაკომპლექტდება საევროპე გუნდი.

— ბაქოური შემადგენლობიდან რამდენს აქვს სტამბოლში წასვლის შანსი?

— ამაზე საუბარი ჯერ ძნელია: სხვა მიზეზებზე რომ არაფერი ვთქვათ, ამ ასაკში ბავშვები წონასაც სწრაფად იცვლიან. აზერბაიჯანში ძირითადად ახალბედები გამოვცადე და მათ კიდევ დავაკვირდები.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# ქართული საკატიკოსო უქმეები

## იოკოძუნას ხანა ტოჩიაძუმამ დაასრულა



იოკუძუნა ასასიორიუ იანვრის ბაშოზე პირველად კოკაიმ წააქცია

**შაბათ-კვირას** ქართველმა სეკიტორიმ, ლევან ცაგურიამ, ორი ბრძოლა მოიგო და სეზონის გამხსნელი ბაშო კატიკოსით (დადებითი ბალანსით) დაასრულა. დასავლეთის მეორე მაეგაშირას წოდებას კოკაი 27 თებერვალს აიმაღლებს, მაგრამ რამდენით წაიწევს წინ, ჯერ ძნელი სათქმელია. სწორედ, 27 თებერვალს გამოქვეყნდება წოდებათა განახლებული სია.

ბოლოსწინა ტურში ცაგურიამ კომუსუბი კიოკუტენხო წააქცია, ხოლო გუშინ კიდევ ერთი კუმუსუბის, იაპონელ მაყურებლებში განსაკუთრებით პოპულარულ ტაკამისაკარის აჯობა.

იმპერატორის თასი კი, როგორც იქნა, იაპონელმა ასწია. მონღოლი იოკოძუნა ასასიორუს პირველობის ხანას ოძეკი ტოჩიაძუმამ დაუსვა წერტილი. თან ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ბოლო ტურის ბოლო შეხვედრაში ტოჩიაძუმა დიად ჩემპიონს პირადად გაუსწორდა. იმპერატორის თასის დაუფლებით, ოძეკიმ მარტის ბაშოსთვის იოკოძუნას წოდების კანდიდატობაც გაინაღდა და თუ გაზაფხულზეც ახლანდელივით ილოჩალა, ოცდამეერთე საუკუნის მეორე იოკოძუნა გახდება.

ცნობისთვის, ასასიორუმ ვერც მეორეობა შეძლო. ოთხწაგებიან მონღოლს 20 წლის თანამემამულე სეკივაკე ხაკუხომ და რიგითმა მაეგაშირებმა ხოკუტორიკიმ და ტოკიცუმიმაც გაუსწრეს. ასეთი ცუდი ბაშო „ცისფერ დრაკონს" ბოლოს როდის ჰქონდა, ალბათ, თავადაც არ ახსოვს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# დიდი წიგნი პირველი ქართული

## სპორტული ენციკლოპედია

**ეს** წიგნი მოიცავს 2500-მდე სტატიას, 4000-მდე ფოტოს, 500-ზე მეტ ნახატს, ნახაზს, ცხრილს, რომელშიც ასახულია „თეთრი“ და „მწვანე“ ოლიმპიური თამაშები, მსოფლიოს ხალხთა 150-ზე მეტი ტრადიციული სახეობა, სპორტის ტექნიკური თუ ექსტრემალური სახეობები, 50-მდე ქართული ეროვნული თამაშობები, 1000-მდე ქართველი თუ უცხოელი სპორტსმენის დოსიე და ფოტო...

ერთი სიტყვით, ამ წიგნშია პასუხი ყველა კითხვაზე, რომელიც სპორტის გულშემატკივარს დაებადება.

ნაშრომი სხვა უცხოურ გამოცემებთან შედარებით გამორჩეულია არა მხოლოდ შინაარსით, არამედ ფორმითაც.

„ომეგა თეგის“ სტამბაში შესანიშნავ პოლიგრაფიულ დონეზე დასტამბული, ფორმითა და შინაარსით საუკეთესო ეს წიგნი არაფრით ჩამოუვარდება მსგავს უცხოურ გამოცემებს. მეტიც — ჩვენ გვინახავს მრავალი მსგავსი უცხოური გამოცემა და თუ სიტყვაზე გვენდობით, ჩვენი ქართული ბევრ მათგანზე მთელი თავით მაღლა დგას.

ასე რომ, ეს ენციკლოპედია პირდაპირი და, გნებავთ, გადატანითი მნიშვნელობით, უთუოდ დაამშვენებს და 3,5 კილოგრამით დაამძიმებს თქვენი წიგნის თაროს.

„ეს წიგნი უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ ცნობარი, ანუ ფაქტების მშრალი კრებული — წერს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილი ამ ნაშრომის წინასიტყვაობაში — გადაუჭარბებლად შეიძლება თიქვას, რომ ეს არის ჩვენი კულტურის შენაძენი, საშვილიშვილო საგანმანათლებლო ნაშრომი — ვაჟკაცობისა და პატიოსანი სულისკვეთებით გამსჭვალული და სიყვარულით შედგენილი წიგნი“.



გადექი კვირიკაშვილის ფოტო

*რამდენიმე დღეც და, მკითხველი მიიღებს მეტად საინტერესო წიგნს, ქართულად გამოცემულ „სპორტის ენციკლოპედიას“. მკითხველიო, რომ ვამბობთ, იქნებ უნდა დაგვეკონკრეტებინა, სპორტის მოყვარულიო, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ეს წიგნი მიიზიდავს არა მხოლოდ სპორტის გულშემატკივრებს, არამედ მხატვრებსაც, მოქანდაკეებსაც, არქიტექტორებსაც, საერთოდ, ხელოვნების მოყვარულებს, მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა ისტორიით გატაცებულებსაც და წიგნის გამოცემის კულტურით დაინტერესებულებსაც. და მაინც, უპირველეს ყოვლისა, ესაა წიგნი მსოფლიოს სპორტზე და ამასთან საქართველოს სპორტული მატიანეც, რომლის მსგავსი გამოცემით ცოტა ქვეყანა თუ მოიწონებს თავს*

გუშინდელივით მახსოვს, ამ რვა წლის წინათ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა რომ აიტეხა, ქართულად „სპორტის ენციკლოპედია“ უნდა მოვამზადოთ და გამოვცეთო. ცოდვა გამხელილი სჯობს და მაშინ ამ წამოწყების მთელი სიმძიმე რომ წარმოვიდგინე, ვიფიქრე მსგავს გამოცემებზე კომუნისტების ხანაში მთელი ინსტიტუტები წლობით მუშაობდნენ და ჩვენ, რამდენიმე კაცმა, ეს საქმე შეიძლება მთელი ცხოვრების განმავლობაშიც ვერ გადავაგოროთ-მეთქი.

და აი, ეს საქმეც გადაგორდა და ახლა უკვე ამ ენციკლოპედიის წინასიტყვაობაში წიგნის პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი ელგუჯა ბერიშვილი იხსენებს:

„რვა წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ამ წიგნისთვის პირველი სტრიქონები დაიწერა. ჩვენი კოლეგისა და უფროსი მეგობრის ნოდარ გუგუშვილის მიერ შედგენილი ოლიმპიური ენციკლოპედიის გამოცემით შეგულიანებულები შევეჭიდეთ ამ რთულ და საპასუხისმგებლო საქმეს. თავიდან ცოტანი ვიყავით, ერთი სამუშაო ოთახისა და ორი საწერი მაგიდის ამარა. მერე და მერე ავტორები მოგვიმრავლდნენ და ისეთი ადამიანებიც გამოჩნდნენ, რომლებმაც ჩვენი ჩანაფიქრი მოიწონეს და მხარი დაგვიჭირეს. მათი უანგარო დახმარება რომ არა, ამ წიგნის გამოცემა შეუძლებელი იქნებოდა“.

„უანგარო დახმარებაში“ იგულისხმება ის უდიდესი წვლილი, რომელიც წიგნის გამოსაცემად შეიტანეს საქართველოს ოლიმპიურმა ფონდმა და ჩვენი ქვეყნის სპორტის დეპარტამენტმა, რომელთა დაფინანსებითაც შესაძლებელი გახდა ამ კეთილი საქმის დაგვირგვინება, რაც „სპორტის ენციკლოპედიაში“ სათანადოდაა აღნიშნული.

აღნიშნულია გამოცემის პარტნიორებიც: საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია, „ჯეოსელი“, BRITISH AIRWAYS, GEORGIA ONLINE.

იქვე ვკითხულობთ:

„საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია მადლობას მოახსენებს ბატონ ბადრი პატარკაციშვილს სპორტის ენციკლოპედიის გამოცემაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის“.

ოღონდაც, ფინანსური პრობლემების გადაჭრამდე ამ წიგნის გამოცემას სხვა მრავალი სირთულეც ახლდა.

— ობიექტურ პრობლემებს დაერთო ჩვენთვის ნაცნობი, მაგრამ ძნელად გასაგები მიზეზები. მაგალითად, სერიოზულ პრობლემად გვექცა ჩვენს ხელთ არსებული ცნობების კიდევ ერთხელ შემოწმება — იმის გარკვევა და დაზუსტება, ვთქვათ, მსოფლიოსა და ევროპის რამდენი ჩემპიონი და პრიზიორი გვყავს სპორტის გარკვეულ სახეობებში, კონკრეტულად ვინ და როდის მოიპოვა [illegible] მედლები — გვიამბობს ელგუჯა ბერიშვილი — ამგვარი ინფორმაციები შეიძლება ამოვიკითხოთ სხვადასხვა ცნობარებში, მაგრამ საქმე ისაა, რომ მათი მონაცემები, არცთუ ისე იშვიათად განსხვავებულია. წესით, ამგვარი ინფორმაციის ოფიციალური წყარო უნდა იყოს შესაბამისი სპორტული ფედერაცია ან ორგანიზაცია. მათი ერთი ნაწილი, სამწუხაროდ, ან საერთოდ არ ფლობს ამ და სხვა აუცილებელ ცნობებს ან ეს მონაცემები იმდენად მოკლებულია რეალობას (არეულია პირადი და გუნდური, მოზრდილთა და ჭაბუკთა შეჯიბრებები, ცალკეულ დისციპლინებში და მრავალჭიდში მოპოვებული ჯილდოები), რომ კითხვებში გასარკვევად დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა. უცნაურია, მაგრამ არანაკლებ პრობლემებს წავაწყდით ზოგიერთ ქართველ სპორტსმენთა თუ მწვრთნელთა სრული ბიოგრაფიულ მონაცემების მოძიებისას, მათ შორის დაბადების თუ გარდაცვალების თარიღის დასადგენად. და ეს იმ დროს, როცა ასეთი ცნობები სხვადასხვა ენციკლოპედიებში თუ ცნობარებშიცაა. ამიტომ იძულებულნი ვიყავით, როგორც იტყვიან, კარდაკარ გვეარა და სპორტსმენებთან დაგვეზუსტებინა მათივე მონაცემები, მაგრამ ხშირად ისინი, ნებსით თუ უნებლიედ, უფრო მეტად გვაბნევდნენ — ერთნი ტიტულებს იმატებდნენ, მეორენი იკლებდნენ...

იმ შემთხვევაში, თუ რამდენიმე წყაროდან მიღებული ინფორმაციები ერთმანეთს არ შეესაბამებოდა, ამ მონაცემებს ვადარებდით პერიოდულ პრესაში თავის დროზე გამოქვეყნებულ ცნობებს და სხვადასხვა არქივში შემონახულ მასალებს, რაც მეტად შრომატევადი საქმე გახლდათ.

ერთი სიტყვით, მაქსიმალურად ვეცადეთ, წიგნი დაცული ყოფილიყო ადრინდელ ცნობარებში გაპარული უნებლიე შეცდომებისაგან და მკითხველისათვის ყოველმხრივ შემოწმებული ცნობები მიგვეწოდებინა.

— აი, ასე გადავაგორეთ ეს საქმე, გვითხრა საუბრის დასასრულს ელგუჯა ბერიშვილმა და დასძინა, ყველაფერი ამით არ დამთავრებულა, წინ კიდევ ბევრი საქმეაო.

**ავთანდილ გურასაშვილი**

## ჰოკეი

## რეგულარული ჩემპიონატი

20 იანვარი

**დალასი 3:6 ტამპა**

*1:4 2:1 0:1*

0:1 რიჩარდსი (5), 0:2 სიდორი (8), 1:2 კაპანენი (11), 1:3 ფედოტენკო (11), 1:4 კუბინა (13), 1:5 კრეიგი (23), 2:5 სვობოდა (24), 3:5 არნოტი (46), 3:6 აფანასენკოვი (59)

**კოლუმბუსი 4:3 სენტ ლუისი**

*1:1 1:2 1:0 0:0 1:0*

*ბულიტების სერიაში*

0:1 მაკამონდი (14), 1:1 ჟერდევი (20), 1:2 სილინჯერი (25), 2:2 ვიბორნი (28), 2:3 უაიდმენი (37), 3:3 პრდინა (47), 4:3 გადამწყვეტი ბულიტი: ნეში

**მინესოტა 4:1 ჩიკაგო**

*2:1 1:0 1:0*

1:0 ვანვიგი (4), 2:0 გაბორიკი (10), 2:1 კიტი (19), 3:1 ფოსტერი (37), 4:1 რ. რობიტაილი (50)

21 იანვარი

**ვაშინგტონი 5:2 კაროლინა**

*2:0 1:0 2:2*

1:0 უილსი (15), 2:0 პეტინგერი (19), 3:0 კლაიმერი (38), 3:1 კოული (50), 3:2 ბრინდამორი (52), 4:2 ლეიკი (57), 5:2 კლარკი (60)

**კოლორადო 3:4 დეტროიტი**

*1:3 2:1 0:0*

0:1 დაციუკი (1), 1:1 ლაპერიე (2), 1:2 ჰოლმსტრიომი (18), 1:3 შნაიდერი (19), 2:3 ბრიუნეტი (22), 3:3 ბლეიკი (34), 3:4 ლანგი (38)

**ოტავა 7:0 ტორონტო**

*3:0 3:0 1:0*

1:0 ალფრედსონი (1), 2:0 ჰიტლი (18), 3:0 შეფერი (20), 4:0 სპეცა (23), 5:0 ალფრედსონი (29), 6:0 ფიშერი (35), 7:0 ფიშერი (45)

**ვანკუვერი 6:2 მონრეალი**

*6:0 0:1 0:1*

1:0 მორისონი (1), 2:0 ბაროუსი (2), 3:0 ოლუნდი (5), 4:0 ნესლუნდი (13), 5:0 ჰ. სედინი (14), 6:0 ლინდენი (14), 6:1 რაიდერი (22), 6:2 კოივუ (59)

**ნიუ ჯერსი 3:2 აილენდერსი**

*1:0 0:0 1:2 0:0 1:0*

*ბულიტების სერიაში*

1:0 ბრილინი (16), 2:0 ელიაში (47), 2:1 შატანი (51), 2:2 პერიში (54), 3:2 გადამწყვეტი ბულიტი: პარიზე

**პიტსბურგი 1:2 ფილადელფია**

*0:1 0:0 1:1*

0:1 უმბერგერი (6), 0:2 კარტერი (55), 1:2 არმსტრონგი (57)

**ლოს ანჯელესი 3:4 სან ხოსე**

*2:2 0:0 1:1 0:1*

1:0 კოუენი (3), 2:0 პაროსი (4), 2:1 სტივენსონი (10), 2:2 ჩიჩუ (19), 3:2 კორვო (53), 3:3 ჯ. ტორნტონი (60), 3:4 მარლო (65)

**ატლანტა 0:2 ტამპა**

*0:1 0:0 0:1*

0:1 მოდინი (19), 0:2 ლეკავალიე (53)

**ნეშვილი 7:2 კოლუმბუსი**

*2:1 1:0 4:1*

0:1 ლეტოვსკი (9), 1:1 პარტნელი (11), 2:1 კარია (20), 3:1 პერო (22), 4:1 ჟიდლიცკი (46), 5:1 პარტნელი (47), 5:2 ბერარდი (54), 6:2 კარია (54), 7:2 ჰორდიჩუკი (54)

**კალგარი 4:1 ბუფალო**

*1:1 2:0 1:0*

1:0 მაკარტი (9), 1:1 აფინოგენოვი (15), 2:1 რეჟე (21), 3:1 ჰუსელიუსი (33), 4:1 დონოვანი (59)

**ანაჰაიმი 1:0 ფლორიდა**

*1:0 0:0 0:0*

1:0 კუნიცი (1)

**ფინიქსი 4:3 ედმონტონი**

*1:1 1:0 1:2 0:0 1:0*

*ბულიტების სერიაში*

1:0 კომრი (14), 1:1 რ. სმიტი (16), 2:1 ჯონსონი (40), 2:2 ლარაქი (46), 2:3 ჯ. სმიტი (51), 3:3 საპრიკინი (57), 4:3 გადამწყვეტი ბულიტი: ნადი

**ბოსტონი 2:3 რეინჯერსი**

*0:1 2:1 0:0 0:1*

*ბულიტების სერიაში*

0:1 უორდი (8), 0:2 სიკორა (23), 2:2 შტურმი (29), 2:2 სტიუარტი (33), 2:3 გადამწყვეტი ბულიტი: სიკორა

კაცები

**მესამე წრე**

**როჯერ ფედერერი** (შვეიცარია, 1) — მაქს მირნი (ბელარუსია, 30) — 6:3 6:4 6:3; **ტომი ჰაასი** (გერმანია) — პეტერ ლუჩაკი (ავსტრალია) — 4:6 6:3 6:4 6:4; **დომინიკ ჰრბატი** (სლოვაკეთი, 12) — იგორ ანდრეევი (რუსეთი, 23) — 1:6 6:4 6:3 2:6 6:4; **ნიკოლაი დავიდენკო** (რუსეთი, 5) — ნატან ჰილი (ავსტრალია) — 6:2 5:7 6:4 7:5; **ხუან-იგნასიო ჩელა** (არგენტინა) — კრისტოფ ვლიგენი (ბელგია) — 6:1 6:4 6:4; **ნიკლას კიფერი** (გერმანია, 21) — ხუან-კარლოს ფერერო (ესპანეთი, 15) — 6:3 6:2 5:7 6:2; **პოლ-ანრი მატიო** (საფრანგეთი) — ლუის ჰორნა (პერუ) — 7:6 7:6 6:1; **სებასტიან გროჟანი** (საფრანგეთი, 25) — გილერმო კორია (არგენტინა, 6) — 6:2 6:2 3:6 6:4

**მეოთხე წრე**

**მარკოს ბაღდატისი** (კვიპროსი) — ენდი როდიკი (აშშ, 2) — 6:4 1:6 6:3 6:4; **დავიდ ნალბანდიანი** (არგენტინა, 4) — ტომი რობრედო (ესპანეთი, 16) — 6:3 6:0 2:6 6:2; **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — დავიდ ფერერი (ესპანეთი, 11) — 6:4 7:5 7:5; **ივან ლიუბიჩიჩი** (ხორვატია, 7) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი, 10) — 6:2 6:4 6:4

ქალები

**მესამე წრე**

**პატი შნიდერი** (შვეიცარია, 7) — აიკო ნაკამურა (იაპონია) — 6:2 6:3; **ანასტასიტა მისკინა** (რუსეთი, 12) — სოფია არვიდსონი (შვედეთი) — 6:3 6:1; **ნიკოლ ვაიდიშოვა** (ჩეხეთი, 16) — ფლავია პენეტა (იტალია, 20) — 6:4 6:2; **ამელი მორეზმო** (საფრანგეთი, 3) — მიკაელა კრაიჩეკი (ჰოლანდია) — 6:2 *(უარი)*; **მარტინა ჰინგისი** (შვეიცარია) — ივეტა ბენეშოვა (ჩეხეთი) — 6:4 6:1; **სამანტა სტოსური** (ავსტრალია) — სიბილ ბამერი (ავსტრია) — 7:5 4:6 6:3; **ფრანჩესკა სკიავონე** (იტალია, 15) — მარია სანჩეს ლორენცო (ესპანეთი) — 6:0 6:0; **კიმ კლაისტერსი** (ბელგია, 2) — რობერტა ვინჩი (იტალია) — 6:1 6:2

**მეოთხე წრე**

**ნადია პეტროვა** (რუსეთი, 6) — ელენა ვესნინა (რუსეთი) — 6:3 6:1; **ლინდსი დევენპორტი** (აშშ, 1) — სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი, 14) — 6:2 6:4; **ჟუსტინ ენინ-არდენი** (ბელგია, 8) — ვირჯინია რუანო-პასკუალი (ესპანეთი) — 6:0 6:3; **მარია შარაპოვა** (რუსეთი, 4) — დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი, 17) — 6:4 6:4

ავსტრალიის ღია პირველობა 2006

მელბურნი. ჰარდი. საპრიზო 14,6 მილიონი $

# კვიპროსული სენსაცია მელბურნის კორტებზე



მარკოს ბაღდატისი



ჟუსტინ ენინ-არდენი



ფაბრის სანტორო

AFP მელბურნიდან

**მარკოს ბაღდატისი** — ასეთი ჩოგბურთელი ბევრმა იცოდა, ვინ იყო? ალბათ, არა. როგორც ჩანს, ენდი როდიკისთვისაც ეს გვარი არაფრის მთქმელი იყო, როცა მელბურნ-პარკის ცენტრალურ კორტზე გადიოდა მეოთხე წრის შეხვედრის ჩასატარებლად. თუმც დარწმუნებებით შეიძლება ითქვას, რომ ორსაათნახევრის შემდეგ ეს გვარი მტკიცედ ჩაიბეჭდა როდიკის მეხსიერებაში და არაერთხელ მოაგონდება, თან ძალიან მწარედ.

საქმე კი ისაა, რომ ბაღდატისმა ასპარეზობას მეორე ნომერი გამოთიშა და, პირველად კარიერაში, „დიდი მუზარადის" მეოთხედფინალს უწია. არადა, კვიპროსელის მესამე წრეში გასვლა უკვე დიდ მოულოდნელობად მიიჩნეოდა. მშობლიურ კუნძულზე ბაღდატისს ქება-დიდება არც აქამდე დააკლეს, როდიკის ძლევის შემდეგ კი ისე არიან გახარებულნი, ალბათ, ძეგლსაც დაუდგამენ.

არადა, ამერიკელი წლეულს კარგად გამოიყურებოდა და თამაშიდან თამაშამდე უმატებდა. ენდიმ ისე გაიარა სამი წრე, რომ სეტიც არ წაუგია და, როგორც ჩანს, ბაღდატისთანაც სათამაშოდ იმ განწყობით გავიდა, რომ საქმეს მალე მოათავებდა. ამერიკელი მწარედ შეცდა. ბაღდატისმა მშვენიერი თამაში აჩვენა და თავისი უფრო გამოცდილი მეტოქე აქტიურობაში დაჩაგრა.

როდიკს ცუდად ნამდვილად არ უთამაშია, რის გამოც ვერავინ იტყვის, ამერიკელმა თავისი შეცდომების გამო წააგოო. ენდიმ ნებისმიერი თამაშისთვის ჩვეულებრივი ნორმა — 31 უნებლიე შეცდომა დაუშვა. ამერიკელმა წააგო იმიტომ, რომ მეტოქემ მასზე უკეთესად ითამაშა.

თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში სწორედ ბაღდატისს მიჰყავდა თამაში, ის აქტიურობდა და თავის ტემპს ახვევდა თავს მეტოქეს. ამაზე სტატისტიკაც მეტყველებს — ბაღდატისმა 61 ბურთი მოიგო როდიკის 39-ის წინააღმდეგ. კვიპროსელმა მეტოქეს თითქმის ერთნახევარჯერ აჯობა.

ამერიკელს ვერც მისმა უძლიერესმა მოწოდებამ უშველა. ბაღდატისმა აქაც აჯობა თავის მეტოქეს და 16 ეისი მოაწოდა მაშინ, როცა როდიკმა მხოლოდ 15. ასე რომ, ამერიკელი ყველა სტატისტიკური მაჩვენებლით ჩამორჩა ბაღდატისს და რაღა გასაკვირია, რომ წააგო.

„ცუდად ნამდვილად არ მითამაშია. ამგვარი გარჯით ძალიან ბევრს მოვუგებდი, მაგრამ მარკოსმა მართლაც დიდებული შეხვედრა ჩაატარა... მისი სტატისტიკა მეტად შთამბეჭდავია. ასეთია ჩოგბურთი, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს ოლიმპიური თამაშები არ არის და მომდევნო შანსისთვის ოთხი წელი ლოდინი არ გიწევს. უკვე მომავალი კვირიდან კიდევ ახალი ტურნირი დაიწყება და ამ წაგებასაც მალე დავივიწყებ" — ოპტიმიზმს არ კარგავდა მატჩისშემდგომ როდიკი.

ბაღდატისმა კი თავის გულშემატკივრებს გადაუხადა მადლობა. ისე, კვიპროსელს მართლაც საინტერესოდ გულშემატკივრობდნენ, რადგანაც მთელი შეხვედრის განმავლობაში არ გაჩერებულან და მსაჯსაც ლამის ყელი ჩაეხლიჩა, იმდენჯერ სთხოვათ გაჩუმება.

„მათ ფეხბურთი ჰგონიათ და ამიტომ უჭირთ გაჩუმება, თუმც წინა დღეებში ვთხოვე, ცოტა წყნარად ყოფილიყვნენ და დღეს მართლაც პროგრესი შეინიშნებოდა... დიდი მადლობა მათ... ეს ჩემი საუკეთესო თამაში იყო" — თქვა ბაღდატისმა.

კვიპროსელი მეოთხედფინალში ივან ლიუბიჩიჩს შეხვდება, რომელსაც საერთოდ არ გასჭირვებია ტომას იოჰანსონის დამარცხება.

მეორე მეოთხედფინალური წყვილი ფრანგმა ვეტერანმა ფაბრის სანტორომ და დავიდ ნალბანდიანმა შეადგინეს. ამათგან განსაკუთრებულ ყურადღებას ფრანგი იმსახურებს, რომელიც ძალიან საინტერესო და მრავალფეროვან ჩოგბურთს თამაშობს და მეტოქეებს ერთობ აწვალებს. ამჯერადაც დავიდ ფერერთან შეხვედრაში სანტორომ ყველა გააკვირვა თავისი ტაქტიკით — ფრანგმა, რომელიც არასოდეს გამოირჩეოდა შემტევი სტილით, ამჯერად უაღრესად აქტიური ჩოგბურთი შესთავაზა მეტოქეს. სწრაფი შეტევებით და ბადესთან მაქსიმალურად დაჩქარებული, ხშირად ერთი შეხედვით მოუმზადებელი გასვლების წინააღმდეგ ესპანელი სავსებით უძლური აღმოჩნდა და მანაც სამი სეტის განმავლობაში სანტოროს თამაშს ვერაფრით აუღო ალღო.

რაც შეეხებათ ქალებს, მათ ამჯერად მოულოდნელობების გარეშე ჩაათავეს ეს სათამაშო დღე. ყველა ფავორიტმა იმარჯვა და ამიტომაც მართლაც ორი სუპერმეოთხედფინალური წყვილი შედგა. ერთი წმინდად რუსული იქნება, სადაც ერთმანეთს ნადია პეტროვა და მარია შარაპოვა დაუპირისპირდებიან. პეტროვამ ახალგაზრდა ელენა ვესნინას მოუგო, თან საკმაოდ იოლად, შარაპოვამ კი ორ სეტში და ზედმეტი წვალების გარეშე გამოთიშა ასპარეზობას სერენა უილიამსის დამცემი დანიელა ჰანტუხოვა. მარიამ ამ შეხვედრაში კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მართლაც ძალიან კარგ ფორმაშია და არც ტრავმა აწუხებს.

აი, მეორე მეოთხედფინალი კი ისეთი იქნება, რომელიც ფინალსაც დაამშვენებდა და საერთოდაც, ნაადრევ ფინალად შეიძლება ჩაითვალოს. აქ ერთმანეთს ლინდსი დევენპორტი და ჟუსტინ ენინ-არდენი შეხვდებიან.

დევენპორტი მეოთხე წრეში სვეტლანა კუზნეცოვას გაუსწორდა 59 წუთში. როგორც იქნა, ამოისუნთქა ამერიკელმა, ვინაიდან ორგანიზატორებმა მაღალი სიცხის გამო კორტის გადახურვის გადაწყვეტილება მიიღეს. ამით გახარებულმა ლინდსიმ, რომელიც სიცხემ წინა თამაშების დროს ძალიან გააწვალა, საკმაოდ ძლიერ კუზნეცოვას უბრალოდ, შანსი არ დაუტოვა.

ენინი ასევე იოლად გაუმკლავდა ესპანელ რუანო-პასკუალს და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ მშვენიერ ფორმაშია.

„ბედნიერი ვარ ჩემი ნაჩვენები თამაშით, პირველი კვირა კარგად გავიარე... მშვენიერი გრძნობაა, როცა ასეთი ტურნირის მეოთხედფინალში გახვალ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გასულ წელს ნახევარი სეზონი გამიცდა... შემდეგი მატჩი ჩემთვის ერთგვარი გამოწვევა და ამასთანავე ჩემი დღევანდელი შესაძლებლობების ტესტი იქნება, ვინაიდან ნომერ პირველ ჩოგბურთელს ვეთამაშები... ძალიან ძნელი შეხვედრა მელის" — აი, ასეთი კორექტული იყო ენინი მეოთხედფინალის წინ.

**ბაჩა ლომაძვილი**



# სევდიანი იუბილე

## ლომკაცი მეგობრებმა გაახსენეს



**შაბათს** ქართული საჭიდაო სამყარო დილომში, რესტორან „იბერიაში" შეიკრიბა და ლეგენდარული ფალავნის, შოთა ლომიძის 70 წლის იუბილე აღნიშნა. საქართველოს 8-გზის, საბჭოთა კავშირის 5-გზის, ევროპისა და მსოფლიოს 2-2-გზის ჩემპიონის დიდი გამარჯვებები ტიტულიანმა მოჭიდავეებმა ლამაზი ისტორიებით გაახსენეს. სახელდახელოდ მოწყობილ დიდი ეკრანზე კი ლომიძის ჭიდაობების კადრები გაუშვეს.

*გურამ სალარაძე:* ბედნიერი ვარ, რომ შოთა ლომიძის მხარდამხარ თითქმის ათი წელი ვიჭიდავე. მის სიძლიერეზე ძალიან ბევრს საუბრობდნენ და მე ეს ყველაფერი ჩემი თვალით ვნახე. საოცრად ღონიერი სპორტსმენი იყო. მისთვის არ არსებობდა სახელიანი მეტოქის შიში. ყველასთან თავდაჯერებული და მშვიდი გადიოდა საჭიდაოდ. ლომის გული ჰქონდა, მაგრამ სწორედ ამ გულმა უმტყუნა 1993 წელს, დედის გარდაცვალებით ნანერვიულებს.

*ზარბეგ ბერიაშვილი:* ყველაზე საინტერესო ისაა, რომ შოთამ ჭიდაობა 23 წლისამ დაიწყო. ეს საოცრებაა, რომელსაც მსოფლიოში ალბათ ანალოგი არ მოეძებნება. არაადამიანური ძალის პატრონი იყო და მსოფლიოს უძლიერეს ფალავნებს ჰაერში პატარა ბავშვებივით ატრიალებდა. დიდ ტურნირებზე ჩასულები ყოველთვის ერთ ნომერში ვცხოვრობდით. წესად მქონდა, ოთახში გვიან ღამემდე ხმაური უნდა ყოფილიყო. ტელევიზორი და შუქიც სულ ჩართული მქონდა, შოთას კი ეს ოდნავადაც არ აღიზიანებდა. საოცარი ნებისყოფა ჰქონდა. მის სულიერ სიმშვიდეს და ფიზიკურ თუ ტექნიკურ სიძლიერეს წინ ვერავინ უდგებოდა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# სარბიელი და კროკი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი | | | | | | |
| | | პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 23 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 1 | ვესტ ჰემი-ფულემი | 2.20 | 3.20 | 3.20 | 1.30 | 1.30 | 1.60 |
| | | ინგლისი | | | | | | |
| | | ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 24 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 2 | პლიმუთი-ლესტერი | 2.15 | 3.30 | 2.85 | 1.30 | 1.22 | 1.52 |
| 23:45 | 3 | საუთჰემპტონი-კრ. პალასი | 2.40 | 3.30 | 2.50 | 1.38 | 1.22 | 1.42 |
| | | ინგლისი | | | | | | |
| | | I ლიგა | | | | | | |
| | | 24 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 4 | ბლეკპული-დონკასტერი | 2.80 | 3.30 | 2.25 | 1.51 | 1.24 | 1.33 |
| | | გერმანია | | | | | | |
| | | II ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 23 იანვარი | | | | | | |
| 23:15 | 87 | ბრაუნშვაიგი-კოტბუსი | 2.25 | 3.30 | 2.75 | 1.33 | 1.23 | 1.50 |
| | | იტალია | | | | | | |
| | | სერია B | | | | | | |
| | | 23 იანვარი | | | | | | |
| 23:30 | 110 | არეცო-კატანია | 2.35 | 2.70 | 3.10 | 1.25 | 1.33 | 1.44 |
| 23:30 | 111 | ჩეზენა-მანტოვა | 2.25 | 2.60 | 3.50 | 1.20 | 1.36 | 1.49 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | იტალია | | | | | | |
| | | სერია C1/B | | | | | | |
| | | 23 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 132 | ფოჯა-მარტინა | 1.65 | 3.00 | 5.50 | 1.06 | 1.26 | 1.94 |
| | | საფრანგეთი | | | | | | |
| | | II დივიზიონი | | | | | | |
| | | 23 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 184 | ბასტია-ვალენსიენი | 2.05 | 2.80 | 3.85 | 1.18 | 1.33 | 1.62 |
| | | ჰოლანდია | | | | | | |
| | | II დივიზიონი | | | | | | |
| | | 23 იანვარი | | | | | | |
| 23:00 | 219 | ეინდჰოვენი-გრააფსხაპი | 2.70 | 3.50 | 2.25 | 1.52 | 1.22 | 1.36 |
| | | პორტუგალია | | | | | | |
| | | სუპერლიგა | | | | | | |
| | | 23 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 230 | ლეირია-ბელენენსეში | 1.90 | 3.30 | 3.75 | 1.20 | 1.26 | 1.75 |
| | | ფეხბურთი | | | | | | |
| | | აფრიკის თასი 2006 | | | | | | |
| | | ეგვიპტე | | | | | | |
| | | 23 იანვარი | | | | | | |
| 19:15 | 695 | ნიგერია-განა | 2.05 | 3.10 | 3.20 | 1.23 | 1.24 | 1.57 |
| 22:00 | 696 | ზიმბაბვე-სენეგალი | 8.00 | 3.80 | 1.40 | 2.57 | 1.19 | 1.02 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | ვესტ ჰემი-ფულემი | 2.50 | 2.00 | 3.70 | 1.11 | 1.49 | 1.29 |
| 10695 | ნიგერია-განა | 2.50 | 2.00 | 3.80 | 1.11 | 1.50 | 1.31 |
| 10696 | ზიმბაბვე-სენეგალი | 5.50 | 2.40 | 1.65 | 1.67 | 1.26 | 1.00 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | ვესტ ჰემი-ფულემი | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11695 | ნიგერია-განა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11696 | ზიმბაბვე-სენეგალი | 12.00 | 11.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 25.00 | 12.00 | 1.75 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12001 | ვესტ ჰემი-ფულემი | 1.70 | 1.90 |
| 12695 | ნიგერია-განა | 1.70 | 1.90 |
| 12696 | ზიმბაბვე-სენეგალი | 1.90 | 1.70 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13001 | ვესტ ჰემი-ფულემი | 1.70 | 1.90 |
| 13695 | ნიგერია-განა | 1.70 | 1.90 |
| 13696 | ზიმბაბვე-სენეგალი | 1.90 | 1.70 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი ანაზღაურდება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | ვესტ ჰემი-ფულემი | 1.80 | 2.00 |
| 14695 | ნიგერია-განა | 1.65 | 2.10 |
| 14696 | ზიმბაბვე-სენეგალი | 2.60 | 1.20 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|
| 15001 ვესტ ჰემი-ფულემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15695 ნიგერია-განა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15696 ზიმბაბვე-სენეგალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | ვესტ ჰემი-ფულემი | 1.50 | 2.20 |
| 16695 | ნიგერია-განა | 1.45 | 2.20 |
| 16696 | ზიმბაბვე-სენეგალი | 4.00 | 1.15 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | ვესტ ჰემი-ფულემი | 1.85 | 1.95 |
| 17695 | ნიგერია-განა | 1.85 | 1.95 |
| 17696 | ზიმბაბვე-სენეგალი | 1.85 | 1.95 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## ინგლისი
### პრემიერლიგა XXIII ტური

**ნიუკასლი 0:1 ბლეკბერნი**
0:1 პედერსენი (75)
ნიუკასლი: გივენი, რიმეიჯი, ბრამბლი, ბუმსონგი, ბაბაიარო, სოლანო, ბოიერი, კლარკი, ლუკე (ე. ობრაიენი 62), შირერი, ჩოპრა
მწვრთნელი: გრემ სუნესი
ბლეკბერნი: ფრიდელი, ნილი, ხიზანიშვილი, ნელსენი, მ. გრეი, ე. რიდი, თუგაი (ემერტონი 85), სევიჯი, მ. პედერსენი (მოკოენა 90), კუქი, დიკოვი (პეტერი 53)
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
გაფრთხილება: ნელსენი, ნილი
მსაჯი: ვები
51 323 მაყურებელი

**ჩელსი 1:1 ჩარლტონი**
1:0 გუდიონსენი (19), 1:1 მ. ბენტი (59)
ჩელსი: ჩეხი, გალასი, რ. კარვალიუ, ტერი, დელ ორნო (ჯ. კოული 79), ჯ. კოული, ლამპარდი, მაკელელე (შ. რაიტ-ფილიპსი 63), დაფი (მაიკლ ესიენი 63?), კრესპო, გუდიონსენი
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
ჩარლტონი: მირე, ჯ. ფორჩუნი, ჰრეიდარსონი, პაუელი, იანგი, ამბროზი (ბარტლეტი 90), ჰოლანდი, ბ. ჰიუზი, კიშიშევი, დ. ბენტი, რომედალი (მ. ბენტი 40)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: კიშიშევი, კარვალიუ, ტერი
გაძევება: კარვალიუ (81)
მსაჯი: ბენეტი
41 355 მაყურებელი

**მანჩესტერი 1:0 ლივერპული**
1:0 ფერდინანდი (90)
მანჩესტერი: ვან დერ სარი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, ვ. ბრაუნი, ევრა, დ. ფლეტჩერი, ოში (საა 46), კ. რიჩარდსონი, გიგზი, ვან ნისტელროი, რუნი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ლივერპული: რეინა, ფინანი, კარაგერი, ჰიპია, რიისე, ჯერარდი, ხაბი ალონსო, სისოკო (კრომპტონი 89), კრაუჩი, ჯ. სისე (სინამა-პონგოლი 75), კიუელი (მორიენტესი 59)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: სისოკო, რიჩარდსონი, ხაბი ალონსო, რუნი, ჯერარდი
მსაჯი: რაილი
67 875 მაყურებელი

**ევერტონი 1:0 არსენალი**
1:0 ბიტი (13)
ევერტონი: მარტინი, ჰიბერტი, ფერარი (სტაბსი 32), ვეირი, ნუნო ვალენტე, ოსმანი, ფ. ნევილი, არტეტა (დ. ფერგიუსონი 86), კილბეინი, ჩეჰილი, ბიტი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
არსენალი: ლემანი, ჟილბერტი (გლები 73), ს. კემპბელი, სენდეროსი, ლორენი, ლიუნგბერგი, ჟილბერტო სილვა, ფაბრეგასი, პირესი (დიაბი 81), ანრი, რეიესი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ბიტი, ნუნო ვალენტე, ჰიბერტი, ჩეჰილი, ჟილბერტო სილვა, რეიესი
გაძევება: ფაბრეგასი (90)
მსაჯი: ვაილი
36 920 მაყურებელი

**ტოტენჰემი 0:0 ასტონ ვილა**
ტოტენჰემი: პ. რობინსონი, გ. კელი, დოუსონი, კინგი, ი. ლი, ჯენასი (ლენონი 46), კარიკი, დავიდსი (მ. ბრაუნი 64), ტაინიო, რობი კინი, დეფო (რასიაკი 76)
მწვრთნელი: მარტინ იოლი
ასტონ ვილა: სორენსენი, ა. ჰიუზი, მელბერგი, დილანი, ბერი, ჰენდრი, სტივენ დევისი, გ. მაკკანი, მილნერი, ბაროში (დ. მური 80), ანხელი, გ. მური (ჯ. სამუელი 85)
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: ანხელი, ბერი
გაძევება: ბერი (90)
მსაჯი: პოლი
36 243 მაყურებელი

**ბირმინგემი 5:0 პორტსმუთი**
1:0 იაროშიკი (5), 2:0 პენანტი (37), 3:0 აპსონი (55), 4:0 ფორსელი (90პ), 5:0 დანი (90)
ბირმინგემი: მაიკ ტეილორი, მელხიოტი, კანინგემი (კილკენი 81), აპსონი, ლაზარიდისი, პენანტი, იზეტი, დ. ჯონსონი, იაროშიკი (დ. დანი 74), ჰესკი (ფორსელი 78), სატონი
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
პორტსმუთი: ეშდოუნი, პამარო (კარადასი 90), სტეფანოვიჩი (პრისკე 83), ჯ. ობრაიენი, გრიფინი, ონილი, საიმონ დევისი, პ. მენდეში, მარტინ ტეილორი, პერიკარი (ოლისადებე 53), მვარუვარი
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: ჯონსონი, გრიფინი
მსაჯი: ფოი
29 138 მაყურებელი

**ბოლტონი 2:0 სიტი**
1:0 ბორხეტი (37), 2:0 ნოლანი (41)
ბოლტონი: იასკელაინენი, გ. ობრაიენი, ბენ ჰაიმი, ნგოტი, რ. გარდნერი, ნოლანი, კამპო, ფადიგა (ვაზ ტე 22; ჰანტი 90), კევინ დევისი, ბორხეტი (მ. იანსენი 79), იანაკოპულოსი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
სიტი: ჯეიმსი, ჟიხაი, რ. დანი, დისტინი, ჯორდანი, სინკლერი, ბარტონი, აირლენდი, კ. რეინა (სიბიერსკი 67), ენდი კოული (ფაულერი 67), ვასელი (კროფტი 76)
მწვრთნელი: სტიუარტ პირსი
გაფრთხილება: დევისი, ბენ ჰაიმი, ჟიხაი, სინკლერი
მსაჯი: სტაილზი
26 466 მაყურებელი

**მიდლსბრო 2:3 უიგანი**
0:1 რობერტსი (2), 0:2 ტომპსონი (29), 1:2 ჰასელბაინკი (56), 2:2 აიეგბენი (66), 2:3 მელორი (90)
მიდლსბრო: პ. ჯოუნსი, ბეიტსი (გ. ჯონსონი 32), რიგოტი (ეჰიოგუ 27), საუთგეიტი, პოგატეცი, პარნაბი, კეტერმოლი, პარლოუ, დაუნინგი, აიეგბენი, ვიდუკა (ჰასელბაინკი 46)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
უიგანი: პოლიტი, ჩიმბონდა, შარნერი, ანშო, ბაინსი, ტომპსონი (ჯ. იოჰანსონი 90), ბალარდი, კავანაფი, ტილი, მელორი, რობერტსი
მწვრთნელი: პოლ ჯუელი
გაფრთხილება: შარნერი, ტომპსონი
მსაჯი: მარინერი
27 208 მაყურებელი

**ვესტ ბრომვიჩი 0:1 სანდერლენდი**
0:1 ლე ტალეკი (72)
ვესტ ბრომვიჩი: კუშჩაკი, ალბრეხტსენი, კერტის დევისი, ს. უოტსონი, პ. რობინსონი, გრინინგი, ინამოტო (ჰორსფილდი 69), უოლვორკი (ჩეპლოუ 86), კარტერი, კ. კემპბელი, ელინგტონი (ნიკოლსონი 79)
მწვრთნელი: ბრაიან რობსონი
სანდერლენდი: მ. დევისი, ჰოიტი, ბრინი, კოლდუელი, დ. კოლინზი, ლოურენსი (ნოსვორთი 90), უიტეჰედი, მილერი, არკა, სტიდი (ჯ. გრეი 86), ლე ტალეკი (ბასილა 76)
მწვრთნელი: მიკ მაკარტი
გაფრთხილება: კოლდუელი, ბრინი, მილერი
მსაჯი: დოუდი
26 464 მაყურებელი

**ვესტ ჰემი — ფულემი**
*დღეს გაიმართება*

# ის ძველებური და მოულოდნელი



AFP ლონდონიდან

ჩელსი — ჩარლტონი. ეიდურ გუდიონსენმა (№22) და ჩელსელებმა სტუმრებს ვერაფერი დააკლეს

**კვირა** შუადღით საქმე ის იყო, რომ „ჩელსიმ" ზედ „სტემფორდ ბრიჯზე" დაკარგა ქულა და იმავე საღამოს ერთმანეთს დაჯახებულ „მანჩესტერსა" და „ლივერპულს" მიახლოების საშუალება მისცა.

„ჩარლტონ ატლეტიკმა" პირველად გამოიყვანა მინდორზე გუნდიდან გუნდში მოხეტიალე მეგოლე მარკუს ბენტი და იმანაც გაიტანა. გარეუბნელებს ეკუთვნოდათ. ეს გოლი, „ჩელსის" უპირატესობა კი რიკარდო კარვალიოს მეორე ყვითლით დასრულდა.

ამ დღემდე მაურინიუს გუნდს მოგებული ჰქონდა სეზონის ყველა საშინაო თამაში და პრემიერლიგის ბოლო ათი თამაში. ასე რომ, სარეკორდო სვლები შეჩერდა. თუმცა მენეჯერს ამაზე არ უნაღვლია და ჩვეული რიხით განაცხადა, ჩემპიონები მაინც ჩვენ გავხდებითო.

„ოლდ ტრეფორდზე" კი მძიმედ ცდილობდნენ ლიდერთან სხვაობის შემცირებას, პირველ ტაიმში ორი გაბამული პასი იშვიათი იყო, ხამი მთლად უცხო ხილი. „ლივერპულს" სამჯერ გამოუვიდა კარგი კომბინაცია, რუდ ვან ნისტელროი კი ერთხელ მეკარის პირისპირაც დარჩა.

მეორე ტაიმში კი თამაში გახურდა და ერთი პირობა ბურთი შავად დატრიალდა მასპინძელთა კართან, მაგრამ რიო ფერდინანდმა ხაზიდან გამოაძრო ბურთი. ნერვიულობა სტუმართა კართანაც იყო, უეინ რუნიმ კი შუა ტაიმში კოჭლობა დაიწყო.

მერე კი მოხდა ის, რასაც „მანჩესტერი" ხშირად აკეთებდა ძველ-ტკბილ დროში. 90-ე წუთზე რაიან გიგზმა დახვეული ჯარიმა დაკიდა და რიო ფერდინანდმა აუღებელი თავურით გაიტანა თამაშის ერთადერთი გოლი. ხოსე რეინამ ბურთი ვერ გააჩერა, „ლივერპულმა", როგორც იქნა, გაუშვა გოლი პრემიერლიგის თამაშში და წააგო, „მანჩესტერმა" კი 2 ქულა მოპარა „ჩელსის", თუმცა სხვაობა მაინც უზომოდ დიდი — 14 ქულა დარჩა.

სხვა ბევრთა შორის იყო თამაში „სენტ ჯეიმს პარკზე", სადაც „ბლეკბერნმა" მორტენ გამსტ პედერსენის სადავო გოლით დაამარცხა „ნიუკასლი" და ამით კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა გრემ სუნესის გადაყენებისკენ. მასპინძელთა მხრიდან უნდა გაეტანათ ალან შირერს, ლუკეს და ლი ბოიერს, მაგრამ არ გავიდა.

74-ე წუთზე შეფკი კუკიმ თავი ჰკრა ლუკას ნილის კროსს, იმას კი პედერსენმა ხელი მიაყოლა. ასე გავიდა შეხვედრის ერთადერთი გოლი. წესის დარღვევა მსაჯმა ჰოვარდ ვებმა ვერ შეამჩნია.

თამაშის შემდეგ მღელვარება იყო არა მხოლოდ ტრავმებით ტანჯულ კაჭკაჭთა გასახდელში, არამედ სტადიონის მისადგომებთანაც.

სუნესმა კი თქვა: „ჩემთვის პირველი რამ ოჯახია. მერე მოდის სამუშაო, რომელშიაც ბოლომდე ვიხარჯები. ამ თანამდებობაზე მანამდე ვიქნები, სანამ არ დამითხოვენ".

თავად მენეჯერს პედერსენის ხელი არ დაუნახავს, ისევე, როგორც მსაჯს.

ბოროს „რივერსაიდზე" კი გათამაშდა დრამა, რომლის გმირიც შეიქნა ზორბა ლივერპულელი ნილ მელორი, ვინც ახლა „უიგანშია" განათხოვრებული. ერთწლიანი ტრავმების შემდეგ მელორი მოედანს დაუბრუნდა და ბოლო წუთზე სამი ქულა გამოგლიჯა „მიდლსბროს", რომელმაც თავის მხრივ მეორე ტაიმში თამაში შემოუტრიალა „უიგანს" და ეგონა, რომ ქულაც იხსნა.

„ევერტონმა" კი ჯეიმს ბიტის ადრიანი გოლით დაამარცხა „არსენალი". ყმაწვილ მეთოფეთა გაცუდებულ შანსს ეგრევე მოჰყვა ჯეიმს ბიტის გარღვევა და ამ გარღვევამ თამაშის ბედი გადაწყვიტა.

„არსენალისთვის" ეს იყო მეექვსე გასვლითი მატჩი ამ სეზონში, დევიდ მოიესმა კი ძალიან აქო თავისი ფეხბურთელები, „არსენალი" ყოველთვის გვჯობნიდა, ასე რომ, ეს დიდი შედეგია ჩვენთვის. დღეს მათმა სტილმა არ იმუშავაო.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 23 | 20 | 2 | 1 | 49:12 | 62 |
| მანჩესტერი | 23 | 14 | 6 | 3 | 42:20 | 48 |
| ლივერპული | 21 | 13 | 5 | 3 | 29:12 | 44 |
| ტოტენჰემი | 23 | 11 | 8 | 4 | 31:19 | 41 |
| არსენალი | 22 | 11 | 4 | 7 | 34:16 | 37 |
| უიგანი | 23 | 12 | 1 | 10 | 28:29 | 37 |
| ბოლტონი | 21 | 10 | 6 | 5 | 27:20 | 36 |
| ბლექბერნი | 22 | 10 | 4 | 8 | 27:25 | 34 |
| სიტი | 23 | 9 | 4 | 10 | 30:27 | 31 |
| ვესტ ჰემი | 22 | 8 | 5 | 9 | 29:31 | 29 |
| ჩარლტონი | 21 | 9 | 2 | 10 | 27:31 | 29 |
| ევერტონი | 23 | 9 | 2 | 12 | 16:31 | 29 |
| ფულემი | 22 | 7 | 5 | 10 | 26:30 | 26 |
| ნიუკასლი | 22 | 7 | 5 | 10 | 20:25 | 26 |
| ასტონ ვილა | 23 | 6 | 8 | 9 | 26:32 | 26 |
| ვესტ ბრომვიჩი | 23 | 6 | 4 | 13 | 21:32 | 22 |
| მიდლსბრო | 22 | 5 | 7 | 10 | 27:40 | 22 |
| ბირმინგემი | 22 | 5 | 4 | 13 | 20:31 | 19 |
| პორტსმუთი | 23 | 4 | 5 | 14 | 16:39 | 17 |
| სანდერლენდი | 22 | 2 | 3 | 17 | 17:40 | 9 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ვან ნისტელროი (მანჩესტერი) | 16 |
| ლამპარდი (ჩელსი) | 13 |
| ანრი (არსენალი) | 13 |
| აიეგბენი (მიდლსბრო) | 12 |
| დ. ბენტი (ჩარლტონი) | 11 |

### XXIV ტური
31 იანვარი

| | | |
|---|---|---|
| არსენალი | : | ვესტ ჰემი |
| ჩარლტონი | : | ვესტ ბრომვიჩი |
| ლივერპული | : | ბირმინგემი |
| პორტსმუთი | : | ბოლტონი |
| სანდერლენდი | : | მიდლსბრო |
| უიგანი | : | ევერტონი |
| ასტონ ვილა | : | ჩელსი |
| ბლექბერნი | : | მანჩესტერი |
| ფულემი | : | ტოტენჰემი |
| სიტი | : | ნიუკასლი |

### ჩემპიონატი
#### XXX ტური

კრ. პალასი — რედინგი 1:1; ბარნლი — პრესტონი 0:2; ქოვენთრი — დერბი 6:1; ქრიუ — პლიმუთი 1:2; ლიდსი — უენსდი 3:0; ლესტერი — კარდიფი 1:2; ლუთონი — ქუინზ პარკი 2:0; მილუოლი — ვულვზი 0:0; ნორვიჩი — უოტფორდი 2:3; შეფილდი — ბრაიტონი 3:1; საუთჰემპტონი — იფსვიჩი 0:2; სტოკი — ჰალი 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რედინგი | 30 | 22 | 7 | 1 | 62:16 | 73 |
| შეფილდი | 30 | 20 | 6 | 4 | 57:28 | 66 |
| ლიდსი | 29 | 16 | 6 | 7 | 41:24 | 54 |
| უოტფორდი | 30 | 14 | 10 | 6 | 49:36 | 52 |
| კრ. პალასი | 28 | 14 | 6 | 8 | 44:29 | 48 |
| პრესტონი | 29 | 11 | 14 | 4 | 37:22 | 47 |
| კარდიფი | 30 | 12 | 8 | 10 | 41:36 | 44 |
| ვულვზი | 30 | 10 | 13 | 7 | 34:26 | 43 |
| ლუთონი | 30 | 12 | 5 | 13 | 43:41 | 41 |
| ბარნლი | 30 | 11 | 6 | 13 | 39:40 | 39 |
| ნორვიჩი | 30 | 11 | 6 | 13 | 35:40 | 39 |
| ქუინზ პარკი | 30 | 10 | 9 | 11 | 34:41 | 39 |
| სტოკი | 30 | 12 | 2 | 16 | 35:44 | 38 |
| იფსვიჩი | 30 | 9 | 10 | 11 | 33:43 | 37 |
| ქოვენთრი | 30 | 8 | 11 | 11 | 40:44 | 35 |
| საუთჰემპტონი | 29 | 7 | 13 | 9 | 29:32 | 34 |
| ჰალი | 30 | 8 | 9 | 13 | 31:36 | 33 |
| დერბი | 30 | 6 | 14 | 10 | 40:47 | 32 |
| პლიმუთი | 28 | 7 | 11 | 10 | 26:35 | 32 |
| უენსდი | 30 | 7 | 9 | 14 | 24:37 | 30 |
| ბრაიტონი | 30 | 5 | 13 | 12 | 30:47 | 28 |
| ლესტერი | 29 | 5 | 11 | 13 | 29:39 | 26 |
| მილუოლი | 30 | 5 | 11 | 14 | 22:42 | 26 |
| ქრიუ | 30 | 4 | 10 | 16 | 33:63 | 22 |

### პირველი ლიგა
#### XXIX ტური

სკანთორპი — დონკასტერი 1:2; ბარნსლი — დონსი 2:0; ბლეკპული — ბრისტოლი 1:1; ბრენტფორდი — ჰადერსფილდი 2:0; ჩესტერფილდი — უოლსოლი 2:2; კოლჩესტერი — პორტ ვეილი' 2:1; ოლდემი — ჯილინგემი 2:0; როტერჰემი — ნოტინგემი 1:1; სუონსი — ჰარტლპული 1:1; სუინდონი — ბორნმუთი 4:2; ტრანმერი — საუთენდი 0:0; იოვილი — ბრედფორდი 0:1

### მეორე ლიგა
#### XXIX ტური

ბარნეტი — უიკომბი 0:0; ბოსტონი — ბერი 3:1; როვერსი — ჩესტერი 2:1; კარლაილი — ჩელტენემი 1:1; მენსფილდი — როჩდეილი 1:0; ნორთჰემპტონი — მაკლსფილდი 5:0; ნოტსი — შრიუსბერი 2:1; ოქსფორდი — დარლინგტონი 0:2; პიტერბრო — ლინკოლნი 1:1; სტოკპორტი — რაშდენი 2:2; ტორკი — გრიმზბი 2:2; რექსემი — ლეიტონი 1:2

### კონფერენსლიგა
#### XXIX ტური

გრეივსენდი — ქონვი 2:0; აკრინგტონი — კემბრიჯი 1:0; ალდერშოტი — ჰალიფაქსი 3:1; ბარტონი — უოქინგი 1:1; დაგენემი — ტემუორთი 2:1; ფორესტ გრინი — ალტრინჩემი 5:0; ჰერეფორდი — ქროული 2:1; კიდერმინსტერი — სკარბორო 2:1; მორეკემბი — ექსეტერი 2:2; სტივენეიჯი — სოთპორტი 0:1; იორკი — გრეისი 1:2

## იტალია
### სერია A
### XXI ტური

# იტალიის ფრონტზე ცვლილებები არ არის



AFP სიენადან

სიენა — მილანი. კახა კალაძის (მარცხნივ) „მილანმა“ მასპინძლები გაანადგურა

**სიენა 0:3 მილანი**

0:1 კაკა (12), 0:2 შევჩენკო (69), 0:3 კაკა (84)
სიენა: მირანტე, ნეგრო (ფალზინი 74), ტუდორი, პორტანოვა, გასტალდელო (გუდმანი 74), ფოლიო, პარო, დავერსა, მოლინარო, კიეზა (ფ. ესპოზიტო 89), ბოგდანი
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
მილანი: დიდა, სტამი (შიმიჩი 25), ნესტა, კალაძე, სერჯინიო, გატუზო, პირლო, ზეედორფი, კაკა (იანკულოვსკი 87), შევჩენკო, ფ. ინძაგი (ჯილარდინო 76)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: ტუდორი, სერჯინიო, ნეგრო, გასტალდელო
მსაჯი: მორგანტი
13 500 მაყურებელი

**იუვენტუსი 2:1 ემპოლი**

0:1 ალმირონი (3), 1:1, 2:1 კანავარო (17, 77)
იუვენტუსი: ბუფონი, ძამბროტა, ტურამი, ფ. კანავარო, ბალძარეტი (ძებინა 61), კამორანეზი, ემერსონი, ვიეირა, მუტუ (ზალაიეტა 61), დელ პიერო (ჯანიკედა 87), ტრეზეგე
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
ემპოლი: ბერტი, ვანილი, კოდა, პრატალი, ლუკინი (ასკოლი 80), დ. მორო, ფიჩინი, ალმირონი (პ. ძანეტი 52), ბუშე, ვანუკი (ტავანო 60), რიგანო
მწვრთნელი: ლუიჯი კანი
გაფრთხილება: ვანილი, რიგანო, ვიეირა
მსაჯი: დე მარკო
25 000 მაყურებელი

**ინტერი 3:0 პალერმო**

1:0 კამბიასო (33), 2:0 ტერლიცი (77ხ.კ.), 3:0 ფიგუ (80)
ინტერი: ჟულიო სეზარი, კ. ძანეტი, კორდობა, ვ. სამუელი, ფავალი, ფიგუ (სოლარი 90), ვერონი, კამბიასო, კილი გონსალესი (ბურდისო 81), ადრიანო, ხ. კრუზი (დ. პიზარო 84)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
პალერმო: ლუპატელი, ძაკარდო, ბარძალი, ტერლიცი, გროსო, სანტანა, ბარონე, მუტარელი, ბონანი (აკარდი 65), დი მიკელე, კარაჩოლო (გოდეაში 61)
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
მსაჯი: პიერი
46 000 მაყურებელი

**ფიორენტინა 2:0 მესინა**

1:0, 2:0 ტონი (45, 73)
ფიორენტინა: კეხასი, უიფალუში, დაინელი, გამბერინი, პანკარო, ფიორე, ბროკი (მონტოლივო 84), პაზიენცა, იორგულესკუ... იორგენსენი, ტონი, პაცინი (ლ. ხიმენესი 74)
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
მესინა: სტორარი, ძანკი, რეზაეი, კრისტანტე, არონიკა, სკული (ფლორანო 59), დაგოსტინო, კ. კოპოლა (დონატი 59), რაფაელი, დი ნაპოლი, მუსლიმოვიჩი (სულო 81)
მწვრთნელი: ბორტოლო მუტი
გაფრთხილება: კრისტანტე, უიფალუში, რეზაეი
მსაჯი: პაპარესტა
34 000 მაყურებელი

**უდინეზე 1:4 რომა**

0:1 მანსინი (40პ), 0:2 დე როსი (62), 1:2 დი ნატალე (66), 1:3 მანსინი (75), 1:4 კივუ (79პ)
უდინეზე: დე სანქტისი, ბერტოტო, სენსინი, ფელიპე, დ. ძენონი, პინცი, ბარონიო, ტისონე (ვიდიგალი 48), კანდელა, პეპე (მაური 48), დი ნატალე
მწვრთნელი: სერსე კოზმი
რომა: დონი, ბოვო, მექსეში, კივუ, კუფრე, დე როსი, აკილანი, მანსინი (როზი 81), პეროტა (დაკური 80), ტომაზი, ტადეი (ე. ალვარესი 86)
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: ტისონე, კივუ
გაძევება: პინცი (23)
მსაჯი: აიროლდი
16 000 მაყურებელი

**ლაციო 1:1 კალიარი**

1:0 დი კანიო (36), 1:1 გობი (69)
ლაციო: პერუცი, ოდო, სივილია, კრიბარი, ძაური, კ. კელერი (დაბო 55), მუდინგაი, ლივერანი, პანდევი (ჯალარდინო... ბარდო 83), დი კანიო (სტენდარდო 46), როკი
მწვრთნელი: დელიო როსი
კალიარი: კიმენტი, დ. ლოპესი, კანინი, ბიზერა, ფ. პიზანო, კოსუ (კაპონე 60), აბეიხონი (ბუდელი 46), კონტი (კონტიკიო 77), მ. ესპოზიტო, სუაცო
მწვრთნელი: ნედო სონეტი
გაძევება: სივილია (41), ლივერანი (79)
მსაჯი: მაცოლენი
24 000 მაყურებელი

**პარმა 2:1 კიევო**

0:1 ამაური (26), 1:1 როსი (45), 2:1 სიმპლისიო (82პ)
პარმა: გუარდალბენი, ბონერა, კარდონე (ფ. კოუტუ 70), პ. კანავარო, მ. როსი, გრელა, დესენა (ბრეშიანო 57), სიმპლისიო, მარკიონი (მატიუცო 90), მორფეო, კორადი
მწვრთნელი: მარიო ბერეტა
კიევო: ა. ფონტანა, მალაგო, მანდელი, დანა, ლანა, სემიოლი, ბრიგი, ძანკეტა, დ. ფრანჩესკინი (სკიცი 82), ამაური, პელისიერი (ტირიბოკი 86)
მწვრთნელი: ჯუზეპე პილონი
გაფრთხილება: ამაური, კანავარო, ბონერა, დესენა, როსი, მანდელი, როსი, სემიოლი
გაძევება: ფონტანა (80), როსი (87)
მსაჯი: დე სანტისი
11 500 მაყურებელი

**რეჯინა 2:1 სამპდორია**

1:0 პარედესი (7), 1:1 კუტუზოვი (45), 2:1 ამორუზო (45)
რეჯინა: პელიცოლი, ლაურო, დე როზა, ა. ლუკარელი, მესტო, პარედესი, ბიონდინი (მისიროლი 76), ტედესკო, მოდესტო, კოცა (კარობიო 90), ნ. ამორუზო (კავალი 84)
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
სამპდორია: ანტონიოლი, კ. ზენონი, მ. კასტელინი, სალა, მ. პიზანო (მარკეზეტი 78), კუტუზოვი (ფოტი 90), ვოლპი, პალომბო, ტონეტო (დალა ბონა 84), ფლაკი, კოლომბო
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: ლაურო, სალა, დალა ბონა
მსაჯი: როზეტი
10 000 მაყურებელი

**ლივორნო 1:1 ტრევიზო**

0:1 რეგინალდო (7), 1:1 გალანტე (90)
ლივორნო: ამელია, გრანდონი, ვარგასი, გალანტე, პფერცელი, მორონე, ჯ. კოლუჩი (პაულინიუ 72), დე აშენტისი (პასონი 46), სეზარ პრატესი, კ. ლუკარელი, პალადინო
მწვრთნელი: რობერტო დონადონი
ტრევიზო: ძანკოპე, გუსტავო, ჯალი, კოტაფავა, დელაფიორე, ე. ფილიპინი, ა. ფილიპინი, მაჯო, რეგინალდო (ვაშჩუკი 67), პინგა (კ. ვალდესი 81), ბარიელო
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
გაფრთხილება: დე აშენტისი, ვარგასი, ფილიპინი
გაძევება: გუსტავო (76)
მსაჯი: რიცოლი
12 000 მაყურებელი

**ასკოლი 2:0 ლეჩე**

1:0 ფერანტე (4), 2:0 ბიელანოვიჩი (36)
ასკოლი: ფ. კოპოლა, კომოტო, პაჩი, დომიცი, დელ გროსო, ფოჯა (კარიელო 80), გუანა, პაროლა, ფინი, ფერანტე (ტოსტო 64), ბიელანოვიჩი (კალიარელა 89)
მწვრთნელი: მარკო ჯამპაოლო
ლეჩე: ბენუსი, პოლენღი, პეკორარი, სტოვინი, რულო (ერიომენკო 68), კასეტი, ჯორჯინო (საუდატი 46), დელ ვეკიო, ანჯელო (კამორანი 57), ვუჩინიჩი, კოცოლინო
მწვრთნელი: სილვიო ბალდინი
გაფრთხილება: ფოჯა, დელ გროსო, საუდატი, დომიცი, კამორანი, ერიომენკო
გაძევება: დელ გროსო (63)
მსაჯი: მესინა
9 000 მაყურებელი

**ნუ გამოვიმონებთ** ველოსიპედს თავიდან და სერია A-ს 21-ე ტურის აღწერა ლიდერის თამაშით დავიწყოთ. თან აღსანიშნავია, რომ ამ ტურში სხვათაგან რაიმე მიზეზით გამორჩეული მატჩი არც ყოფილა, ასე რომ...

„იუვენტუსმა“ „ემპოლის“ უმასპინძლა და 2:1 მოუგო. აქ საინტერესო ის გახლავთ, რომ „ბებერი ქალბატონის“ მხრიდან ორივე გოლი ცნობილმა მცველმა ფაბიო კანავარომ გაიტანა. შედეგი: ტურინელებმა ცხრილში რვაქულიანი უპირატესობა შეინარჩუნეს.

შეგახსენებთ, რომ ამ შეხვედრაში „ემპოლის“ ახალი მწვრთნელი, ჯიჯი კანი გაუძღვა და პირველი უცნაურობა, რაც მოიმოქმედა, მთავარი თავდამსხმელის, ფრანჩესკო ტავანოს სათადარიგოთა სკამზე დასმა გახლდათ. „იუვენტუსს“ კი ისევე, როგორც წინა შეხვედრაში, არ ჰყავდა პაველ ნედვედი და ჯორჯო კიელინი, დისკვალიფიცირებული ზლატან იბრაჰიმოვიჩის მაგივრად კი სასტარტო თერთმეტეულში ალესანდრო დელ პიერომ ითამაშა და 120 წამში ორჯერ გაარტყა ბურთი ძელს.

ასე იყო თუ ისე, დაიწყო თამაში და სულ რაღაც მეორე წუთზე სტუმრებმა ანგარიში გახსნეს — დაახლოებით 20 მეტრიდან ბურთი „იუვენტუსის“ კარის ეგრეთ წოდებულ ცხრიანში რაკეტასავით სერჯიო ალმირონმა გაუშვა, მაგრამ შემდეგ, როდესაც ზემოხსენებული კანავარო კამორანეზის ჩაწოდებულს გაუწვა და თავი დაარტყა, „ემპოლის“ მეკარე ჯანლუკა ბერტიმ ბურთი ფეხებს შორის გაუშვა. როგორც გითხარით, მეორე გოლიც კანავარომ შეაგდო — ის კუთხურს აუხტა და ბურთს ისევ თავი დაჰკრა.

„იუვეს“ მდევარმა „ინტერმა“ წინა დღეს, შაბათს, ითამაშა „პალერმოსთან“ და 3:0 მოიგო. ორივე გუნდს აკლდა წამყვანი ფეხბურთელები, ჯამში შვიდი კაცი, მასპინძელთა ქომაგებმა კი, როგორც წინა ტურში, ახლაც გაფიცვა გამოაცხადეს და „კურვაზე“ არავინ იჯდა. შეგახსენებთ გაფიცვის მიზეზს: „ინტერის“ ოთხ ქომაგს სტადიონებზე შესვლა სამუდამოდ აეკრძალა, რადგან მათ „მესინასთან“ თამაშის დროს სტუმრების ფერადკანიანი მეკარე კოპოლო ზორო რასისტულად გალანძღეს.

„მილანმა“ გაიმარჯვა სიენაში, 3:0. გეხსომებათ, რომ წინა ჩემპიონატში „მილანმა“ ამ სტადიონზე მარცხი იწვნია და სკუდეტოსთვის ბრძოლა დაასრულა, ახლა კი სხვა სურათი ვიხილეთ. მილანელთა ახალი შენაძენი მარსიო ამოროზო სათადარიგოთა სკამზე იჯდა, საქართველოს ნაკრების კაპიტანმა კახა კალაძემ კი ორივე ტაიმი ითამაშა, თუმცა მეორე ტაიმის დასაწყისში მისი შეცდომის გამო კიეზამ შავ-წითლებს კინაღამ გოლი გაუტანა. მილანელთაგან მატჩის გმირი გახლდათ კაკა, რომელმაც ორი გოლი შეაგდო. თავისი წილი ერთი გაიტანა შევჩენკომაც.

უდინეში შთამბეჭდავად, 4:1 გაიმარჯვა „რომამ“, რომელმაც ზედიზედ მეხუთე წარმატებას მიაღწია. აღსანიშნავია, რომ სტუმრებს ფრიად შეუწყო ხელი მასპინძელი ჯამპიერო პინცის სისულელემ, რის გამოც ის გააძევეს კრიმ... ხელის მკვრ... ლეანდრო კუფრეს სახეში ჩათავაზა.

ეს შეხვედრა საინტერესო იყო მწვრთნელების კუთხითაც. ლუჩანო სპალეტისთვის ეს იყო შეხვედრა გუნდთან და ქალაქთან, რომელიც ზაფხულზე გაბრაზებულმა დატოვა, სერსე კოზმი კი პირიქით, მთელი ცხოვრება „რომას“ ფანია.

**ბაბუნა ქედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 21 | 18 | 2 | 1 | 44:12 | 56 |
| ინტერი | 21 | 15 | 3 | 3 | 43:16 | 48 |
| მილანი | 21 | 15 | 1 | 5 | 47:22 | 46 |
| ფიორენტინა | 21 | 13 | 4 | 4 | 38:22 | 43 |
| ლივორნო | 21 | 10 | 7 | 4 | 24:20 | 37 |
| რომა | 21 | 10 | 6 | 5 | 36:22 | 36 |
| სამპდორია | 21 | 9 | 4 | 8 | 34:28 | 31 |
| კიევო | 21 | 8 | 7 | 6 | 26:25 | 31 |
| ლაციო | 21 | 7 | 9 | 5 | 28:26 | 30 |
| პალერმო | 21 | 6 | 8 | 7 | 29:32 | 26 |
| უდინეზე | 21 | 7 | 4 | 10 | 23:32 | 25 |
| ასკოლი | 21 | 5 | 8 | 8 | 22:26 | 23 |
| რეჯინა | 21 | 6 | 4 | 11 | 21:32 | 22 |
| სიენა | 21 | 5 | 6 | 10 | 25:36 | 21 |
| კალიარი | 21 | 4 | 7 | 10 | 20:33 | 19 |
| ემპოლი | 21 | 5 | 4 | 12 | 28:37 | 19 |
| მესინა | 21 | 3 | 9 | 9 | 18:29 | 18 |
| პარმა | 21 | 4 | 6 | 11 | 24:38 | 18 |
| ტრევიზო | 21 | 2 | 7 | 12 | 13:29 | 13 |
| ლეჩე | 21 | 3 | 4 | 11 | 15:36 | 13 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ტონი (ფიორენტინა) | 21 |
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 15 |
| ჯილარდინო (მილანი) | 12 |
| ადრიანო (ინტერი) | 12 |

**XXII ტური**

28-29 იანვარი

| | | |
|---|---|---|
| მესინა | : | კალიარი |
| უდინეზე | : | ფიორენტინა |
| ლეჩე | : | ინტერი |
| ასკოლი | : | იუვენტუსი |
| ტრევიზო | : | ლაციო |
| რომა | : | ლივორნო |
| ემპოლი | : | პარმა |
| კიევო | : | რეჯინა |
| მილანი | : | სამპდორია |
| პალერმო | : | სიენა |

**სერია B**

**XXV ტური**

ტრიესტინა — ატალანტა 1:2; ბრეშა — აველინო 4:0; მოდენა — ბოლონია 0:0; ვერონა — კრემონეზე 1:0; ბარი — კროტონე 1:3; კატანძარო — რიმინი 1:0; ალბინოლეფე — ტორინო 0:0; პესკარა — ტერნანა 1:0; პიაჩენცა — ვიჩენცა 2:1 არეცო — კატანია და ჩეზენა — მანტოვა დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანტოვა | 24 | 13 | 9 | 2 | 31:16 | 48 |
| ატალანტა | 25 | 15 | 3 | 7 | 39:27 | 48 |
| კატანია | 24 | 13 | 7 | 4 | 37:25 | 46 |
| ბრეშა | 25 | 10 | 12 | 3 | 33:18 | 42 |
| ტორინო | 25 | 11 | 9 | 5 | 26:18 | 42 |
| ჩეზენა | 24 | 11 | 7 | 6 | 35:25 | 40 |
| არეცო | 24 | 10 | 8 | 6 | 28:19 | 38 |
| პესკარა | 25 | 10 | 7 | 8 | 27:26 | 37 |
| კროტონე | 25 | 10 | 6 | 9 | 25:24 | 36 |
| ვერონა | 25 | 8 | 11 | 6 | 26:20 | 35 |
| მოდენა | 25 | 7 | 13 | 5 | 31:24 | 34 |
| რიმინი | 25 | 9 | 7 | 9 | 28:27 | 34 |
| პიაჩენცა | 25 | 8 | 9 | 8 | 33:29 | 33 |
| ტრიესტინა | 25 | 8 | 9 | 8 | 25:27 | 33 |
| ბოლონია | 25 | 7 | 11 | 7 | 26:26 | 32 |
| ვიჩენცა | 25 | 7 | 6 | 12 | 24:33 | 27 |
| ბარი | 25 | 5 | 11 | 9 | 25:31 | 26 |
| ტერნანა | 25 | 4 | 11 | 10 | 19:33 | 23 |
| აველინო | 25 | 4 | 9 | 12 | 21:40 | 21 |
| ალბინოლეფე | 25 | 3 | 11 | 11 | 15:28 | 20 |
| კატანძარო | 25 | 3 | 6 | 16 | 13:35 | 15 |
| კრემონეზე | 25 | 2 | 8 | 15 | 18:34 | 14 |

**სერია C1/A**

**XX ტური**

მონცა — პრო სესტო 0:1; ფერმანა — ჯენოა 0:1; ჯულიანოვა — პიციგეტონე 2:0; ლუმეცანე — ჩიტადელა 1:2; ნოვარა — სალერნიტანა 1:1; პადოვა — სან მარინო 1:0; პავია — ტერამო 1:1; რავენა — პრო პატრია 0:1; სპეცია — სამბენედეტეზე 1:0

**სერია C1/B**

**XX ტური**

აკირეალე — კოტი 1:0; ჯელა — პისტოიეზე 0:2; გროსეტო — ფროზინონე 1:1; ლანჩანო — სანჯოვანეზე 2:4; მანფრედონია — ს. ტორესი 2:3; ნაპოლი — ლუკეზე 1:0; პერუჯა — იუვე სტაბია 1:0; პიზა — მასეზე 3:1 ფოჯა — მარტინა დღეს გაიმართება

## საფრანგეთი

**I დივიზიონი. XXIII ტური**

**ტულუზი 0:0 ლილი**

**სოშო 4:0 სენტ ეტიენი**

1:0 მენეზი (45პ), 2:0 ილანი (52), 3:0, 4:0 დაგანო (60პ, 90)

**რენი 0:2 ნანსი**

0:1 ბრისონი (58), 0:2 დუშემინი (90)

**ნიცა 1:0 პსჟ**

1:0 ს. ტრაორე (88)

**ტრუა 1:3 ლე მანი**

0:1, 0:2 მაცუი (31, 36), 1:2 ნივე (60), 1:3 ფორი (80)

**მეცი 1:4 ნანტი**

1:0 ჟილონი (23), 1:1 პრომენი (27), 1:2, 1:3 მ. დიალო (43, 64), 1:4 პაიეტი (90)

**ბორდო 2:1 სტრასბური**

0:1 ლე პენი (10პ), 1:1 ფერნანდო (37), 2:1 ფობერი (90)

**აიაჩო 3:1 მარსელი**

1:0 ლუკა (11), 1:1 პაგისი (45), 2:1 ლუკა (56), 3:1 მუსა ნდიაიე (89)

**ლანსი 1:1 მონაკო**

0:1 გაკპე (6), 1:1 ჟილე (45)

**ლიონი 1:1 ოსერი**

1:0 მ. დიარა (43), 1:1 ლუინდულა (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 23 | 16 | 6 | 1 | 39:15 | 54 |
| ბორდო | 23 | 11 | 9 | 3 | 21:12 | 42 |
| ოსერი | 23 | 12 | 3 | 8 | 30:24 | 39 |
| ლილი | 23 | 10 | 7 | 6 | 31:16 | 37 |
| პსჟ | 23 | 11 | 4 | 8 | 28:22 | 37 |
| მარსელი | 23 | 10 | 5 | 8 | 25:27 | 35 |
| ლანსი | 23 | 7 | 13 | 3 | 30:19 | 34 |
| ლე მანი | 23 | 10 | 4 | 9 | 23:18 | 34 |
| მონაკო | 23 | 9 | 6 | 8 | 22:18 | 33 |
| სენტ ეტიენი | 22 | 8 | 9 | 5 | 20:17 | 33 |
| რენი | 23 | 10 | 2 | 11 | 24:33 | 32 |
| ნანსი | 23 | 9 | 4 | 10 | 24:19 | 31 |
| ნანტი | 23 | 8 | 6 | 9 | 24:23 | 30 |
| ნიცა | 23 | 7 | 9 | 7 | 17:19 | 30 |
| ტულუზი | 22 | 7 | 5 | 10 | 20:26 | 26 |
| სოშო | 23 | 6 | 7 | 10 | 18:25 | 25 |
| ტრუა | 23 | 6 | 7 | 10 | 21:29 | 25 |
| აიაჩო | 23 | 3 | 7 | 13 | 13:29 | 16 |
| სტრასბური | 23 | 2 | 9 | 12 | 14:30 | 15 |
| მეცი | 23 | 2 | 8 | 13 | 13:36 | 14 |

**II დივიზიონი. XXIII ტური**

კაენი — ლავალი 2:1; შატორუ — ბრესტი 0:0; დიჟონი — სეტე 3:0; გრენობლი — გენგამი 0:0; გენიონი — რეიმსი 0:0; ისტრი — კლერმონი 1:1; ლე ავრი — ამიენი 1:1; ლორიანი — სედანი 0:0; მონპელიე — კრეტეი 0:0. ბასტია — ვალანსიენი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სედანი | 23 | 12 | 9 | 2 | 33:18 | 45 |
| ლორიანი | 23 | 11 | 9 | 3 | 30:14 | 42 |
| ვალანსიენი | 22 | 11 | 8 | 3 | 31:19 | 41 |
| ბასტია | 22 | 11 | 7 | 4 | 32:17 | 40 |
| კრეტეი | 23 | 8 | 9 | 6 | 31:19 | 33 |
| კაენი | 23 | 7 | 9 | 7 | 29:25 | 30 |
| შატორუ | 23 | 7 | 9 | 7 | 29:28 | 30 |
| დიჟონი | 22 | 7 | 9 | 6 | 24:23 | 30 |
| რეიმსი | 22 | 6 | 11 | 5 | 20:14 | 29 |
| მონპელიე | 23 | 7 | 8 | 8 | 21:26 | 29 |
| გენიონი | 23 | 6 | 11 | 6 | 16:23 | 29 |
| ლე ავრი | 23 | 6 | 10 | 7 | 28:28 | 28 |
| ამიენი | 23 | 6 | 10 | 7 | 24:25 | 28 |
| გრენობლი | 22 | 7 | 7 | 8 | 20:24 | 28 |
| ბრესტი | 23 | 6 | 8 | 9 | 22:26 | 26 |
| გენგამი | 23 | 5 | 10 | 8 | 17:19 | 25 |
| ისტრი | 23 | 5 | 9 | 9 | 20:31 | 24 |
| ლავალი | 22 | 6 | 4 | 12 | 20:30 | 22 |
| კლერმონი | 23 | 5 | 7 | 11 | 18:39 | 22 |
| სეტე | 23 | 2 | 8 | 13 | 18:35 | 14 |

# კუნძულმა გაიხარა
## ფერნანდესი კორსიკასთან ჩაიძირა



AFP

ნიცელმა ედერსონმა პარიზელ არმანს ჰაერში აჯობა

**ბოლო** დროს მოძლიერებული „მარსელი" ჩემპიონატის გამოკვეთილ აუტსაიდერ „აიაჩოს" სტუმრობდა და ალბათ ვერც წარმოიდგენდა, რომ კუნძულს ხახამშრალი დატოვებდა. აიაჩოელებმა მშვენივრად ითამაშეს და ოთხი თვის, უფრო კონკრეტულად კი, თექვსმეტმატჩიანი მოუგებელი სერიის შემდეგ პირველი 3 ქულა მიითვალეს და ცხრილის ფსკერიდანაც დაიძრნენ.

მასპინძლები ამ ნანატრ გამარჯვებას ბრაზილიელ ფორვარდ ლუკას უნდა უმადლოდნენ. მან „აიაჩო" მე-11 წუთზე დააწინაურა, მაგრამ „მარსელის" ახალწვეულმა მიკაელ პაგისმა ტაიმის ბოლო წამებზე წონასწორობა აღადგინა. თითქოს ყველაფერი „თავის ადგილზე" უნდა დამდგარიყო, თუმცა იმავ ლუკამ 55-ე წუთზე კუნძულელები ისევ დააწინაურა. სტუმრების უთავბოლო იერიშებმა შედეგი არ გამოიღო და საბოლოოდ შეხვედრას წერტილი მუსა ნდიაიემ დაუსვა.

„ამგვარი თამაშით არაფრის ამბიცია არ უნდა გქონდეს. ასე შორს ვერ წავალთ" — განაცხადა გაბრაზებულმა „მარსელის" თავკაცმა ჟან ფერნანდესმა.

კიდევ ერთი სენსაცია კინაღამ „სტრასბურმა" გამოაცხო, რომელიც უკვე მე-9 წუთზე ულრიხ ლე პენის გატანილი პენალტით უგებდა „ბორდოს". მეორეადგილოსანმა ჟირონდელებმა გონს მოსვლა უცებ შეძლეს და 36-ე წუთზე ფერნანდომ შეაგდო კიდეც. აქედან ოთხ წუთში სტუმრებს მოსლემი გაუძევეს, მაგრამ „სტრასბურმა" ბოლომდე გმირულად გაძლო და იღბალს ზურგი რომ არ ექცია, სამს თუ არა, ქულას მაინც დამსახურებულად მიითვლიდა, მაგრამ ფობერის გვიანმა გოლმა სტუმრების მონდომება წყალში ჩაყარა.

მოულოდნელი იყო პსჟ-ს მარცხიც ნიცაში. პარიზელები მთელი მატჩის მანძილზე უტევდნენ და საგრძნობ უპირატესობასაც ფლობდნენ, მაგრამ 88-ე წუთზე მასპინძელთა კუთხურს სემი ტრაორეს ზუსტი დარტყმა მოჰყვა. დედაქალაქელთა თავკაცი ჟი ლაკომბი, ცხადია, უკმაყოფილო იყო. მისი გუნდისთვის ეს უკვე მერვე მარცხია ჩემპიონატში.

გამოიღვიძა მისავათებულმა „სოშომაც", რომელმაც გარკვეულწილად მსაჯის დახმარებით გაანადგურა „სენტ ეტიენი". მატჩის გარდამტეხი მომენტი პირველი ტაიმის ბოლო წუთზე დადგა, როდესაც სტუმრებს ალექსი აია გაუძევეს და თან პენალტი დაუნიშნეს. თერთმეტმეტრიანი ზუსტად მენეზმა დაარტყა, რასაც ილანის ერთი და დაგანოს ორი გოლი მოჰყვა.

**გიორგი ქაქაბაძე**

# მარსელი? შარს ელი!
## გალიანი სამართალს და ჩემპიონთა თასს ეძებს



*„მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ უეფას გამოძიება შესთავაზა — 1993 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალში „მარსელის" ფეხბურთელებს დოპინგ-ნემსები ჰქონდათ გაკეთებულიო. შევახსენებთ, რომ ხსენებულ ფინალში „მარსელმა" სწორედ „მილანს" მოუგო 1:0, გალიანის კი გამოძიების სურვილი შაბათის „ეკიპის" წაკითხვამ გაუჩინა*

**„ეკიპი"** ფრანგული ჟურნალია, რომლის ბოლო ნომერში „მარსელის" ყოფილი ფეხბურთელის, ჟან-ჟაკ ეიდელის ინტერვიუ გახლავთ გამოქვეყნებული. ამ ინტერვიუში ეიდელი იხსენებს:

„ფინალის წინ ჩვენ რიგში ჩადგომა და ნემსის გაკეთება მოგვთხოვეს".

ეიდელისავე მტკიცებით, ერთადერთი ფეხბურთელი, ვინც ინიექციაზე უარი განაცხადა, გერმანელი რუდი ფიოლერი გახლდათ.

„გვჯერა, რომ უეფა საქმეს აღძრავს, ხოლო თუ ასე არ იზამს, ჩვენ, „მილანი" სრულიად ოფიციალურად მოვთხოვთ ამას. ამიერიდან საქმეს ჩვენი ადვოკატი ლეანდრო კანტამესა ადევნებს თვალყურს."

ბუნებრივია, რომ ეიდელის აღსარებამ „მარსელის" ისტორიის ისედაც ჩირქმოცხებულ პერიოდს კიდევ უფრო მეტი ჩირქი მოსცხო. შეგახსენებთ, რომ „მილანთან" გამარჯვებიდან სულ რაღაც არასრული დღე-ღამის შემდეგ სკანდალურად ცნობილი გახდა, რომ „მარსელის" ბოლო მატჩი „ვალანსიენთან", რომლის მოგების წყალობითაც გუნდი მეხუთედ გახდა საფრანგეთის ჩემპიონი, ჩაწყობილი გახლდათ. გეხსომებათ, რაც მოჰყვა ამას: „მარსელს" ტიტული ჩამოართვეს და მეორე დივიზიონში ჩაუძახეს.

„ეს ისეთი რამ არის, რაც არსაიდან ნამდვილად არ მოსულა. 1993 წელს საკონტინენტთაშორისო თასსა და ევროპის სუპერთასზე „მარსელი" კი არა, „მილანი" გავიდა. საერთოდაც, ამ ფრანგულ გუნდზე ყოველთვის დადიოდა ჭორები და მეც მაშინდელი ამბების შესახებ ასეთი ინფორმაციის წაკითხვა ყოველთვის მატკივებს ძველ იარას" — თქვა გალიანიმ.

საინტერესოა, რომ იმავე ინტერვიუში ეიდელს ისიც განუცხადებია, რომ მოსკოვის ცსკა-სთან მაშინდელი ლიგის ჯგუფური ეტაპის მატჩის წინ „მარსელის" შეფებს რუსი ფეხბურთელები მოუწამლავთ, მაგრამ არ იკითხავთ, როგორ? თურმე ნუ იტყვით და, არყის ბოთლებში წვრილი შპრიცით შეუყვანიათ წამალი და შემდეგ ეს წამალგარეული ბოთლები სულ სიცილ-სიცილით გაუტანებიათ ვიღაც ბიჭისთვის რუსებთან.

„ასეთ მდგომარეობაში ცსკა მთელი ძალით ვერ ითამაშებდა" — ამბობს თურმე ეიდელი.

ჩვენ კი ასე დავამთავროთ: კი მაგრამ, რატომ სვამდნენ მოსკოველი ფეხბურთელები თამაშის წინ არაყს? უეფამ საქმე გამოიძიოს, მაგრამ ის 0:6 ცსკა-ზე ვაითუ ახი იყოს.

**პაპუნა ქედია**





ჟან-ჟაკ ეიდელმა „მარსელის" შავი საქმეები დაფქვა და „მილანს" სალაპარაკო მისცა

## ჰოლანდია

### ერედივიზიონი. XX ტური

**ალკმაარი 1:1 გრონინგენი**
0:1 სალმონი (16), 1:1 არველაძე (60)

**ვიტესი 2:1 ტილბურგი**
0:1 დემბელე (24), 1:1, 2:1 ბენსონი (87, 89)

**ჰერენვენი 0:0 სპარტა**

**როზენდალი 1:2 ჰერაკლესი**
0:1 შირაიამა (25), 0:2 ნურმელა (45), 1:2 დაელემანსი (59)

**პსვ 2:0 ვალვაიკი**
1:0 ფარფანი (4), 2:0 ბისლი (76)

**ტვენტე 2:3 აიაქსი**
1:0 ნკუფო (25), 1:1 როზენბერგი (51), 2:1 ნკუფო (52), 2:2 მადურო (89), 2:3 ემანუელსონი (90)

**უტრეხტი 2:2 ბრედა**
1:0 ს. კლერი (33), 1:1 დიბა (36), 2:1 ნელისე (47), 2:2 რიგტერსი (61)

**ფეიენოორდი 0:0 როდა**

**ნაიმეგენი 5:0 დენ ჰააგი**
1:0 ბარეტო (53), 2:0 დ. ჯონსი (58), 3:0 დენებოომი (64), 4:0 დ. ჯონსი (74), 5:0 ნედზელანი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 20 | 15 | 3 | 2 | 40:12 | 48 |
| ალკმაარი | 20 | 14 | 3 | 3 | 50:19 | 45 |
| ფეიენოორდი | 20 | 14 | 3 | 3 | 50:19 | 45 |
| აიაქსი | 20 | 10 | 4 | 6 | 34:23 | 34 |
| ნაიმეგენი | 20 | 10 | 4 | 6 | 26:20 | 34 |
| უტრეხტი | 20 | 9 | 6 | 5 | 28:23 | 33 |
| გრონინგენი | 20 | 10 | 3 | 7 | 27:23 | 33 |
| ვალვაიკი | 20 | 9 | 4 | 7 | 36:36 | 31 |
| ჰერენვენი | 20 | 8 | 6 | 6 | 38:32 | 30 |
| ვიტესი | 20 | 9 | 2 | 9 | 32:30 | 29 |
| როდა | 20 | 8 | 2 | 10 | 31:35 | 26 |
| ჰერაკლესი | 20 | 7 | 4 | 9 | 23:37 | 25 |
| ტვენტე | 20 | 6 | 4 | 10 | 25:28 | 22 |
| ბრედა | 20 | 5 | 5 | 10 | 23:37 | 20 |
| დენ ჰააგი | 20 | 5 | 3 | 12 | 22:40 | 18 |
| სპარტა | 20 | 4 | 5 | 11 | 17:29 | 17 |
| ტილბურგი | 20 | 2 | 4 | 14 | 19:44 | 10 |
| როზენდალი | 20 | 0 | 5 | 15 | 12:48 | 5 |

### II დივიზიონი. XXVI ტური

დენ ბოსხი — მაასტრიხტი 3:1; ვენლო — ალმერე 0:1; სიტარდი — ჰელმონდი 2:3; ექსელსიორი — ჰაარლემი 1:2; კამბური — ემენი 1:1; აპელდორნი — დორდრეხტი 2:1; ვეენდამი — ვოლენდამი 2:3; ტელსტარი — ოსი 1:1; იგლსი — ზვოლე 1:1. ეინდჰოვენი — გრააფსხაპი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ექსელსიორი | 26 | 16 | 5 | 5 | 53:17 | 53 |
| ვენლო | 26 | 15 | 7 | 4 | 39:14 | 52 |
| ემენი | 26 | 14 | 4 | 8 | 49:32 | 46 |
| ვოლენდამი | 26 | 13 | 7 | 6 | 40:29 | 46 |
| დენ ბოსხი | 26 | 12 | 9 | 5 | 49:37 | 45 |
| ჰელმონდი | 26 | 13 | 5 | 8 | 42:40 | 44 |
| ზვოლე | 26 | 11 | 7 | 8 | 43:36 | 40 |
| გრააფსხაპი | 25 | 11 | 6 | 8 | 38:30 | 39 |
| მაასტრიხტი | 26 | 10 | 8 | 8 | 38:34 | 38 |
| აპელდორნი | 26 | 11 | 3 | 12 | 46:45 | 36 |
| ჰაარლემი | 26 | 10 | 6 | 10 | 37:45 | 36 |
| დორდრეხტი | 26 | 8 | 9 | 9 | 30:30 | 33 |
| ვეენდამი | 26 | 9 | 6 | 11 | 38:40 | 33 |
| ოსი | 26 | 7 | 10 | 9 | 32:41 | 31 |
| იგლსი | 26 | 6 | 9 | 11 | 31:44 | 27 |
| ტელსტარი | 26 | 6 | 9 | 11 | 22:36 | 27 |
| ალმერე | 26 | 7 | 5 | 14 | 35:56 | 26 |
| კამბური | 26 | 5 | 10 | 11 | 27:39 | 25 |
| ეინდჰოვენი | 25 | 5 | 5 | 15 | 33:44 | 20 |
| სიტარდი | 26 | 1 | 8 | 17 | 25:58 | 11 |

## საბერძნეთი

### ეროვნული ლიგა. გადადებული მატჩი

**ეგალეო 1:0 კალითეა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 16 | 14 | 0 | 2 | 35:9 | 42 |
| აეკ | 16 | 12 | 3 | 1 | 23:8 | 39 |
| პანათინაიკოსი | 16 | 9 | 3 | 4 | 26:15 | 30 |
| პაოკ | 16 | 7 | 6 | 3 | 26:15 | 27 |
| ქსანთი | 16 | 7 | 4 | 5 | 19:15 | 25 |
| ირაკლისი | 16 | 7 | 4 | 5 | 17:17 | 25 |
| იონიკოსი | 16 | 5 | 7 | 4 | 22:20 | 22 |
| ეგალეო | 16 | 5 | 7 | 4 | 13:17 | 22 |
| ატრომიტოსი | 16 | 6 | 3 | 7 | 18:18 | 21 |
| ლარისა | 16 | 5 | 5 | 6 | 17:20 | 20 |
| კალამარია | 16 | 5 | 4 | 7 | 16:22 | 19 |
| ლევადიაკოსი | 16 | 3 | 5 | 8 | 10:17 | 14 |
| ოფი | 16 | 2 | 6 | 8 | 10:21 | 12 |
| პანიონიოსი | 16 | 3 | 3 | 10 | 11:25 | 12 |
| აკრატიტოსი | 16 | 2 | 4 | 10 | 8:20 | 10 |
| კალითეა | 16 | 1 | 6 | 9 | 11:23 | 9 |

## ამხანაგური მატჩები

**საბერძნეთი 1:1 კორეა**
**საუდის არაბეთი 1:1 ფინეთი**

## ბელგია

### იუპილერლიგა. XIX ტური

**ბრიუგე 3:0 ბრიუსელი**
1:0 პორტილიო (23), 2:0 როელანდტსი (66), 3:0 პორტილიო (85)

**სტანდარდი 1:2 ვარეგემი**
0:1 დჰემერსი (50), 1:1 ნიკულაე (74), 1:2 სერჟანი (75)

**გენტი 3:0 ლუვიე**
1:0 ზოკო (5), 2:0 ბუსუფა (13), 3:0 ლომბარტსი (23)

**ანდერლეხტი 2:2 სერკლი**
0:1 მეისენი (56), 1:1 ვანდენ ბორე (72), 1:2 დეკელვერი (77), 2:2 ფრუტოსი (84)

**ბევერენი 1:1 რუზელარე**
0:1 ელუა (3), 1:1 ჟერვინიო (9)

**ლოკერენი 1:1 მუსკრონი**
0:1 დავოლიო (18), 1:1 ბანსე (81)

**სენტ ტრუიდენი 1:1 ლიერსი**
1:0 მბონაბუკია (24), 1:1 ნუნეში (86)

**ვესტერლო 1:3 ბეერსხოტი**
0:1 დე როეკი (69), 0:2 დოსუნმო (72), 1:2 იანსენსი (78), 1:3 დოსუნმო (85)

**შარლერუა 2:1 გენკი**
1:0 აკგული (4), 2:0 სერებრიანიკოვი (43), 2:1 ვანდენბერგი (66)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 19 | 11 | 5 | 3 | 31:17 | 38 |
| სტანდარდი | 19 | 12 | 2 | 5 | 31:19 | 38 |
| ანდერლეხტი | 19 | 10 | 7 | 2 | 42:19 | 37 |
| ვარეგემი | 19 | 10 | 3 | 6 | 36:29 | 33 |
| ვესტერლო | 19 | 9 | 5 | 5 | 28:17 | 32 |
| გენკი | 19 | 8 | 7 | 4 | 32:23 | 31 |
| ლოკერენი | 19 | 8 | 6 | 5 | 28:26 | 30 |
| ბრიუსელი | 19 | 7 | 7 | 5 | 23:20 | 28 |
| გენტი | 19 | 8 | 4 | 7 | 25:23 | 28 |
| რუზელარე | 19 | 6 | 6 | 7 | 30:24 | 24 |
| შარლერუა | 19 | 6 | 6 | 7 | 20:25 | 24 |
| სერკლი | 19 | 6 | 4 | 9 | 25:31 | 22 |
| ბეერსხოტი | 19 | 6 | 3 | 10 | 25:34 | 21 |
| მუსკრონი | 19 | 6 | 2 | 11 | 26:33 | 20 |
| ბევერენი | 19 | 6 | 2 | 11 | 24:31 | 20 |
| ლუვიე | 19 | 4 | 6 | 9 | 17:35 | 18 |
| სენტ ტრუიდენი | 19 | 4 | 4 | 11 | 19:30 | 16 |
| ლიერსი | 19 | 1 | 7 | 11 | 8:34 | 10 |

### II კლასი. XIX ტური

დესელი — ოსტენდე 2:2; ეუპენი — ლომელი 1:1; ტუბეკე — დაინცე 2:0; ვაასლანდი — ჰეუსდენი 2:0; ანტვერპენი — გეელი 0:1; მეხელენი — ვირტონი 3:1; კორტრაიკი — მონსი 1:1; ოუდ ევერლე — სენტ ქილი 1:1; ვიგორი — რონსე 6:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლომელი | 19 | 11 | 7 | 1 | 39:21 | 40 |
| მონსი | 18 | 10 | 5 | 3 | 34:18 | 35 |
| კორტრაიკი | 19 | 9 | 5 | 5 | 30:25 | 32 |
| ვიგორი | 19 | 9 | 4 | 6 | 42:31 | 31 |
| ვაასლანდი | 19 | 8 | 6 | 5 | 33:27 | 30 |
| ოსტენდე | 19 | 6 | 8 | 5 | 28:26 | 26 |
| ეუპენი | 19 | 6 | 8 | 5 | 25:24 | 26 |
| ოუდ ევერლე | 19 | 7 | 4 | 8 | 32:24 | 25 |
| სენტ ქილი | 19 | 6 | 7 | 6 | 26:29 | 25 |
| დესელი | 18 | 7 | 3 | 8 | 24:27 | 24 |
| გეელი | 19 | 7 | 3 | 9 | 22:23 | 24 |
| რონსე | 19 | 6 | 5 | 8 | 24:33 | 23 |
| ტუბეკე | 19 | 6 | 4 | 9 | 26:32 | 22 |
| ჰეუსდენი | 19 | 5 | 7 | 7 | 18:26 | 22 |
| მეხელენი | 19 | 5 | 7 | 7 | 22:23 | 22 |
| ანტვერპენი | 19 | 5 | 5 | 9 | 27:35 | 20 |
| ვირტონი | 19 | 4 | 7 | 8 | 14:23 | 19 |
| დაინცე | 19 | 5 | 1 | 13 | 20:39 | 16 |

## თურქეთი

### სუპერლიგა. XVIII ტური

ფენერბაჰჩე — გენჩლერი 3:0; ანკარაგიუჯიუ — მანისა 0:2; ბეშიქთაში — ერჯიესი 2:2; ანკარა — დენიზლი 1:3; გაზიანთეფი — სამსუნი 0:1; მალათია — სივა 0:0; რიზე — დიარბაქირი 2:0; ქაისერი — ტრაბზონი 4:2; ქონია — გალათასარაი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 18 | 15 | 3 | 0 | 46:17 | 48 |
| გალათასარაი | 18 | 14 | 2 | 2 | 40:17 | 44 |
| ქაისერი | 18 | 10 | 2 | 6 | 34:24 | 32 |
| ბეშიქთაში | 18 | 7 | 5 | 6 | 26:21 | 26 |
| სივა | 18 | 6 | 8 | 4 | 19:17 | 26 |
| გენჩლერი | 18 | 6 | 7 | 5 | 21:15 | 25 |
| ერჯიესი | 18 | 5 | 9 | 4 | 19:21 | 24 |
| მანისა | 18 | 6 | 5 | 7 | 23:23 | 23 |
| ტრაბზონი | 18 | 6 | 5 | 7 | 23:28 | 23 |
| ქონია | 18 | 5 | 7 | 6 | 22:19 | 22 |
| გაზიანთეფი | 18 | 5 | 6 | 7 | 22:28 | 21 |
| ანკარაგიუჯიუ | 18 | 4 | 7 | 7 | 19:23 | 19 |
| რიზე | 18 | 4 | 6 | 8 | 15:23 | 18 |
| მალათია | 18 | 4 | 6 | 8 | 14:27 | 18 |
| დიარბაქირი | 18 | 5 | 3 | 10 | 16:32 | 18 |
| ანკარა | 18 | 3 | 8 | 7 | 23:27 | 17 |
| სამსუნი | 18 | 4 | 5 | 9 | 28:37 | 17 |
| დენიზლი | 18 | 4 | 4 | 10 | 15:26 | 16 |

## პორტუგალია

### სუპერლიგა. XIX ტური

**პენაფიელი 0:0 ბრაგა**

**ჟილ ვისენტე 1:3 ბენფიკა**
1:0 ნანდინიო (93), 1:1 სიმაო (16), 1:2 ჟოვანი (33), 1:3 მ. ანტონიო (56ს.კ.)

**აკადემიკა 0:0 ნასიონალი**

**ფერეირა 1:2 სეტუბალი**
0:1 ბინიო (21), 0:2 რიბეირო (44), 1:2 რონი (53)

**გიმარაეში 1:1 რიუ ავე**
0:1 გაუშუ (13), 1:1 საგანოვსკი (46)

**ბოავიშტა 2:1 ამადორა**
1:0 რიკარდო (2), 1:1 სანტამარია (54), 2:1 ზე მანელი (58)

**სპორტინგი 1:1 მარიტიმუ**
1:0 რომანიოლი (8), 1:1 ფაელი (43)

**პორტუ 1:0 ნავალი**
1:0 ფერნანდო (30)

**ლეირია — ბელენენსეში**
დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 19 | 13 | 4 | 2 | 31:12 | 43 |
| ბენფიკა | 19 | 12 | 4 | 3 | 31:13 | 40 |
| ნასიონალი | 19 | 10 | 6 | 3 | 24:11 | 36 |
| ბრაგა | 19 | 11 | 3 | 5 | 20:11 | 36 |
| სპორტინგი | 19 | 10 | 4 | 5 | 27:20 | 34 |
| სეტუბალი | 19 | 10 | 3 | 6 | 16:10 | 33 |
| ბოავიშტა | 19 | 7 | 8 | 4 | 25:19 | 29 |
| ამადორა | 19 | 7 | 4 | 8 | 17:18 | 25 |
| მარიტიმუ | 19 | 5 | 9 | 5 | 22:22 | 24 |
| ლეირია | 18 | 7 | 3 | 8 | 22:23 | 24 |
| რიუ ავე | 19 | 6 | 6 | 7 | 24:27 | 24 |
| ფერეირა | 19 | 6 | 4 | 9 | 21:27 | 22 |
| ჟილ ვისენტე | 19 | 6 | 3 | 10 | 17:23 | 21 |
| ბელენენსეში | 18 | 6 | 2 | 10 | 17:20 | 20 |
| აკადემიკა | 19 | 5 | 5 | 9 | 16:26 | 20 |
| გიმარაეში | 19 | 4 | 4 | 11 | 10:26 | 16 |
| ნავალი | 19 | 4 | 3 | 12 | 18:29 | 15 |
| პენაფიელი | 19 | 1 | 5 | 13 | 12:33 | 8 |

### II დივიზიონი. XIX ტური

კოვილია — ვარზიმი 1:1; ეშტორილი — შავეში 3:4; ფეირენსე — ბეირა მარი 1:1; გონდომარი — ავეში 1:1; ლეიშოეში — პორტიმონენსე 0:0; მაია — ოლიალენსე 1:3; მარკუ — მორეირენსე 0:1; სანტა კლარა — ოვაირენსე 3:1; ვიზელა — ბარეირენსე 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეირა მარი | 19 | 10 | 8 | 1 | 22:10 | 38 |
| ოლიალენსე | 19 | 10 | 7 | 2 | 27:14 | 37 |
| პორტიმონენსე | 19 | 9 | 7 | 3 | 27:16 | 34 |
| ავეში | 19 | 10 | 4 | 5 | 26:18 | 34 |
| ლეიშოეში | 19 | 9 | 6 | 4 | 20:7 | 33 |
| კოვილია | 19 | 7 | 8 | 4 | 21:19 | 29 |
| გონდომარი | 19 | 8 | 4 | 7 | 31:27 | 28 |
| ვიზელა | 19 | 6 | 7 | 6 | 29:24 | 25 |
| ეშტორილი | 19 | 7 | 4 | 8 | 32:31 | 25 |
| ვარზიმი | 19 | 5 | 10 | 4 | 23:23 | 25 |
| სანტა კლარა | 19 | 5 | 8 | 6 | 20:21 | 23 |
| მაია | 19 | 5 | 6 | 8 | 25:29 | 21 |
| შავეში | 19 | 5 | 6 | 8 | 19:23 | 21 |
| მორეირენსე | 19 | 5 | 6 | 8 | 21:27 | 21 |
| ფეირენსე | 19 | 5 | 5 | 9 | 24:32 | 20 |
| მარკუ | 19 | 5 | 4 | 10 | 21:35 | 19 |
| ბარეირენსე | 19 | 2 | 7 | 10 | 15:27 | 13 |
| ოვაირენსე | 19 | 2 | 5 | 12 | 21:41 | 11 |

## გერმანია

### II ბუნდესლიგა. XVIII ტური

ოფენბახი — ჰანზა 1:3; პადერბორნი — უნტერჰახინგი 1:1; ბოხუმი — ზაარბრიუკენი 3:0; მიუნხენი — ალენი 0:0; ალემანია — აუე 3:1; ბურგჰაუზენი — ფრაიბურგი 2:1. დინამო — ფიურტი და ზიგენი — კარლსრუე გადაიდო, ბრაუნშვაიგი — კოტბუსი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალემანია | 18 | 11 | 2 | 5 | 36:21 | 35 |
| ბოხუმი | 18 | 10 | 5 | 3 | 31:17 | 35 |
| ფიურტი | 17 | 9 | 3 | 5 | 29:24 | 30 |
| მიუნხენი | 18 | 8 | 5 | 5 | 26:20 | 29 |
| კოტბუსი | 17 | 8 | 4 | 5 | 30:23 | 28 |
| ფრაიბურგი | 18 | 8 | 4 | 6 | 25:22 | 28 |
| პადერბორნი | 18 | 8 | 3 | 7 | 29:19 | 27 |
| კარლსრუე | 17 | 8 | 3 | 6 | 23:20 | 27 |
| ბურგჰაუზენი | 18 | 7 | 5 | 6 | 22:27 | 26 |
| ჰანზა | 17 | 7 | 4 | 6 | 25:22 | 25 |
| ბრაუნშვაიგი | 17 | 7 | 3 | 7 | 20:17 | 24 |
| უნტერჰახინგი | 18 | 7 | 3 | 8 | 27:25 | 24 |
| აუე | 18 | 6 | 6 | 6 | 16:16 | 24 |
| ზიგენი | 17 | 5 | 4 | 8 | 21:22 | 19 |
| ოფენბახი | 18 | 5 | 2 | 11 | 19:38 | 17 |
| ზაარბრიუკენი | 18 | 4 | 3 | 11 | 17:39 | 15 |
| დინამო | 16 | 3 | 4 | 9 | 19:30 | 13 |
| ალენი | 18 | 2 | 7 | 9 | 17:30 | 13 |



თანაგუნდელები კრის ბოიდს დუბლს ულოცავენ

# უიღბლო რიქსი

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. XXIII ტური

**მოზერუელი 1:3 სელტიკი**
0:1 ჟურავსკი (17), 1:1 ჰამილტონი (41), 1:2 მაკგიდი (71), 1:3 პართსონი (85)

**კილმარნოკი 1:0 ჰართსი**
1:0 ინვინჩიბილე (46)

**რეინჯერსი 4:1 ლივინგსტონი**
1:0 ბოიდი (8), 1:1 ვინჩე (52), 2:1 ბოიდი (56), 3:1, 4:1 პრსო (89, 90)

**დანდი იუნ. 1:1 აბერდინი**
0:1 მაკი (49), 1:1 არჩიბალდი (53)

**ფოლკირკი 1:4 ინვერნესი**
0:1 უილსონი (3), 1:1 აირლენდი (11), 1:2 ვილსი (18), 1:3 დარგო (383), 1:4 ტოკელი (56)

**ჰიბერნიანი 3:1 დანფერმლაინი**
1:0 რიორდანი (17), 1:1 დონელი (35), 2:1 რიორდანი (71), 3:1 ფლეტჩერი (89)

**ერთი** შეხედვით, „რეინჯერსმა" მარტივად მოიგო და შეიძლება ისიც თქვას ვინმემ, გლაზგოელებმა კრიზისი უკვე დაძლიესო. რეალურად კი „ჩაფრებმა" ბოლოადგილოსან „ლივინგსტონთან" გვარიანად იწვალეს. მატჩის გმირი კი გუნდის ახალწვეული კრის ბოიდი გახდა, რომელმაც სადებიუტო შეხვედრაშივე ორი მნიშვნელოვანი გოლი შეაგდო.

„რეინჯერსმა" ჩინებულად დაიწყო და უკვე მე-8 წუთზე დაწინაურდა — პიტერ ლოვენკრანდსის დარტყმული ბურთი ლივინგსტონელ მცველს მოხვდა, ასხლეტილთან კი პირველი ბოიდი გაჩნდა და 1:0. უპირატესობის მიუხედავად, პირველ ტაიმში გლაზგოელებმა მეტის გატანა ვეღარ შეძლეს.

მეორე ნახევარი ახალი დაწყებული იყო, როდესაც გაბორ ვინჩემ ეფექტური გარღვევა ზუსტი დარტყმით დაასრულა. თუმცა სტუმრებს სიხარული მხოლოდ ოთხი წუთი დასცალდათ — ტომაშ ბუფელის მშვენიერი პასი ბოიდისკენ, რომელმაც ყველაფერი სათანადოდ შეასრულა, ჯერ ბურთი გააჩერა, მერე კი მარცხენა დაბალ კუთხეში მოათავსა.

დარჩენილ დროში გუნდებმა რამდენიმე იერიში გაცვალეს. შემდეგ კი ტრავმამოშუშებულმა დადო პრსომ ძველი დრო გაიხსენა და მატჩის ბოლო წამებზე წყვილი გოლი გაიტანა. ხორვატმა ჯერ ჯარიმით იხეირა, მერე აულებელი დაურტყა როდერიკ მაკენზის.

„პირველ ტაიმში მართლაც ბრწყინვალედ ვითამაშეთ და, საერთოდაც, კმაყოფილი ვარ. უკეთესობა აშკარად იგრძნობა, თუმცა მაინც ძალიან ბევრ მომენტს ვანიავებთ, რაც უნდა გამოვასწოროთ" — თქვა „რეინჯერსის" თავკაცმა ალექს მაკლიშმა.

კიდევ ერთხელ დაუცდა ფეხი „ჰართსს", რომელიც „კილმარნოკმა" იმსხვერპლა. ყველაფერი მეორე ტაიმის დაწყებისთანავე ავსტრალიელი დენი ინვინჩიბილეს გატანილმა გოლმა გადაწყვიტა. ედინბურგელებმა სცადეს მატჩის შემობრუნება, მაგრამ ამაოდ, მათმა თავკაცმა გრემ რიქსმა კი უიღბლობაზე იწუწუნა.

**კოკი კანდელაკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 23 | 18 | 3 | 2 | 60:23 | 57 |
| ჰართსი | 23 | 14 | 5 | 4 | 45:18 | 47 |
| ჰიბერნიანი | 23 | 13 | 2 | 8 | 40:30 | 41 |
| რეინჯერსი | 23 | 11 | 7 | 5 | 41:26 | 40 |
| კილმარნოკი | 23 | 10 | 6 | 7 | 42:37 | 36 |
| ინვერნესი | 23 | 8 | 10 | 5 | 30:22 | 34 |
| მოზერუელი | 23 | 8 | 5 | 10 | 37:42 | 29 |
| აბერდინი | 23 | 6 | 10 | 7 | 25:27 | 28 |
| დანდი იუნ. | 23 | 6 | 7 | 10 | 25:36 | 25 |
| ფოლკირკი | 23 | 4 | 5 | 14 | 23:48 | 17 |
| დანფერმლაინი | 23 | 3 | 4 | 16 | 18:44 | 13 |
| ლივინგსტონი | 23 | 2 | 6 | 15 | 13:46 | 12 |

### I დივიზიონი. XXIII ტური

ერდრი — კლაიდი 1:1; ბრეჩინი — დანდი 0:3; ჰამილტონი — სენტ მირენი 0:0; როსი — ქუინი 3:1; სტრანრარი — სენტ ჯონსტონი 0:2

### II დივიზიონი. XXIII ტური

ფორფარი — დამბარტონი 2:3; მორტონი — ალოა 4:1; გრეტნა — პარტიკი 6:1; რეითი — ეარი 1:1; სტირლინგი — პიტერჰედი 2:1

### III დივიზიონი. XXIII ტური

ბერვიკი — არბროთი 2:1; კოუდენბითი — მონტროუზი 2:0; ელგინი — ალბიონი 2:1; ქუინზ პარკი — ისტ სტირლინგი 3:1; სტენჰაუზმური — ისტ ფაიფი 4:2

# შეუძლია თუ არა ასეთ კაცს...

**„შეიხის საქმე"** ჯერ არ ჩაწყნარებულა: ინგლისის ნაკრების მწვრთნელს „ნიუს ოვ ზე ვორლდის" შეიხად გადაცმული რეპორტიორისთვის უთქვამს, რომ პრემიერლიგის სამი კლუბი კორუფციაშია გარეული.

გაზეთი, კანონიდან გამომდინარე, კლუბებს არ ასახელებს, ერიკსონის ნალაპარაკევს კი ნაწილ-ნაწილ ამხელს.

ტაბლოიდი საკმაოდ მაზვილგონივრული მინიშნებებით აპირებს ამ კლუბების წარმოჩენას.

სხვათა შორის, იგივე უთქვამს „ლუთონის" მენეჯერს, მაიკ ნიუელს.

ნიუელი ფეხბურთის ასოციაციაში ყოფილა დაბარებული და იქ წვრილად გამოუკითხავთ ყველაფერი. კორუფციაში ორივე მენეჯერი ტრანსფერებისას შავი ფულის ტრიალს გულისხმობს და არა თამაშების ჩაწყობას.

თუმცა ასოციაციის საბჭოს წევრმა დევიდ დინმა ამ ნათქვამებს „არასანდო" და „გულუბრყვილო" უწოდა: „ასეთი რამ ალბათ ადრე ხდებოდა. ახლა აღარ. მე მაინტერესებს, შეუძლია თუ არა ასეთ კაცს, ინგლისის ნაკრებს გაუძღვეს?"

არ შეუძლია და სხვაც მოიძებნება ხალხი თვითონ იწევს ამ თანამდებობისკენ.

პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელს, ლუის ფელიპე სკოლარის უთქვამს, თუ ინგლისელთა მეთაურობას შემომთავაზებენ, უეჭველად განვიხილავ ამ წინადადებას, ოღონდაც ჩემი პორტუგალიური კონტრაქტის გასრულების შემდეგო. მსოფლიოს ჩემპიონ ბრაზილიელთა მწვრთნელის ეს ნათქვამი ყველამ მინიშნებად მიიღო. თუმცა ერიკსონს ზაფხულამდე არავინ მოხსნის.

**ირაკლი გამყრელიძე**

## აფრიკის ეროვნებათა თასი. ეგვიპტე 2006. 20 იანვარი — 10 თებერვალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



სამუელ ეტოომ მშობლიურ აფრიკაში გაილაღა



AFP ფოტო

კონგოელმა ნგანსანია მპუტუმ ტოგოელებს ეფექტურად გაუტანა

### A ჯგუფი. I ტური

**ეგვიპტე 3:0 ლიბია**

1:0 მიდო (18), 2:0 აბუტრიაკა (22), 3:0 ჰასანი (78)

**ეგვიპტე:** ელ ჰადარი, აბდელ ვაჰაბი (ელ საედი 88), ელ საკა, გომაა, საიდი, აბუტრიაკა (მოსტაფა 75), ბარაქათი, ა. ჰასანი, შავკი, მიდო, ზაკი (მოტები 81)

**ლიბია:** ალეხანდრო, ალ შაბანი, დავოოდი, ჰამადი, შაფტერი, აბდუსალამი, სლილი, სულიმანი, მონტასერი (გაზალა 76), ა. ოსმანი (ელ ტაიბი 64), რევანი

გაფრთხილება: გომაა, ალ შაბანი, დავოოდი, შაფტერი, ალეხანდრო, რევანი, აბუტრიაკა, აბდელ ვაჰაბი

გაძევება: ალეხანდრო (75)

50 000 მაყურებელი

**მაროკო 0:1 კოტ დივუარი**

0:1 დროგბა (38პ)

**მაროკო:** ელ ყარმუნი, ელ კარკური, ელ კადური, ნაიბეტი, რეგრაგი, ჩიპო, ხარჯა (ბუსაბუნი 84), საფრი, შამახი, ი. ჰაჯი, იაკუბი (აბუშერუანი 86)

**კოტ დივუარი:** ტიზიე, ბოკა, ებუ, კუასი, კ. ტურე, ფაე, ბ. კალუ (ბ. კონე 75), ჟ. ტურე, ზოკორა, დროგბა (ა. კონე 66), აკალე

6 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეგვიპტე | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| კოტ დივუარი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| მაროკო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ლიბია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

დიდიე დროგბამ პენალტი გაიტანა, მეორე ტაიმში კი დაშავდა და შეცვალეს. „ჩელსის“ ლეგიონერმა მომდევნო მატჩი (ლიბიასთან) შესაძლოა, გამოტოვოს, რაც „სპილოებისთვის“ გვარიანი დანაკლისი იქნება.

„ჩვენ ძალიან კმაყოფილები ვართ — განაცხადა კოტ დივუარის მწვრთნელმა ანრი მიშელმა — რადგან საკმაოდ ძლიერ გუნდს მოვუგეთ. ახლა ერთი ნაბიჯი გვაკლია მეოთხედფინალამდე და უკვე ლიბიასთან შეხვედრაზე ვფიქრობთ.

„მე თვითონ მოვითხოვე შეცვლა — თქვა დროგბამ, რომელსაც 25 სანაკრებო მატჩში 18 გოლი დაუგროვდა — საპენალტედ რომ წამაქციეს, მაშინ ვიგრძენი ტკივილი“.

ორიოდ კვირის წინ გამწვრთნელებულმა მაროკოს თავკაცმა მოჰამედ ფაკირიმ თავისი გუნდი შეაქო: „ვფიქრობ, ურიგოდ არ გვითამაშია. ათ დღეში უკეთესად მომზადებას ვერც მოვასწრებდით“.

ურიგოდ ნამდვილად არ გამოიყურებოდა მაროკო — განსაკუთრებით მეორე ტაიმში, გასათანაბრებლად რომ გაიწია, მაგრამ კოტ დივუარის მცველები ყოჩაღად იდგნენ. მეორე ტაიმის მიწურულს „სპილოები“ კონტრშეტევებზე გადაეწყვნენ, მაგრამ დროგბა აღარ ჰყავდათ და მათ იერიშებს ფხა მოაკლდა.

# დედაჩემთან მივდივარ

## ხუთ საათზე კაბილას დავურეკე

შეხვედრის დასრულებამდე თხუთმეტი წუთით ადრე მაროკოელი იუსუფ ჰაჯის დარტყმული ბურთი ხარიხას გადაევლო და გარედან ბადეში ისე აიხლართა, რომ ტაბლოზე 1:1 დაწერეს, მაგრამ მთავარმა მსაჯმა ცრუერთიანი ტაბლოდან „წააშლევინა“.

### B ჯგუფი. I ტური

**კამერუნი 3:1 ანგოლა**

1:0 ეტოო (19), 1:1 ფლავიო (30პ), 2:1, 3:1 ეტოო (38, 77)

**კამერუნი:** ჰამიდუ, ჟერემი, კალა, სონგი, ატუბა, დუალა, მაკუნი, ნგომკონე (ოლემბე 82), საიდუ, ეტოო (ემანა 88), ვებო (ბოია 74)

**ანგოლა:** რიკარდო, ჟაჩინტო, ჟამბა, ლებო-ლებო, მარკო (დელგადო 71), ფიგეირედო, მაკანგა, მენდონტა, აკვა, ედსონი (ზე კალანგა 74), ფლავიო

გაფრთხილება: ჰამიდუ, ედსონი, ვებო, რიკარდო, ნგომკონე

35 000 მაყურებელი

**ტოგო 0:2 კონგოს დრ**

0:1 მპუტუ (45), 0:2 ლუა ლუა (63)

**ტოგო:** აგასა, აკოტო, ატეი-უდეი, მათიასი, აბალო, აზიავონუ, მამამი (დოგბე 83), რომაო (სალიფუ 54), ა. კუგბაჯა, ოლუფადე (ადებაიორი 58), სენაია

**კონგოს დრ:** კალემბა, ფვამბა, გლედისი, ილუნგა, კაბუნდი, კიმბემბა, ტშიოლოლა, ზოლა, ლუა ლუა (ნუბანზადიო 82), მპუტუ (მატინგუ 62), მბალა (კაბამბა 85)

გაფრთხილება: აკოტო, ოლუფადე

10 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კამერუნი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| კონგოს დრ | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ტოგო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ანგოლა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |

სამუელ ეტოოს თავი პრიმერადივიზიონში ეგონა და რასაც „ბარსელონაში“ აკეთებს, თან უფრო უკეთესად, ეგვიპტეშიც გააგრძელა — ანგოლასთან ჰეთთრიქი გაიფორმა. უცნაურია, მაგრამ ანგოლა მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურით დაიკვეხნის, კამერუნი კი — ვერა.

„მოუთვინიერებელმა ლომებმა“ „შავი ანტილოპები“ ეტოოს ბრწყინვალე თამაშის წყალობით დაამარცხეს, რომელმაც ნამატჩევს განაცხადა: „სამი გოლი სასიხარულოა, მაგრამ მთავარია, რომ ტურნირი გამარჯვებით დავიწყეთ. ორი წლის წინ ტუნისში ვერაფერს მივაღწიეთ, მერე მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზეც ჩავფლავდით და ისღა დაგვრჩენია, ეგვიპტიდან თასი წავიღოთ. დარწმუნებული ვარ, მომდევნო მატჩებში კიდევ უფრო გავაუმჯობესებთ თამაშის ხარისხს“.

ბარსელონელმა ანგარიში საჯარიმო დატყმით გახსნა, „ანტილოპების“ ფორვარდმა ფლავიომ მალევე გაათანაბრა პენალტით, რომელიც აკვას წაქცევისთვის დანიშნეს.

პირველი ტაიმის დასრულებას შვიდი წუთი უკლდა, სპორტინგელი დუალის პასით ეტოომ მეორე რომ გაიტანა და შესვენებამდე ჰეთთრიქის შესრულება მეკარე რიკარდომ არ დაანება.

მეორე ტაიმში რიკარდომაც ვეღარ იხსნა ანგოლა, რადგან „ბარსას“ ფორვარდმა საჯარიმოს ხაზიდან „ლეწა“ და მესამე გოლი მიითვალა.

„ანტილოპების“ მწვრთნელმა ლუიშ გონსალვეშმა თქვა: „პირველ ტაიმში ჩემი გუნდი არ მომეწონა, უკეთესად შეუძლიათ თამაში და დარჩენილი ორი მატჩის მოგების იმედი გვაქვს“.

ორმა ტრეზორმა — მპუტუმ და ლუალუამ ტოგოელებს თითო გოლი გაუტანეს და დემოკრატიულმა კონგომ მეოთხედფინალისკენ ნაბიჯი გადადგა.

მატჩის დღეს, დილის ხუთ საათზე კონგოელი ფეხბურთელები მწვრთნელ კლოდ ლერუას სასტუმროს ნომერში მიადგნენ და ულტიმატუმი წაუყენეს — ამ ტურნირზე თამაშისთვის დაპირებულ პრემიებს თუ არ მოგვცემენ, ტოგოსთან შეხვედრას ჩავშლითო. კლოდ ლერუამ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ჟოზეფ კაბილასთან დარეკა, რომელიც ამ პრობლემის მოგვარებას შეჰპირდა და გახარებულმა კონგოელებმა ტოგოელი „ქორების“ ბუმბული გაარჩიეს.

„პორტსმუთის“ ლეგიონერი ლომანა ტრეზორ ლუალუა აშკარად სჯობდა მეტოქე მცველებს და კიდევ ორი-სამის გატანა შეეძლო.

ტოგოელთა ფორვარდმა ემანუელ ადებაიორმა და მწვრთნელმა სტეფან კეშმა მატჩის წინ იკამათეს, რამაც „არსენალის“ ლეგიონერი გაანაწყენა. კეშს უთქვამს, ფორმაში არ ხარ და ძირითად შემადგენლობაში ვერ გათამაშებო, ხოლო ადებაიორმა უპასუხა, თუ არ გჭირდები, სახლში წავალ და ავადმყოფ დედას მაინც მივხედავო.

ფორვარდი მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდა, მაგრამ უგულოდ ირჯებოდა და გუნდს ვერაფრით დაეხმარა. ნამატჩევს ადებაიორმა განაცხადა: „ჩემთვის ეს ტურნირი აღარ არსებობს. სახლში მივდივარ“.

### C ჯგუფი. I ტური

**ტუნისი 4:1 ზამბია**

0:1 შამანგა (8), 1:1 დუშ სანტუში (36), 2:1 ბუაზიზი (52), 3:1, 4:1 დუშ სანტუში (82, 90)

**ტუნისი:** ბუმნიჟელი, ბუაზიზი, კლეიტონი (აიარი 68), ჯაიდი, ტრაბელსი, შედლი, გოდბენე, ჰაგუი, მელიტი (ნამუში 78), ჯაზირი (მნარი 71), დუშ სანტუში

**ზამბია:** კოლალა, ახილენსა, მუსონდა, ნკეტანი, ტანა, შანსა (სინკალა 64), ნუმბა (ფ. კატონგო 64), შამანგა, კ. კატონგო, მბესუმა, ნჯობვუ (კალაბა 82)

გაფრთხილება: ბუაზიზი, ნჯობვუ, ჯაზირი

28 000 მაყურებელი

**სამხრეთ აფრიკა 0:2 გვინეა**

0:1 ს. ბანგურა (77), 0:2 უ. ბანგურა (87)

**სამხრეთ აფრიკა:** მარლინი, ისა, კაცა, მაბიზელა, ტაუ, დ. ტშაბალალა, ვილაკაზი, მაკკარტი, მოკოენა (ნკოსი 75), ნომვეტე (ს. ტშაბალალა 56), ზუმა

**გვინეა:** დიარსო, ბალდე, ი. კამარა, ჟაბი, კალაბანე, სილა, ტიამი, ისმაელ ბანგურა (იბრაჰიმ ბანგურა 72), კ. დიავარა (ს. ბანგურა 68), ფეინდუნო, მანსარე (ო. ბანგურა 82)

გაფრთხილება: ბალდე, სილა, ტიამი

30 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტუნისი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 |
| გვინეა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| სამხრეთ აფრიკა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ზამბია | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |

ეროვნებათა თასის წინა გათამაშების გამარჯვებული, როჟე ლემერის ტუნისი იოლად გაუსწორდა ზამბიას, ხოლო ტუნისელთა მთავარმეგოლე დუშ სანტუში სამუელ ეტოოს არ ჩამორჩა და სამი გაიტანა.

ზამბიელები მეცხრე წუთზე დაწინაურდნენ, მატჩის სენსაციის სუნი აუვიდა, მაგრამ პირველივე ტაიმში დუშ სანტუშმა გაათანაბრა.

შესვენების შემდეგ ბუაიზიზიმ ტუნისი დააწინაურა და ზამბიამაც გასათანაბრებლად გაიწია. თუმცა მატჩის ბოლოს როჟე ლემერის შეგირდებმა მეტოქე ორჯერ გამოიჭირეს კონტრშეტევაზე, რასაც დუშ სანტუშის წყვილი გოლი მოჰყვა.

## დღეს

D ჯგუფი. I ტური

**ნიგერია — განა**

**ზიმბაბვე — სენეგალი**

განელთა მწვრთნელმა რატომირ დუიკოვიჩმა ნიგერიასთან მატჩის წინ დაიჩივლა: „ჩვენი მთავარი მოთამაშე მიკაელ ესიენი ტრავმის გამო ამ ტურნირზე ვერ დაგვეხმარება. ეს უკვე დიდი დანაკლისია. ჩელსელის გარდა სულეი მუნტარი და ასამოა გიანიც დაშავდნენ და ნაკრების მიღმა დარჩნენ. ასეთი შემადგენლობით ჯგუფიდან გასვლა, ფაქტობრივად, შეუძლებელია“.

ნიგერიელებს კი, შესაძლოა, დააკლდეთ ჯეი ჯეი ოკოჩა, რომელსაც მარსელელი უილსონ ორუმა შეცვლის. „სუპერარწივთა“ ფორვარდი ობაფემი მარტინსი ძირითად შემადგენლობაში იქნება ჯულიუს აგაჰოვასთან ერთად.

„პირველ მატჩში მოგება მეტად მნიშვნელოვანია — განაცხადა მწვრთნელის თანაშემწე დანიელ ამოკაჩიმ — განასთან იოლ გამარჯვებას არ ველით, რადგან მათთან თამაში ყოველთვის გვიჭირს“.

სენეგალი ალბათ ადვილად სძლევს ზიმბაბვეს, რომელიც ეგვიპტეში „ტურისტად“ ჩაბრძანდა. ზიმბაბველთა ფეხბურთის ასოციაციის ჩინოვნიკმა რემიჯიო მაკონიმ ადრევე თქვა, ჩვენგან სიურპრიზებს ნუ ელით, ფეხბურთელებმა იციან, რომ მათთვის მისაცემი ფული არ გვაქვს და არა მგონია, ბურთის დევნით დაიღალნონო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ბარსელონა: მეტი, მეტი და უკვე თვრამეტი!

## ესპანეთი
### პრიმერადივიზიონი XX ტური

### ბარსელონა 2:0 ალავესი
1:0 ლარსონი (46), 2:0 მესი (82)
ბარსელონა: ვ. ვალდესი, ოლეგერი, პუიოლი (ბელეტი 85), მარკესი, სილვინიო, ედმილსონი, ვან ბომელი, ინიესტა, ჟიული (მაქსი ლოპესი 84), რონალდინიო, ლარსონი (მესი 73)
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
ალავესი: კოსტანცო, ედუ ალონსო, ხუანიტო, სარიეგი, კორომინასი, გეორგიევი (ელტონი 57), კარპინტერო, ხანდრო, ნენე (რუბენ ნავარო 70), ბოდიპო, ალონზი
მწვრთნელი: ხუან მანუელ ოლივა
გაფრთხილება: გეორგიევი, ვალდესი, კორომინასი
მსაჯი: ტურიენსო ალვარესი
65 000 მაყურებელი

### ბეტისი 0:2 ვალენსია
0:1, 0:2 ვილია (35, 79)
ბეტისი: დობლასი, ლუის ფერნანდესი, ხუანიტო, ო. ლოპესი, მელი, არზუ (რივერა 42), კაპი, ხოაკინი, ტარდელი, რობერტი (დანი 53), ედუ
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
ვალენსია: კანისარესი, მიგელი, მარჩენა, მორეტი, ალბელდა, ბარახა, რეგეირო (ფ. აურელიო 69), ალბიოლი, ანგულო, ვილია (რუფეტე 81), აიმარი (მისტა 79)
მწვრთნელი: კიკე სანჩეს ფლორესი
გაფრთხილება: ალბელდა, მიგელი, რივერა
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
35 000 მაყურებელი

### რეალი 3:1 კადისი
0:1 მედინა (54), 1:1 რობერტო კარლოსი (67), 2:1 ბექემი (70), 3:1 რობინიო (82)
რეალი: კასილიასი, სისინიო, სერხიო რამოსი, მეხია, რობერტო კარლოსი, ბექემი, გრავესენი (კასანო 58), გუტი (ი. ელგერა 84), ზიდანი, ჟულიო ბაპტისტა, რობინიო (რაულ ბრავო 87)
მწვრთნელი: ხუან რამონ ლოპეს კარო
კადისი: არმანდო, რაულ ლოპესი, დე კინტანა, ბერიცო, ვარელა, ესტოიანოფი (ლობოსი 72), ბენხამინი, ბეზარესი, მიროსავლიევიჩი (ენრიკე 72), ხონათან სესმა, ა. მედინა
მწვრთნელი: ვიქტორ ესპარაგო
გაფრთხილება: გრავესენი, კასანო, ბერიცო, სისინიო, კასილიასი
მსაჯი: ლიზონდო კორტესი
72 270 მაყურებელი

### დეპორტივო 2:2 მალიორკა
1:0 ვალერონი (18), 2:0 ტრისტანი (24პ), 2:1 ოკუბო (50), 2:2 არანგო (53)
დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, რომერო, კაპდევილა, კოლოჩინი, დე გუცმანი, სერხიო (ხისკო 80), ვალერონი (არისმენდი 87), იაგო (ვიქტორი 58), ტრისტანი, მუნიტისი
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
მალიორკა: მოია, ფ. ნავარო, კორტესი, ტუცო, პოტენცა, დონი (პერეირა 83), ფარინოსი (ბორხა 70), არანგო, ხონასი (კამპანო 73), ოკუბო, ვიქტორი
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
გაფრთხილება: კორტესი, იაგო, ოკუბო, დე გუცმანი, ვიქტორი, ბორხა
მსაჯი: პერეს ლიმა
18 000 მაყურებელი

### ვილიარეალი 2:1 ოსასუნა
0:1 რაულ გარსია (27), 1:1, 2:1 რიკელმე (70პ, 76პ)
ვილიარეალი: ვიერა, გონსალო, არუაბარენა (როხერი 61), სორინი, კიკე ალვარესი, ხავი ვენტა, რიკელმე, სენა, კაზორლა (ტაკინარდი 70), ფორლანი, ხოსე მარი (გიარე 15)
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
ოსასუნა: რიკარდო, კლავერო, კუელიარი, ხოსეჩო, ხავიერ ფლანიო, რაულ გარსია, ორტისი (ბრიტო 82), პუნიალი (მარსელო სოსა 82), დავიდ ლოპესი (ფრან მორენო 67), მუნიოსი, რომეო
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
გაფრთხილება: რომეო, სენა, ორტისი, კიკე ალვარესი, ხავიერ ფლანიო, გიარე, ტაკინარდი
მსაჯი: დაუდენ იბანიესი
20 000 მაყურებელი

### სარაგოსა 0:2 ატლეტიკო
0:1 მაქსი როდრიგესი (28), 0:2 ტორესი (59პ)
სარაგოსა: კარლოს სანჩესი, ალვარო, გ. მილიტო, ტოლედო, სავიო, პონციო (კუარტერო 46), სელადესი (მოვილია 46), ოსკარი (კორონა 81), საპატერი, ევერტონი, დ. მილიტო
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
ატლეტიკო: ლეო ფრანკო, ველასკო, ა. ლოპესი, პერეა, პაბლო, იბაგასა (ზაჰინოსი 70; გაბი 75), ლუქსენი, მაქსი როდრიგესი, მ. პეტროვი (გალეტი 76), ფ. ტორესი, კელმანი
მწვრთნელი: პეპე მურსია
გაფრთხილება: პონციო, იბაგასა, პეტროვი, ველასკო, ლუქსენი, ალვარო, ლეო ფრანკო
მსაჯი: იტურალდე გონსალესი
28 000 მაყურებელი

### ხეტაფე 5:0 ესპანიოლი
1:0 გიზა (3), 2:0 პერნია (25), 3:0 გიზა (64), 4:0 პერნია (75), 5:0 გავილანი (85)
ხეტაფე: კალატაიუდი, მ. პერნია, ბელენგერი, მატელანი, დ. რივასი, მარიო კოტელო, რედონდო (ვივარ დორადო 61), სელესტინი (კრაიოვეანუ 79), გავილანი, რიკი (ალბერტო 79), გიზა
მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი
ესპანიოლი: ირაისოსი, ლოპო, დომი, მოიზესი, ედუარდო კოსტა, საბალეტა, დე ლა პენია (ფრედსონი 81), იტო (ხუანფრანი 46), პანდიანი (კორო 46), ლუის გარსია, ტამუდო
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: იტო, რედონდო, საბალეტა, ტამუდო
მსაჯი: რამირეს დომინგესი
12 000 მაყურებელი

### მალაგა 0:2 სელტა
0:1 ნუნიესი (46), 0:2 სილვა (71)
მალაგა: არნაუ, გაბრიელი, ლიტოსი (ჩენგე მორალესი 60), სეზარ ნავასი, ალექსისი, ხესუს გამესი (იდალგო 50), ხერარდო, ნაჩო, ქატეზანი (კუნაგო 46), ედგარი, სალვა
მწვრთნელი: ანტონიო ტაპია
სელტა: პინტო, ხოსე ენრიკე, ლეკო, ანხელი, სერხიო, ოუბინია, ნუნიესი (მენდესი 71), სილვა, ხორხე (რობერტო 60), კანობიო, ბაიანო (ხავი გერერო 75)
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
გაფრთხილება: ოუბინია, ხესუს გამესი, ნაჩო
მსაჯი: რუბინოს პერესი
21 000 მაყურებელი

### რასინგი 2:3 სევილია
0:1 კანუტი (13), 0:2 მარესკა (46პ), 1:2 ხუანხო (44), 1:3 მარესკა (53პ), 2:3 ფელიპე მელო (84)
რასინგი: აუატე, დამია, ორიოლი, აიოზი (რაული 88), მორატონი, ფელიპე მელო, მატაბუენა, ანტონიო ტომასი, ხ. ვალე (ალექსი 68), პინილია, ხუანხო (აგასო 76)
მწვრთნელი: მანოლო პრესიადო
სევილია: პალოპი, დავიდი, დრაგუტინოვიჩი, აიტორ ოსიო, დანიელ ალვესი, ხესუს ნავასი, ადრიანუ (პუერტა 59), მარტი, მარესკა (ხორდი 77), ლუის ფაბიანო (ხავი ნავარო 69), კანუტი
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: მარტი, ორიოლი, აიოზი, აიტორ ოსიო, დანიელ ალვესი, ალექსი
მსაჯი: მუნის ფერნანდესი
14 609 მაყურებელი

### სოსიედადი 3:3 ბილბაო
1:0, 2:0 ნიჰათი (7, 38), 2:1, 2:2 ადურიცი (46, 68), 3:2 სკოუბო (69), 3:3 ირაოლა (90)
სოსიედადი: რიესგო, სიფუენტესი, ხაურეგი, ანსოტეგი, გარიდო (ბარკერო 83), მიკელ ალონსო, ხ. პრიეტო, გაბილონდო, ნოვო (გარიტანო 61), ნიჰათი, სკოუბო (ურანგა 85)
მწვრთნელი: ხოსე ამორორტუ
ბილბაო: ლაფუენტე, ლ. პრიეტო, უსტარიცი, ამორებიეტა, ირაოლა, ორბაისი, იესტე, გურპეგი (ტიკო 77), ხ. ეჩებერია (ურსაისი 44), ადურიცი, იულენ გერერო (დანიობეიტია 61)
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
გაფრთხილება: ლ. პრიეტო, უსტარიცი, ამორებიეტა, გარიდო, გაბილონდო, ნოჩო
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო
24 000 მაყურებელი



ბარსელონა — ალავესი. ვიტორიელებს რონალდინიომ (მარცხნივ) პენალტი ვერ გაუტანა

AFP ბარსელონიდან

**საკუთარ** „კამპ ნოუზე“ „ალავესთან“ მოიგო პრიმერას ლიდერმა „ბარსელონამ“. ვიტორიელი ბასკები რონალდინიოს გუნდს უომრად არ ჩაბარებიან — მატჩის დასაწყისში ვალდესის ძელს ხანდრომ შეახეთქა ბურთი. თუმცა მერე „ბარსამ“ იძალა და ჯერ ჟიულის გადაცემით ლარსონმა შეაგდო, ხოლო თამაშის მიწურულს, რონალდინიოს ვერაგული დარტყმის მერე აფართხალებულ მეკარე კონსტანსოს არგენტინელმა მესიმ მოუთავა საქმე. „ბარსელონამ“ ზედიზედ მეთვრამეტედ გაიმარჯვა, „ალავესი“ კი კვლავ ღრმა უფსკრულშია.

„ვილიარეალ“-„ოსასუნას“ წყვილიდან საკვირაო მატჩამდე წლეულს ვერცერთს მოეგო, თუმცა ახლა ცხვირჩამოშვებული მარტო ნავარელები დარჩებიან — „ვილიას“ რიკელმეს ორი ზუსტი პენალტის წინაშე რაულ გარსიას ცალი გოლი რას იკმარებდა. ყვითლებს ბოლო ხუთი თამაშია, გოლიც ვერ შეაგდოთ და, ცხადია, შვებით ამოისუნთქეს.

„ვალენსია“ „ბეტისთან“ გამარჯვების შემდეგ მეორეადგილოსანი გახლავთ. სევილიური შეყრის ბედი დავიდ ვილიას ორმა შესანიშნავმა გოლმა გადაწყვიტა. რა გაეწყობა, ფორტუნა ამჯერად მეტოქის მხარეს იყო, ნაღვლიანად თქვა „ბეტისის“ თავკაცმა ფერერმა.

„დეპორტივო“ — „მალიორკა“ დიდი ბრძოლითა და ფრით გაიყარნენ, ხოლო „სევილიამ“ „რასინგი“ შინ დაამწუხრა. ცოდვის კითხვა დატრიალდა „ხეტაფეს“ „ალფონსო პერესის“ არენაზე. იქ „ესპანიოლი“ მიუხდა ადგილობრივებს დიდგულად და კარამოვსებულს კი მოუწია წაჩანჩალება. „ხეტაფემ“ შური იძია — კატალონიელებმა ბერნდ შუსტერის გუნდი ამას წინათ კოპა დელ რეიდან გამოთიშეს.

„მალაგა“ პრიმერას მე-20 ტურშიც შერცხვა (ისევე, როგორც წინა ორში) და სადღაც ცხრილის ბოლოშია მილურსმული. ხალხმა „ლა როსალედაზე“ მწვრთნელს, ანტონიო ტაპიას ობსტრუქცია მოუწყო, ხოლო მალაგელთა ჯალათი ამჯერად „სელტა“ გამოდგა ნუნიესის და სილვას გოლებით.

მადრიდის „რეალმა“ სამწუთიან შუალედში ორი საჯარიმო შეაგდო და „კადისის“ გარჯა ქარს გაატანა. შაბათის შეხვედრაში ჯერ ვიქტორ ესპარაგოს ბიჭებმა იყოჩაღეს, მერე კი მათ ერთ გოლს მადრიდელებმა სამით უპასუხეს.

„კადისი“ ზუსტად 13 წელია, „ბერნაბეუზე“ არ ყოფილა. ესპარაგოს სუსტ გუნდს ამ დიდ არენაზე ცოტაც რომ ეყოჩაღა, ესეც გმირობა იყო. ჰოდა, აკი დე კინტანამ და ნენადმა მეკარე კასილიასისა თუ უიღბლობის წყალობით ზედიზედ ორჯერ ვერ მოახერხეს ანდალუზიელების დაწინაურება. „ბეტისთან“ ამასწინანდელი სათასო ომით გადაქანცული კასტილიელების ყველაზე საუკეთესო ეპიზოდი კი ბაპტისტას დარტყმა იყო, მეკარემ რომ მოიგერია. რობინიომაც გვარიანად იფინტავა, ოღონდ არმანდოს დაღონება მანაც ვერ შეძლო, ხოლო ზიდანს არბიტრმა კორტესმა თამაშგარეს მომიზეზებით საეჭვოდ წაართვა გატანილი ბურთი.

შესვენების მერე ურუგვაელმა მედინამ მასპინძლების კართან არეულობით ისარგებლა და ტაბლოზე 0:1 აანთო. 67-ე წუთზე კარლოსმა, 70-ეზე კი ბექემმა მსგავსი საჯარიმო დარტყმებით „რეალი“ დააწინაურეს. შემდეგ გრავესენის მაგივრად შესულმა კასანომ იაქტიურა, თუმცა მესამე გოლის გატანის ბედნიერი რობინიოს ერგო.

„ატლეტიკომ“ მაქსი როდრიგესისა და ფერნანდო ტორესის შემწეობით სტუმრად 2:0 მოუგო „სარაგოსას“. „ათლეტები“ პრიმერაში ათი ტურია, ვერ იმარჯვებდნენ, ამიტომ მათიანი ქომაგების წრეგადასული სიხარული გასაგებია. არაგონელებს კი ტრავმირებული ჩანი ძალიან დააკლდათ, თანაც ევერტონისა და დიეგო მილიტოს შემტევი წყვილი მადრიდელებმა უშანსოდ ჩაკეტეს.

„ანოეტაზე“ კი ბასკებმა დაწყვიტეს ერთმანეთი — „სოსიედადის“ მხრიდან ნიჰათი ორჯერ და სკოუბო „აფეთქდნენ“, „ბილბაოდან“ ასევე წყვილად ადურიცი და ბოლო წუთზე ფრის მომტანი ირაოლა. ბასკი ბასკს ვერ მოერია.

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 20 | 15 | 4 | 1 | 49:16 | 49 |
| ვალენსია | 20 | 11 | 6 | 3 | 30:17 | 39 |
| ოსასუნა | 20 | 12 | 3 | 5 | 27:21 | 39 |
| რეალი | 20 | 11 | 3 | 6 | 36:22 | 36 |
| ვილიარეალი | 20 | 9 | 7 | 4 | 27:18 | 34 |
| დეპორტივო | 20 | 9 | 6 | 5 | 28:21 | 33 |
| სელტა | 20 | 10 | 3 | 7 | 22:22 | 33 |
| სევილია | 20 | 9 | 5 | 6 | 25:20 | 32 |
| ხეტაფე | 20 | 8 | 4 | 8 | 29:25 | 28 |
| სარაგოსა | 20 | 6 | 9 | 5 | 25:25 | 27 |
| ატლეტიკო | 20 | 5 | 8 | 7 | 20:20 | 23 |
| რასინგი | 20 | 5 | 8 | 7 | 18:24 | 23 |
| სოსიედადი | 20 | 6 | 4 | 10 | 29:39 | 22 |
| ესპანიოლი | 20 | 5 | 6 | 9 | 17:28 | 21 |
| კადისი | 20 | 5 | 5 | 10 | 15:24 | 20 |
| ბეტისი | 20 | 4 | 7 | 9 | 15:27 | 19 |
| მალიორკა | 20 | 4 | 6 | 10 | 20:34 | 18 |
| მალაგა | 20 | 4 | 5 | 11 | 23:30 | 17 |
| ბილბაო | 20 | 3 | 7 | 10 | 23:30 | 16 |
| ალავესი | 20 | 3 | 6 | 11 | 16:31 | 15 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ეტოო (ბარსელონა) | 18 |
| ვილია (ვალენსია) | 13 |
| რონალდინიო (ბარსელონა) | 11 |
| ტრისტანი (დეპორტივო) | 10 |
| რონალდო (რეალი) | 9 |
| დ. მილიტო (სარაგოსა) | 9 |
| რიკელმე (ვილიარეალი) | 9 |

### XXI ტური
28-29 იანვარი

| | | |
|---|---|---|
| ვალენსია | : | სარაგოსა |
| სევილია | : | ვილიარეალი |
| კადისი | : | რასინგი |
| სელტა | : | რეალი |
| ესპანიოლი | : | მალაგა |
| ბილბაო | : | ხეტაფე |
| ალავესი | : | სოსიედადი |
| მალიორკა | : | ბარსელონა |
| ატლეტიკო | : | დეპორტივო |
| ოსასუნა | : | ბეტისი |

## სეგუნდადივიზიონი
### XXI ტური

ალმერია — კასტელიონი 2:1; რეალი B — ნუმანსია 1:1; პოლი ეხიდო — ლორკა 2:3; ხიმნასტიკი — სიუდად მურსია 2:0; ფეროლი — ეიბარი 4:0; უელვა — ერკულესი 1:0; ელჩე — ვალიადოლიდი 0:2; ალბასეტე — ტენერიფე 3:2; ლევანტე — ლეიდა 2:0; მალაგა B — ხერესი 0:0; მურსია — სპორტინგი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხერესი | 21 | 12 | 7 | 2 | 35:18 | 43 |
| უელვა | 21 | 11 | 7 | 3 | 33:19 | 40 |
| ვალიადოლიდი | 21 | 8 | 10 | 3 | 30:22 | 34 |
| ლევანტე | 21 | 9 | 7 | 5 | 30:23 | 34 |
| ალმერია | 21 | 10 | 4 | 7 | 28:21 | 34 |
| ხიმნასტიკი | 21 | 10 | 2 | 9 | 21:23 | 32 |
| ლორკა | 21 | 8 | 7 | 6 | 27:20 | 31 |
| სპორტინგი | 21 | 7 | 9 | 5 | 25:19 | 30 |
| მურსია | 21 | 8 | 6 | 7 | 21:19 | 30 |
| ელჩე | 21 | 8 | 6 | 7 | 28:31 | 30 |
| სიუდად მურსია | 21 | 7 | 7 | 7 | 23:28 | 28 |
| ალბასეტე | 21 | 7 | 6 | 8 | 22:28 | 27 |
| რეალი B | 21 | 7 | 5 | 9 | 28:24 | 26 |
| ერკულესი | 21 | 6 | 8 | 7 | 24:27 | 26 |
| ფეროლი | 21 | 5 | 10 | 6 | 27:28 | 25 |
| ტენერიფე | 21 | 6 | 5 | 10 | 27:35 | 23 |
| ნუმანსია | 21 | 5 | 8 | 8 | 18:29 | 23 |
| ლეიდა | 21 | 6 | 4 | 11 | 20:25 | 22 |
| კასტელიონი | 21 | 5 | 7 | 9 | 19:25 | 22 |
| პოლი ეხიდო | 21 | 6 | 4 | 11 | 24:31 | 22 |
| ეიბარი | 21 | 4 | 9 | 8 | 16:24 | 21 |
| მალაგა B | 21 | 4 | 6 | 11 | 15:22 | 18 |

ეროვნული ბიბლიოთეკა







X700

## საქმე არ ითმენს!

წარმოიდგინეთ ტელეფონი, რომელშიც ორგანულადაა შერწყმული ელეგანტური დიზაინი და განსაკუთრებული ფუნქციონალურობა. ტელეფონი, რომელშიც არის ყველაფერი საიმისოდ, რომ თავდაჯერებულად იგრძნოთ თავი ბიზნესის სამყაროში. ტელეფონი ნამდვილად წარმატებული ადამიანებისათვის. Samsung X 700. ადვილი წარმოსადგენია.

- 1.3 მეგაპიქსელიანი კამერა • ფერადი TFT ეკრანი (262 144 ფერი)
- სტერეოხმა • FM რადიო • MP3/ASC პლეერი • MPEG4 ვიდეოპლეერი
- მეხსიერების ბარათი TransFlash™ • 40 ტონიანი პოლიფონია
- bluetooth • EDGE

## Дело не ждет!

Представьте телефон, органично сочетающий элегантный дизайн и исключительную функциональность. Телефон, в котором есть все, чтобы Вы могли уверенно чувствовать себя в мире бизнеса. Телефон для действительно успешных людей. Samsung X700. Легко представить.

- 1.3-мегапиксельная камера • Цветной TFT-дисплей (262 144 цвета)
- Стереозвук • FM-радио • MP3 / AAC плеер • MPEG4 видеоплеер
- Карта памяти TransFlash™ • 40-тональная полифония
- Bluetooth • EDGE

ელიტ ელექტრონიქსი - კომპანია სამსუნგ ელექტრონიქსის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში

Elit Electronics – официальный дистрибьютор компании Samsung Electronics в Грузии

მარჯანიშვილის ქ. №47; ტელ: (822) 94 24 72
აღმაშენებლის გამზ. №146; ტელ: (822) 96 28 67
ხიზანიშვილის ქ. №53; ტელ: (822) 35 69 95

Адреса магазинов: г. Тбилиси,
ул. Марджанишвили №47 / Тел: (822) 94 24 72
ул. Агмашенебели №146 / Тел: (822) 96 28 67
ул. Хизанишвили №53 / Тел: (822) 35 69 95

3-წლიანი უფასო სერვისული მომსახურება

3 года бесплатного сервисного обслуживания.

SAMSUNG
სამსუნგი



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროპირიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29.
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge